# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 28 ოქტომბერი 2000 №209 (1231) | ფასი 50 თეთრი


2

## ტორპედო: ტოგონიძე დაბრუნდა, პოროშინს ელიან

უკრაინელი ლეგიონერის ჩამოსვლამდე ჩემპიონს გამოჯანმრთელებული მეკარე შეუერთდა

3

## ჩემი გული ბათუმს ეკუთვნის

ჯანი კარნევალი: მე რომ პრეზიდენტი ვიყო, ქეცბაია სერია A-ში ითამაშებდა



7

## გალიანი დაგვიბარა




„მილანი" ბარსელონელებს კატურ თამაშს ჰპირდება

9

## ვინ შეიყვარა ევრაზიის გასაყარზე

FIDE ISTANBUL 2000

დღეს სტამბოლში 34-ე საჭადრაკო ოლიმპიადა იწყება

15

## სენსაციური მხილებანი ლილის სასამართლოში

ველოსამყარო ველოსიპედის ნაცვლად დოპინგზე მსჯელობს

---

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

## 11 ტური

29 ოქტომბერი, კვირა

დინამო — გორდა
სიონი — თსუ
ბათუმი — იბერია

30 ოქტომბერი, ორშაბათი

ტორპედო — ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი — მერანი
კოლხეთი — დილა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 10 | 0 | 0 | 18:2 | 30 |
| ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 22:6 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 2 | 2 | 15:5 | 20 |
| დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 19:12 | 19 |
| სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 9:9 | 13 |
| მერანი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| კოლხეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 11:13 | 12 |
| გორდა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:16 | 11 |
| ბათუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:14 | 10 |
| თსუ | 10 | 3 | 1 | 6 | 12:19 | 10 |
| დილა | 10 | 2 | 2 | 6 | 8:18 | 8 |
| იბერია | 10 | 0 | 1 | 9 | 1:20 | 1 |

# ნუ გააბრაზებთ გუბერნატორს!

## ტორპედო ვიტ ჯორჯიასთან და რეკორდთან

„ტორპედო" — „ვიტ ჯორჯიათი" წინა ჩემპიონატი დამთავრდა.

დამთავრდა ქართულ ფეხბურთში „დინამოს" ბატონობის ხანა და, როგორც ჩანს, ახალი, „ტორპედოს" ერა დაიწყო.

იმ ბოლო მატჩის ფრეს ახალ ჩემპიონატში „ტორპედომ" ათმატჩიანი უდანაკარგო სერია მოაყოლა და თუ ზეგ ვიტელთა ძლევაც შეძლო, „დინამოს" ოთხგზის რეკორდს გაიმეორებს. ექსჩემპიონმა ზედიზედ თერთმეტი მატჩის მოგება მესამე, მეხუთე (ორჯერ) და მეშვიდე ჩემპიონატებში შეძლო. მოქმედ ჩემპიონს კი იგივეს გაკეთების შანსი საორშაბათოდ ეძლევა, და თუ ვიცე-ჩემპიონს სძლია, შედეგის გაუმჯობესებას უკვე პარასკევს ეცდება.

ზეგინდელ მატჩს სხვა ინტრიგაც ახლავს. შარშანდელმა უგოლო ფრემ ბევრი ძლიერ აეჭვიანა, „ტორპედომ" და „ვიტ ჯორჯიამ" მოილაპარაკეს და „დინამოს" ოდენ ბრინჯაოს ამარ ისე დატოვესო. თვით იმერეთის გუბერნატორმა თეიმურაზ შაშიაშვილმაც მაშინ ლოჟა უკანმოუხედავად დასტოვა იმ ორდენთან ერთად, რომელიც „ტორპედოს" თავკაც დავით ყიფიანისთვის უნდა გადაეცა.

და აი, ახლა ჩემპიონი საიმისოდაც უნდა გაისარჯოს, ეჭვები გაფანტოს — ვიტელებს ახლაც არანაკლებ სჭირდებათ სამი ქულა, მაგრამ... დათმობა არ იქნება.

იხილეთ მესამე გვერდი

# ზიზუობა ძნელია...

ზინედინ ზიდანის თავის ხსენებაზე კაცს აქამდე მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიელთა კარში გატანილი ორი გოლი გაახსენდებოდა. მას მერე ორი წელი გავიდა. და აი, სამშაბათს ფრანგმა ვარსკვლავმა ის „ოქროს" თავი არადანიშნულებისამებრ გამოიყენა ანუ „ჰამბურგის" მცველ იოხენ კინცს სახეში უთავაზა. კი თქვა „იუვენტუსის" ლიდერმა — ვნუხვარ, ბოდიშიო, მაგრამ...

ბოდიში რომ წამალი იყოს, უეფა შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავდა: გუშინ ამ ორგანიზაციის სადისციპლინო კომიტეტმა ზიზუს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა, თავად ტურინული კლუბი კი 25 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა. ასე რომ, „იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ჯგუფში რომც გავიდეს, პირველ ოთხ მატჩში უზიდანოდ თამაში მოუწევს.






REUTERS ტურინიდან

წამში ზიზუმ თვალი გაახილა და იოხენ კინცს (№2) თავი აძგერა

# ...ლეაობა უარესი

**ლეაო!** თქვა ამას წინათ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ტეიშეირამ და ეროვნული გუნდი ყოფილ მეკარეს მიანდო.

ხომ გაფრთხილებდით, ლეაო! თქვა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის სადიციპლინო კომიტეტმა და ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელი საფეხბურთო სტადიონებიდან 20 დღით მოკვეთა.

მიზეზი? ლეაომ, ვინც მანამდე კლუბ „რესიფეს" წვრთნიდა, ეროვნული ჩემპიონატის 2 სექტემბრის მატჩში მსაჯი შეურაცხყო.

მთავარი ისაა, რომ 15 ნოემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბრაზილია კოლუმბიას მასპინძლობს. ეგ რაღა შუაშიაო, იკითხავს ნორმალური ადამიანი. შუაში კი არა, თავშიაო — გვპასუხობენ ბრაზილიიდან და გვატყობინებენ, რომ ეს დისკვალიფიკაცია... დღეიდან იწყება (!) და ნაკრებზეც ვრცელდება.

ლეაოს დებიუტი გადაიდო.

# ელისტიდან მცხეთაში: დავითნიძე კოლხეთში



გიორგი დავითნიძე (მარცხნივ) ისევ „კოლხეთში" ითამაშებს

**გუშინწინ** მცხეთის „არმაზზე", „ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთის" მატჩს სხვებთან ერთად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი გიორგი დავითნიძეც ადევნებდა თვალყურს.

მოგახსენებთ, იგი რუსულ „ურალანში" ჰყავდათ ფოთელებს განათხოვრებული. გუნდი კი, იცით, რუსეთის უმაღლეს დივიზიონში თამაშობს და ძალიან ცუდადაც. ყალმეხური კლუბი ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ოფიციალურად გამოეთხოვა უძლიერესთა მარაქას. „ჯორჯომაც", რა დამრჩენიაო, თანაც ზედ გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი დაერთო და...

დანარჩენი ქვემოთ წაიკითხეთ:

— ორი დღეა, რაც ჩამოვედი. შევცდი, „ურალანში" არ უნდა წავსულიყავი, მწარედ მომატყუეს. პირველივე მატჩში „დინამოსთან" მათამაშეს, ისიც პირველი ტაიმი, მერე კი სათადარიგოდ ვიქეცი. რას მერჩოდნენ, დღემდე ვერ გამიგია. ვინც ყალმეხეთში ჩამიყვანა, ის კაცი მხოლოდ ორი დღე იყო ჩემთან ერთად, მერე კი საერთოდ გაქრა. ალბათ, ჩემში აღებული ფული გაიყვეს, მერე მე ვის რაში ვჭირდებოდი. „ურალანს" იუგოსლაველი მწვრთნელი ჰყავს, უცნაური პიროვნებაა...

**— გეტყობა, უკმაყოფილო რომ ხარ. მაინც რას ფიქრობ, რატომ მოგექცნენ ასე?**

— ხომ გითხარით, არც მე ვიცი. მწვრთნელი ხან რას მეუბნებოდა და ხან რას. ჯერ იტყოდა, მოემზადე, ითამაშეყო, მერე კი...

**— ახლა რას აპირებ, ასე უქმოდ ხომ არ იქნები...**

— ალბათ ისევ „კოლხეთში" ვითამაშებ, მე ხომ განათხოვრებული ვიყავი. კლუბის ხელმძღვანელობას უკვე ვესაუბრე. ახლა სატრანსფერო ფურცელს ველი ელისტიდან. განაცხადში შეყვანა პრობლემა არ იქნება, ტრანსფერი ხომ საერთაშორისოა.

**გიორგი გუგაძიძე**



თასის მფლობელი ნიკოლოზ ტოგონიძე „ტორპედოში" გაჩემპიონებას ეცდება

# ტორპედო: ტოგონიძე დაბრუნდა, პოროშინს ელიან

**ამ უქმეებზე** ქუთაისელები ისევ უკრაინიდან ელიან სიახლეს — „ტორპედოში" სამშობლოში ერთი კვირით გაბრუნებული თავდამსხმელი ანდრეი პოროშინი უნდა ჩამოვიდეს.

— პოროშინი კვირას წავიდა შინ ავადმყოფი მამის მოსანახულებლად, ჩვენ კი ერთ კვირაში უნდა დაგვიბრუნდეს. მისი გუნდში დატოვების საკითხიც ალბათ მაშინ გადაწყდება — განაცხადა სამშაბათს თსუ — „ტორპედოს" მატჩისშემდგომი პრესკონფერენციისას ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ გელა კიკალეიშვილმა.

რაკი ტორპედოელები მის სამშობლოდან დაბრუნებას ელიან, ჩანს კონტრაქტის გაფორმებასაც უპირებენ.

უკრაინელ თავდამსხმელი საქართველოს ჩემპიონმა მოლდოვურ „შერიფში" ტრანსფერზე მყოფს მიაკვლია, სადაც პოროშინი ვაჟა თარხნიშვილის, დავით მუჯირის, გიორგი რევაზიშვილის და თამაზ პერტიას თანაგუნდელი იყო.

უკრაინელი „შერიფში" შარშანდლიდანაა და პირველი სეზონის შვიდ მატჩში ერთი გოლი გაიტანა, მეორის ოც შეხვედრაში კი ათი.

მანამდე კი 22 წლის ანდრეი პოროშინი მშობლიურ კიროვოგრადის „ზირვაში" სამ სეზონს თამაშობდა და 38 მატჩში სულ ორი გოლი გაიტანა.

არცთუ მაღალშედეგიანმა თავდამსხმელმა ტორპედოელები, ალბათ უფრო თავით თამაშის ცოდნით მოხიბლა — ყოფილი შერიფელის, გორის „დილას" ნახევარმცველ გიორგი რევაზიშვილის თქმით, პოროშინი ჰაერში თამაშისას ძალიან ძლიერია და ტირასპოლში დედაქალაქური „ზიმბრუს" რისხვად ითვლება.

— რაც კი ბოლო ხანს „შერიფს" „ზიმბრუსთვის" მოუგია, სულ პოროშინის გოლებით. მისი ტრანსფერზე დაყენება კი უფრო ახალი მწვრთნელის განსხვავებულმა შეხედულებებმა განაპირობა — გვიქო უკრაინელი რევაზიშვილმა.

ამ დღეებში ქუთაისური კლუბის საწვრთნელი ბანაკი კიდევ ერთი ფეხბურთელით შეივსო — სამი კვირის წინ ფოთში, „კოლხეთთან" ამხანაგური მატჩისას დაშავებული მეკარე ნიკოლოზ ტოგონიძე ახლახა გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად ვარჯიშს გუშინ შეუდგა.

არცთუ შორეულ წარსულში, საქართველოს ნაკრების მეკარე ტოგონიძე ჩემპიონებს წლეულს, „ბათუმიდან" შეუერთდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებაში ირაკლი ზოიძის სტაბილურობის გარდა ამ ტრავმამაც შეუშალა ხელი.

**ვახტანგ ჭუმბაძე**

# ლაშა ჯაკობია: მოთმინებითა ჩემითა

**არა** და არ დაადგა საშველი ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის ლაშა ჯაკობიას ტრავმას. საზარდულის მიზეზით ქართველ ფეხბურთელს თითქმის ექვსი თვე გაუცდა. ამის გამო ვერ შეეშველა იგი ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებში და, ბუნებრივია, თავის ამჟამინდელ კლუბს ბელგიურ „აალსტსაც" გამოაკლდა.

რამდენიმე დღის წინ ბელგიელმა ექიმებმა ჯაკობიას ტრავმის გამომწვევი მიზეზი დაუდგინეს და ეს ცნობა, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანი და ჭკუისსასწავლებელი უნდა იყოს ბევრი ქართველი მწვრთნელისთვის. მოგეხსენებათ, სხვადასხვა მიკრო-ტრავმებთან ერთად ჯაკობიას საზარდულიც აწუხებს, ყოველივე კი, ბელგიელ ექიმთა მტკიცებით, ფეხბურთელის ადრეულ ასაკში არასწორი წვრთნის ბრალი ყოფილა. ასეა თუ ისე, ჯაკობია კვლავაც მკურნალობს და საუკეთესო შემთხვევაში დეკემბრის პირველ რიცხვებში თუ დაუბრუნდება მოედანს.

რაც შეეხება მის „აალსტს", გუნდი საშინელ დღეშია. ბელგიის ჩემპიონატის მაჩანჩალა თამაშს თამაშზე აგებს. როგორც ჩანს, ამან საბოლოოდ გამოაფხიზლა კლუბის ხელმძღვანელობა. მათ გუნდის მწვრთნელებს ულტიმატუმი წაუყენეს — ან კვირას „ჰარელბეკეს" მოუგებთ, ანაც ჩვენი გზები გაეყრებაო.

„ამ სიტუაციაში ყოფნა ვერაფერი სიამოვნებაა. არც კი ვიცი, რა ვქნა, ცალკე ტრავმა მტანჯავს, ცალკე გუნდის ბედი მაწუხებს, ბოლოს არც კი მახსოვს, როდის ვითამაშე. სამ თვეზე მეტია, „აალსტში" ვარ და ხეირიანად არც კი მივარჯიშია გუნდთან ერთად, მაგრამ რა გზა მაქვს, უნდა მოვითმინო. ვგრძნობ, სასურველი ფორმის აღსადგენად დიდი ძალისხმევა მომიწევს" — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას ჯაკობიამ.

**ირაკლი მიქაძე**

# ბოლნისი აშენებს

**თავმოყვარენი** არიან ბოლნისელები... იქაური სტადიონის საჩემპიონატოდ მიღებისას ყოველთვის დავიდარაბა იყო. ფედერაციის ჩინოსნები „თემურ სტეფანიას" მოძველებულ, მოუხერხებელ გასახდელებს და მსაჯთა ოთახს იწუნებდნენ, სამართლიანადაც, რომ იტყვიან, იქ თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა.

ჰოდა, როგორც ჩანს, ბოლნისელებს ყელში ამოუვიდათ გაუთავებელი მითითებები სფფ-დან და რამდენიმე დღის წინ რაიონის გამგებელმა და კლუბის საპატიო პრეზიდენტმა ზურაბ ჯაფარიძემ სტადიონზე მშენებლობის დაწყება ბრძანა.

ბოლნისელებს გადაუწყვეტიათ, ძველი გასახდელები დაშალონ და მის ადგილზე ახალი, კომფორტული, ორსართულიანი ნაგებობა დადგან.

„მშენებლობა მალე დაიწყება და მარტისთვის დასრულდება. ორსართულიან შენობაში ყველაფერი იქნება სტანდარტული მოთხოვნების შესაბამისად. მსაჯთა ოთახებისა და გასახდელების გარდა, გავაკეთებთ საპრესკონფერენციო დარბაზს, მოვაწყობთ ბარს, ასე რომ, ფედერაციის მოთხოვნას სავსებით დავაკმაყოფილებთ" — გვითხრა ზურაბ ჯაფარიძემ.

მოკლედ, ბოლნისში სერიოზული ძვრებია. ამას წინათ დასრულდა სპორტული დარბაზის მშენებლობა. ამ საქმის ინიციატორიც ზურაბ ჯაფარიძე იყო. ახალი დარბაზი კი გამოსაზამთრებლად მართლაც მისწრებაა „სიონისთვის", რადგან მწირი ბიუჯეტის მქონე კლუბს საშუასეზონო მზადებისას გასვლითი შეკრების არანაირი საშუალება არ ჰქონდა. ახალი დარბაზი კი ამ მხრივ მათ ძალიან დაეხმარება.

**ბაადა ძგანტალიანი**



ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე

## გერმანია

X ტური

**კოტბუსი 2:0 ბოხუმი**

1:0 მიჩევსკი (29), 2:0 მირიუტა (44)

### II ბუნდესლიგა

X ტური

**ნიურნბერგი 3:1 ძემნიცი**

**როიტლინგენი 3:2 არმინია**

## ბელგია

XI ტური

**ლიერსი 1:4 მუსკრონი**

0:1 მიტროვიჩი (8), 0:2 მარტიჩი (28), 0:3 იესტროვიჩი (37), 0:4 მარტიჩი (53), 1:4 კლაასი (90)

გაძევება: მარტიჩი (54, მუსკრონი)

## ჰოლანდია

X ტური

**სიტარდი 1:2 ბრედა**

0:1 კრისტიანო (5), 0:2 სერჯიო (38), 1:2 ჰამინგი (66)

გაძევება: პასიორეკი (81, სიტარდი)

**ალკმაარი 5:0 ტვენტე**

1:0 კრომკამპი (9), 2:0 ვან გალენი (28), 3:0, 4:0 ნელისე (83, 84), 5:0 დიბი (90)

გაძევება: ბუთი (77, ტვენტე)

## იტალია

### სერია B

VIII ტური

**ემპოლი 3:2 რავენა**

## თურქეთი

X ტური

**ფენერბაჩე 5:2 დენიზლი**

## ინგლისი

### I დივიზიონი

XVI ტური

**პრესტონი 1:2 ბარნსლი**

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XVII ტური

**ლე ავრი 1:3 გენიონი**

## ჩეხეთი

XII ტური

**ბოჰემიანსი 2:2 სიგმა**

ვერის ბაღის გულშემატკივართა კლუბი „ქართლოსი" თანაუგრძნობს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს ალექსანდრე იაშვილს მამის, წარსულში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელის

**მამული იაშვილის**

გარდაცვალების გამო

# აფხაზეთი ფოთში

**ზუსტად** სამი კვირის წინ ზღვისპირეთში, კერძოდ ფოთში, ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი იყო დაგეგმილი. აფხაზეთის ნაკრები „კოლხეთს“ უნდა შეხვედროდა, რომლის მთლიანი შემოსავალიც საქართველოს ძირძველი მიწიდან იძულებით დევნილებს მოხმარდებოდა. მატჩი მაშინ გაურკვეველი ვადით გადაიდო, თუმცა ერთი რამ გადაწყვეტილი გახლდათ, თამაში აუცილებლად ჩატარდებოდა.

გუშინწინ მცხეთაში ღლეც დათქვეს. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მურად ანჯაფარიძემ და „კოლხეთის“ გუნდის უფროსმა გია ტყებუჩავამ მატჩის შესვენებისას ერთმანეთის მეგობრული მოკითხვის მერე, ცხადია, ზემოთქმულზეც ისაუბრეს და შეთანხმდნენ, 14 ნოემბერს ვითამაშოთო.

— ჩვენთვისაც კარგია, კალენდარული ტურები 11 და 17 ნოემბერსაა დანიშნული, ურიგო ნამდვილად არ იქნება, თუ კიდევ ვითამაშებთ — განუცხადა „სარბიელს“ ტყებუჩავამ.

ბატონ მურადთან საუბარში გაირკვა, რომ აფხაზეთის ნაკრები ზუსტად იმ შემადგენლობით ითამაშებს, რომელიც ადრე გამოცხადდა „სარბიელში“. შესაძლოა, მხოლოდ მურთაზ შელია გამოაკლდეთ.

ერთი სიტყვით, 14-ში მატჩია, მაგრამ ეს მხოლოდ თამაში არ იქნება. მონატრება, სითბო, წარსულის ტკბილმწარე მოგონებანი და, რაღა თქმა უნდა, სრულიად აფხაზეთის და საქართველოს ტკივილის კიდევ ერთხელ გახსენება.

აქვე იმ ფეხბურთელებსაც შეგახსენებთ, რომლებიც „ფაზისზე“ ითამაშებენ. როცა ჩაიკითხავთ, თავადაც დარწმუნდებით, რომ მათგან თავისუფლად შეიძლება ძლიერი გუნდის შექმნა, რომელიც ჩემპიონობისთვის თუ არა, საპრიზო სამეულისთვის მაინც იბრძოლებს. მურად ანჯაფარიძეს ამის თაობაზე რომ ვკითხე, სინანულით თქვა, როგორ არ მინდა, ისეთი ძლიერი გუნდი გვყავდეს, როგორიც სოხუმის „ცხუმი“ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ ფინანსები არ გვიწყობს ხელს, თორემ, დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭები უარზე არ იქნებიანო.

მაინც ვინ არიან ისინი, ახლა საქართველოს გუნდებში მიმოფანტულნი, რომლებიც დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ასეა თუ ისე ამინდს ქმნიან:

*მეკარეები: ზურაბ ქვაჩახია (უგუნდოდ), გოჩა ჟორჟოლიანი (ცხუმი);*

*მცველები: ბადრი ახვლედიანი, ვალტერ გუჩუა, ჯონი შალამბერიძე (ყვეტლა ტორპედო), ზურაბ მინდაძე (ბათუმი), რომეო გოგიტაძე (ზუგდიდი), ლევან მიქაძე (ლოკომოტივი);*

*ნახევარმცველები: თენგიზ სიჭინავა (დინამო), დემურ კაკუბავა, კობა ოდიშარია (ორივე მერანი), შერმადინ დანელია (გუნდი უცნობია), გიორგი ჭანტურიძე (კოლხეთი);*

*თავდამსხმელები: გიგა გადელია (დინამო), მამუკა რუსია (ლოკომოტივი), გელა გაბისონია (უგუნდოდ), ლევან თოლორდავა (მერანი), ბიძინა ივეჩიანი (გორდა).*

**გიორგი გუგაძიძე**



ჯანი კარნევალი (მარჯვნივ) თბილისში „ბათუმთან“ ერთად ბოლო სტუმრობისას

# მე რომ პრეზიდენტი ვიყო...

*ჯერჯერობით არ გაამართლა ექსპერიმენტმა, ჩვენს ნაკრებებსა თუ კლუბებში უცხოელი მწვრთნელების მოწვევამ. ჩამოსული სპეციალისტებისთვის დიდი დრო არ მიუციათ, მაგრამ რაც მათ ხელთ იყო, იმითაც ნაღდად ვერ დაიკვეხნიან. ჰოდა, ზოგიერთმა გუდა-ნაბადი აიკრა და აქაურობას გაეცალა. ჯანი კარნევალი კი ასე არ მოქცეულა, საქართველოში დარჩა. ის ახლა ჩვენი ასაკობრივი ნაკრები გუნდების კონსულტანტია, თუმცა გული ალბათ კვლავაც თავისი ძირითადი საქმისკენ მიუწევს.*

*წყალი არ გაუვა, მეტად ესიმპათიურება იტალიელს საქართველო და ქართული ფეხბურთი. ჩვენს ეროვნულ ნაკრებსაც თავს დასტრიალებდა ანკონაში. ჯანი კარნევალისთან ამ ინტერვიუში, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლიდით იტალია — საქართველოს მატჩს, თუმცა სასაუბრო სხვაც გვქონდა.*

**— როცა თქვენი „ბათუმიდან“ წასვლა გადაწყდა, თქვით, რომ კარიერას მაინც საქართველოში გააგრძელებდით. თუ შემოგთავეზს რომელიმე გუნდში მუშაობა?**

— აზრი არ შემიცვლია, მართლაც მაქვს საქართველოში მწვრთნელად მუშაობის სურვილი. თქვენში არის რამდენიმე ისეთი კლუბი, რომელთაც ძალუძთ, სერიოზული პროგრამები წარმოადგინონ. კონკრეტულად კი ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, საიდან მოიტანეს ჩემი „ვიტ ჯორჯიაში“ მისვლის ამბავი, ამის თაობაზე კლუბის პრეზიდენტს ჩემთან არც უსაუბრია. თანაც „ვიტ ჯორჯიას“ საკმაოდ სერიოზული კაცი წვრთნის და ასეთ დროს ჩემი ამ გუნდში მისვლაზე ლაპარაკი უხერხულია. თუმცა მზად ვარ, ნებისმიერი კლუბის წინადადებას გამოვეხმაურო.

**— „ბათუმიდან“ თქვენს წასვლას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. საქმე მხოლოდ იმ ექვსი ფეხბურთელის გუნდიდან გაშვებაში არ უნდა იყოს. დიდი როლი იმანაც ხომ არ შეასრულა, რომ გუნდმა წინა ჩემპიონატში ევროსაგზური ვერ მოიპოვა, მომდევნოში კი მეტად უფერული სტარტი აიღო?**

— მე ჩემი სამწლიანი პროგრამა მქონდა და არ ვიცი, რატომ არ მაცალეს მისი განხორციელება. საერთოდ კი არ მსურს პოლემიკა ამ თემაზე. ბათუმი ძალიან შემიყვარდა... მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და როცა კლუბში სიტუაცია აირ-დაირევა, იქ მუშაობა აღარ ღირს.

**— ჩვენი კლუბებიდან რომელი იმსახურებს თქვენში ყველაზე დიდ სიმპათიას?**

— ჩემი გული „ბათუმს“ ეკუთვნის.

**— მაშინ გვითხარით, ვის უწინასწარმეტყველებდით ჩემპიონობას და საპრიზო ადგილებზე გასვლას?**

— ვთვლი, რომ ამ დროისთვის „ტორპედო“ საუკეთესოა და პირველობას ალბათ არც მერე დათმობს. კარგი გუნდები არიან „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“, „დინამო“, თუმცა ამ სამეულში „ლოკომოტივი“ ოდნავ უკეთ გამოიყურება. „ბათუმიც“ ნორმალური გუნდია. ნუ ჩამოწერთ „კოლხეთსაც“ — ფოთელებს თავის სიტყვა ჯერ არ უთქვამთ.

**— საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე გკითხავთ, საინტერესოა, იტალია — საქართველოს მატჩის თქვენეული შეფასება.**

— ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა. თქვენ შეგეძლოთ, სამი გოლი გაგეტანათ იტალიისთვის, მაგრამ ტოლდო იმ დღეს ბრწყინვალე იყო. ჯოვანი ტრაპატონის პირადად ვესაუბრე და ისიც ამ აზრზეა.

**— არბიტრის მიერ დანიშნულ თერთმეტმეტრიანები...**

— რა თქმა უნდა, თქვენი გუნდის მარცხი მხოლოდ ტოლდოს დამსახურება როდია. მსაჯს პენალტები არ უნდა დაენიშნა. პირველ შემთხვევაში რეხვიაშვილსა და ტოტის შორის ოდნავი კონტაქტი კი იყო, მაგრამ არა საპენალტო. ეს ინციდენტი კარგად დავინახე, რადგან ტრიბუნაზე იქვე, ახლოს ვიჯექი. დელ პიეროს მიერ მოპოვებულ თერთმეტმეტრიანზე ხომ ლაპარაკი აღარც კი ღირს.

**— ჩვენი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

— მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ერთი ტაიმიც არ უთამაშია, მომეწონა ჯამარაული, აგრეთვე რეხვიაშვილი, კალაძე. პირველი ტაიმის 30 წუთი კარგად ითამაშა არჩილ არველაძემ, ხოლო საუკეთესო თემურ ქეცბაია გახლდათ.

**— რამდენიმე იტალიური კლუბი ალბათ დაინტერესდა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებით, თუ გაქვთ ამის შესახებ რაიმე ინფორმაცია?**

— ალბათ უჩემოდაც იცით, რომ კალაძით „მილანი“ და „ნაპოლი“ არიან დაინტერესებულნი. დიდი ყურადღება მიიპყრო ჯამარაულმა, მოეწონათ აგრეთვე ახალგაზრდა ხიზანიშვილი, ხოლო მე რომ რომელიმე იტალიური კლუბის პრეზიდენტი ვიყო, წამიც და ქეცბაია აპენინზე ითამაშებდა. ტრავმას რომ არ შეეწუხებინა, ის კიდევ უფრო ძლიერად ითამაშებდა იტალიის ნაკრების წინააღმდეგ.

**— ლიტვასთან და იტალიასთან ჩატარებული საქართველოს ნაკრების მატჩების შემდეგ ალბათ პროგნოზის გამოთქმაც შეიძლება.**

— ჩემი აზრით ჯგუფში პირველ ადგილს იტალია დაიკავებს, მეორეს კი საქართველო. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ თქვენმა ნაკრებმა იტალიას უფრო მეტი პრობლემები შეუქმნა, ვიდრე რუმინეთმა და უნგრეთმა.

**დავით თავართქილაძე**



აფხაზეთის ნაკრების წინა მატჩი: ნაკრების თავდამსხმელი თემურ გადელია და ტორპედოელი მცველი მიხეილ მახვილაძე (№25)

# ხორვატიამდე რიმინიში

## ჭეიშვილს კარნევალი ეხმარება

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრები ორი წლით უმცროსებთან ერთად ის იშვიათი გამონაკლისია ფეხბურთში, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა შეძლეს, თუმცა 1998 წელს შვედეთში ვახტანგ კოპალეიშვილის გუნდმა ქვეჯგუფიდან ვერ გააღწია.

შარშან კოპალეიშვილმა და კომპანიამ შესარჩევი ეტაპი ვეღარ დაძლია, რასაც მწვრთნელის ცვლილება მოჰყვა — კოპალეიშვილი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის თანაშემწედ გადაიყვანეს, თვრამეტწლამდელები კი შოთა ჭეიშვილს ჩააბარეს.

20 ნოემბერს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. ჭეიშვილის გაწვრთნილი გუნდი ხორვატიას უნდა ეწვიოს და მასპინძელთა გარდა ესპანელ თანატოლთა ძლევას შეეცადოს.

— უკვე მოვილაპარკეთ იმაზე, რომ ხორვატიამდე ნაკრები იტალიაში შეიკრიბება. „ბათუმის“ ყოფილი მწვრთნელი ჯანი კარნევალი დაგვეხმარა და თვრამეტწლამდელები რიმინიში იცხოვრებენ. ორ ამხანაგურ შეხვედრასაც მოგვიწყობენ, თუმცა მეტოქეთა ვინაობა ჯერ არ დაგვიდგენია. ახლა იტალიიდან მოწვევასლა ველით — გვითხრა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ, ლევან ყიფიანმა.

თავად ჯანი კარნევალის თქმით, ის ქართველ ახალგაზრდებს თავისსავე ქალაქში არ გაჰყვება — მე მხოლოდ შეკრების ორგანიზებაში დავეხმარეო — აგვიხსნა ასაკობრივი ნაკრებების იტალიელმა კონსულტატმა.

**ვახტანგ მჭიძაძე**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე

## 12 ტური

27 ოქტომბერი, პარასკევი

**თორი 1:0 თბილისი**

**მეტალურგი 1:1 სამგურალი**

**გურია 3:1 შუქურა**

**მილანი 3:0 ოკეანე**

**ცხინვალი 5:1 ხობი**

**იბერია — ზუგდიდი**

*ზუგდიდელ ფეხბურთელთა მოწამვლის გამო მატჩი გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 12 | 8 | 1 | 3 | 36:12 | 25 |
| მილანი | 11 | 7 | 2 | 2 | 16:6 | 23 |
| გურია | 11 | 6 | 3 | 2 | 14:14 | 21 |
| შუქურა | 12 | 6 | 2 | 4 | 16:10 | 20 |
| თორი | 12 | 6 | 2 | 4 | 13:10 | 20 |
| ზუგდიდი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:13 | 19 |
| მეტალურგი | 12 | 5 | 4 | 3 | 13:11 | 19 |
| სამგურალი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:11 | 18 |
| ხობი | 12 | 3 | 4 | 5 | 8:14 | 13 |
| თბილისი | 12 | 2 | 1 | 9 | 4:20 | 7 |
| ოკეანე | 12 | 1 | 3 | 8 | 8:25 | 6 |
| იბერია | 11 | 1 | 2 | 8 | 5:23 | 5 |

ქვილო ანაგა
23 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
1000 (ტევადობა 3 000)

**მილანი 4:0 იბერია**

მეხუთე ტურის გამოტოვებული მატჩი

1:0 მელქაძე (17), 2:0, 3:0 ინასარიძე (30, 63), 4:0 სოსელია (85)

**მილანი:** გ. სომხიშვილი, ტარუღაშვილი, ლუდუშაური, კობაიძე, თელიაშვილი, ჩიტაური (მავშიშვილი 56), კაპანაძე, კ. მელქაძე (სოსელია 65), ჭყონია, მეძღვევი, ტოკლიკაშვილი (ინასარიძე 23)
სათადარიგონი: გოძიაშვილი, მეტონიძე, კიკვაძე, შ. სომხიშვილი

**იბერია:** ხვედელიძე, ყაჩლავაშვილი, შელაძე, ულუმბელაშვილი, ნეკერაშვილი, გოგალაძე, ჯობაძე, ელძაოვი, მინაძე (ბლიაძე 62), ჯაფარაშვილი, ნ. ჩალაძე
სათადარიგონი: ბალიანი, ვეშაპიძე, გ. ხაჩიძე

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი, მ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

11 ტური
ანონსი

# შემოდგომით ზამთრის დროზე

**ნაადრევად** დაგვიზამთრდა საქართველოში. მართალია, საბედნიეროდ, ჯერაც არ ყინავს, მაგრამ ამ უქმეებზე მთავრობა ზამთრის დროზე გადაგვიყვანს და...

დრო ერთი საათით დაიხევს უკან. ამიტომ ქართულ ფეხბურთს შუა თამაშში რომ არ შემოაღამდეს, ფეხბურთის ფედერაციამ მეთორმეტე ეროვნულის მატჩების ჩატარების დრო ერთი საათით უკან გადაწია. დაიმახსოვრეთ, არ შეგეშალოთ და ნუ დაიგვიანებთ — კვირა-ორშაბათიდან თამაშები 3 საათზე დაიწყება.

ახლა მეთერთმეტე ტურს მივხედოთ. მთავრდება მეთორმეტე ეროვნულის პირველი წრე. საკითხავია, ვისთვის როგორ, თორემ გათამაშებას დაძაბულობა წლეულსაც რომ არ აკლია, ფაქტია.

სადღაც ვიღაცას უხარია, ვიღაც ბოროტად იცინის. ზოგი ტირის და სადღაც ასაფეთქებლად გამზადებული ნაღმიც ერთ ნაპერწკალს ელის. არაფერია ჯერაც უნახავი, ყველაფერი ჩვეულია ქართული ფეხბურთისთვის.

მეთერთმეტე ტურის ორი ცენტრალური მატჩია ოქტომბრის ბოლოსწინა დღეს. ერთი ქუთაისში ჩატარდება, მეორე — თბილისში, ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი თავიანთ მარაქაში „მერანსაც" გარევენ და ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევას მოუნდებიან ორიოდ საათს.

მაშ ასე, ვიცე-ჩემპიონი ჩემპიონის წინააღმდეგ. დაუმარცხებელი „ტორპედო" ეჭვიანობით გათანგულ „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობს.

ხუთი თვის წინ მათი ქუთაისური დაპირისპირება დღესაც ბევრს ახსოვს. საკმაო მითქმა-მოთქმა მოჰყვა იმ თამაშს, მაგრამ ერთი ურყევი ფაქტი მაშინ მთელმა საქართველომ აღიარა, „ვიტ ჯორჯიამ" ქუთაისში მოპოვებული ქულის ფასად გაინაღდა ვერცხლის მედალი.

მას შემდეგ რამდენიმე ხანი გამოხდა, ვეტერინარებს მსაჯთა კორპუსთან ურთიერთობები გაუმწვავდათ. ძნელია თამაში, როცა ფსიქოლოგიურად დამუხტული, ზურგზე ტვირთმოკიდებული გადიხარ მინდორზე. დაძაბულია ყველა — კლუბის ხელმძღვანელი, მწვრთნელი და ფეხბურთელი. ნერვებიც დაწყვეტაზეა და ზოგჯერ ვიღაცის მცდარი და მართალი გადაწყვეტილება ერთმანეთში გერევა.

თუ ამ მავნე ფაქტორს „ვიტ ჯორჯიამ" თავი ვერ დააღწია, „ქუთაისში" ძალიან გაუჭირდება. ამას ისიც ემატება, რომ ვიტელებმა „კოლხეთთან" მეტად პრინციპული მატჩი დათმეს და გულგატეხილები ეწვევიან „ტორპედოს".

შესაძლებელია, ქუთაისელებმა ტრავმირებული ვალტერ გუჩუა ვერ ათამაშონ. დავით ჯანაშიაც კარგა ხანია მწყობრიდანაა გამოსული. დისკვალიფიცირებულია ნახევარმცველი კახა კვეტენაძე ჯერჯერობით ვერც სასჯელშემსუბუქებული ზურაბ არჩვაძე ითამაშებს, მაგრამ ვიტელთათვის ეს ვერაფერი ნუგეშია. „ტორპედოს" ბლომად ჰყავს კარგი ფეხბურთელები და მათ ხარჯზე დანაკლისის ანაზღაურება თავისუფლადაც ძალუძს.

ტრავმირებული „ვიტ ჯორჯიაშიც" არავინ გვეგულება. მართალია, „კოლხეთთან" მატჩში კობიაშვილმა წყლულის დასაამებლად მინდორი სამი წუთით დატოვა, მაგრამ თამაშის გაგრძელება შეძლო და კინაღამაც აზეირა მასპინძლები.

ერთმანეთისთვის ორივე უხერხული მეტოქეა. როგორ არა, „ტორპედოს" მოუგია „ვიტ ჯორჯიასთვის", მაგრამ აქამდე ბოლო ორი მატჩი, მცხეთასა და ქუთაისში, ფრედ დამთავრდა.

დაძაბული თამაში იქნება ქუთაისში, „ვიტ ჯორჯია" იოლად არაფერს დაუთმობს მეტოქეს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, არსებული ვითარების გათვალისწინებით, უპირატესობას „ტორპედოს" ვანიჭებთ. საბოლოო პროგნოზზე კი ბოდიშს მოვიხდით. ეს ისეთი მატჩია, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, დიდი ამბები დატრიალდეს.

„ლოკომოტივმა" მდევრებს გვარიანად დააღწია თავი და ახლა იმის მოლოდინშია, როდის დაუცდება ჩემპიონს ფეხი, რათა ქულათა სხვაობა რაც შეიძლება შეამციროს. ამისთვის რკინიგზელებმა პირველ რიგში „მერანი" უნდა დაამარცხონ.

გორში რევაზ ძოძუაშვილის გუნდი ძალიან ფრთხილი გვეჩვენა. იმ სიფრთხილემ სამი ქულა მოიტანა. არა მგონია, „ლოკომოტივმა" ავჭალელებსაც უკანმოუხედავად შეუტიოს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზეც რომ არ იფიქრებენ, ესეც ცხადია.

რევაზ ძოძუაშვილს არავინ ჰყავს ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული. როგორ მზადყოფნაში ეყოლება საბრძოლო შემადგენლობა, ამას თავად მატჩი გამოაჩენს.

„მერანშიც" ვერ არის საქმეები მთლად მშვიდად. ხელმძღვანელობა ქულებს მოითხოვს, მაგრამ ბოლო ორი მატჩიდან ერთილა შერჩა ხელთ და ნერვიულობის მიზეზი ესეცაა.

გაბელაიამ შეიძლება ფეხმტკივანი პოდლესნი ვერ ათამაშოს, დანარჩენები ჯანზე არიან.

„მერანს" მოგებას სთხოვენ, მაგრამ არის თუ არა ეს რეალური? არა მგონია, უფრო ლოგიკური იქნებოდა, ქულას დასჯერებოდნენ, თუმც „ეროვნულზე", სადაც „მერანს" ბურთაობა ტრადიციულად უჭირს, ფრის გაზრზებაც მეტად საეჭვოა.

კვირას ძალიან გაუჭირდება „გორდას". თითქმის არ არსებობს შანსი იმისა, რომ რუსთაველებმა შინ ქულა მაინც გაიყოლონ.

„დინამო" მოფერიანდა, თამაშიცააწყო და ბოლო დროს მეტოქეებს ადრინდელივით უმოწყალოდ უსწორდება. ათგზის ჩემპიონებმა კვირას უნდა მოიგონ.

„ბათუმს" შეუძლია, მშვიდად იყოს. დღევანდელი „იბერია" არაა ასლან ბალაძის გამჩერებელი გუნდი.

მასპინძლებს წინა ტურში გაძევებული გიორგი ქორიძე დააკლდებათ, მაგრამ სამი გაფრთხილების გამო „მერანთან" ბრძოლის გამომცხადებელი ამირან მუჯირი შემატებათ, მას კი მოედნის შუახაზის კონტროლიც შეუძლია. ასე რომ, დანაკლისი ანაზღაურებულია. როგორც ვიცით, ბალაძეს არც ტრავმირებულები ჰყავს. ჰოდა, მოუგია „ბათუმს" და ესაა.

რა მნიშვნელობა აქვს სოსო ფრუიძისთვის დისკვალიფიკაციას ან ტრავმებს. მწვრთნელი მაინც იძულებულია, გამოუცდელი ბიჭები გამოიყვანოს მინდორზე. ალბათ, კვლავ დამარცხდება „იბერია".

ბოლნისში დაძაბულობა და თავდაუზოგავი ბრძოლაა მოსალოდნელი. „სიონმა" ექვსეულის სუნი იგრძნო და ამიერიდან თავს შეაკლავს მეტოქეებს, იოლად არაფერს დაუთმობს. აღას სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაც ანატოლი მილჩენკოს ნაჩუქარი წიგნი უკვე აქვს და სწორედ მისი საშუალებით გააკონტროლებს მსაჯთა ქმედებებს. თუ ბოლნისში კვირასაც სიმშვიდე იყო და მსაჯებიც მშვიდად ჩამოვიდნენ თბილისში, მაშინ მილჩენკოს მართლაც ათიანში მოურტყამს.

სტუმარი თსუ არაა არაფრის დამთმობი. თენგიზ კაციას ახალგაზრდა ბიჭებს ექვსეულში მოხვედრის შანსი ჯერაც არ დაუკარგავთ. მართალია, მწვრთნელმა თსუ სასურველი შემადგენლობით თითქმის ვერ ათამაშა, მაგრამ ტრავმირებულთა გარეშეც არ აკლიათ შემართება სტუდენტებს.

დუელში უპირატესობას მასპინძლებს ვანიჭებთ, მაგრამ არც ის იქნება გასაკვირი, გუნდები მშვიდობით გაიყარნენ.

ფოთის „კოლხეთი" ამაღლებული განწყობით დაუხვდება ნირწამხდარ „დილას". „ფაზისის" ბინადარნი თამაშს თამაშზე აუმჯობესებენ, თანაც თანდათან ძლიერდებიან. ჯერ დავითნიძეო, მომავალში ქვაჩახია-ქობულაძის დამატებას აპირებენ. სოსო ფილიაუბის წიგნაკში ორი-სამი ფეხბურთელის გვარ-სახელიც წერია და მათ გადასაბირებლად მოლაპარაკებებიც დაწყებულა.

„დილა" ფოთში ვერ ჩაიყვანს ტრავმირებულ კოტორაშვილს. ეს სერიოზული დანაკლისია. მართალია, გორელებს ფინანსურადაც არ უჭირთ, არც სავარჯიშო ინვენტარი აკლიათ, მაგრამ გუნდი ჯერაც ჩამოუყალიბებელ-დაუწყობელი ჰყავთ.

ამიტომ ვამბობთ, რომ „კოლხეთმა" უნდა მოიგოს და ეს თუ ასე არ მოხდა, მაშინ სენსაციაც გამომცხვარა და კიდევ აფერუმ გორელთა ვაჟკაცობას.

ზამთარი კი კარს მოგვდგომია. ისე, თითქოს არც შეგვიმჩნევია, მაგრამ ალბათ გავუძლებთ როგორმე. ფეხბურთის თამაში ზამთარგიც შეიძლება.

**მამუკა ძგანტალიანი**

თბილისი. „ეროვნული". 29 ოქტომბერი. 15 საათი

## დინამო — გორდა

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ბოლნისი. „თემურ სტეფანია". 29 ოქტომბერი. 15 საათი

## სიონი — თსუ

მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი; ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ბათუმი. „დინამო". 29 ოქტომბერი. 15 საათი

## ბათუმი — იბერია

მსაჯები: ა. კრიკაშვილი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა), ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ქუთაისი. „ტორპედო". 30 ოქტომბერი. 15 საათი

## ტორპედო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. „ეროვნული". 30 ოქტომბერი. 15 საათი

## ლოკომოტივი — მერანი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; ბ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ვრუაშვილი

ფოთი. „ფაზისი". 30 ოქტომბერი. 15 საათი

## კოლხეთი — დილა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა



მეთერთმეტე ეროვნულის „ტორპედო" — „ვიტ ჯორჯია" 0:0.
ქუთაისში მოპოვებულმა ქულამ ვიტელებს ვიცე-ჩემპიონობა მოუტანა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 10 | 10 | 0 | 0 | 18:2 | 16 | 30 | 5 | 5 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 15 | 5 | 5 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 15 |
| 2 ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 22:6 | 16 | 24 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 9 | 6 | 5 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 15 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 2 | 2 | 15:5 | 10 | 20 | 5 | 3 | 0 | 2 | 3:2 | 1 | 9 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:3 | 9 | 11 |
| 4 დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 19:12 | 7 | 19 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 4 | 9 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 10 |
| 5 სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 9:9 | 0 | 13 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 7 |
| 6 მერანი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | -2 | 13 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 12 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 1 |
| 7 კოლხეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 11:13 | -2 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:9 | -4 | 3 |
| 8 გორდა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:16 | -6 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:10 | -8 | 2 |
| 9 ბათუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:14 | -3 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 2:10 | -8 | 1 |
| 10 თსუ | 10 | 3 | 1 | 6 | 12:19 | -7 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:12 | -6 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 11 დილა | 10 | 2 | 2 | 6 | 8:18 | -10 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 3 |
| 12 იბერია | 10 | 0 | 1 | 9 | 1:20 | -19 | 1 | 6 | 0 | 1 | 5 | 0:13 | -13 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | -6 | 0 |

ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 8 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 6 - იონანიძე | ტორპედო |
| 5 - რუსია | ლოკომოტივი |
| 4 - აფხაზავა | ბათუმი |
| ზირაქიშვილი | დინამო |
| მოსეშვილი | სიონი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| წუწუნავა | თსუ |
| გ. შენგელია | ლოკომოტივი |



# ვენგერი მიდის

**ᲬᲐᲡᲕᲚᲐ** პროტესტის ფორმაა, მას უფრო ხშირად პოლიტიკოსები მიმართავენ, ხანდახან სხვებიც. არსენ ვენგერიც პროტესტის სხვა ფორმებს (შიმშილობა, პირის ამოკერვა, თავის გადაპარსვა) ამას ამჯობინებს.

„თუ ევროკავშირი არსებულ სატრანსფერო სისტემას გააუქმებს, საკლუბო ფეხბურთიდან წავალ — თქვა „არსენალის" ფრანგმა თავკაცმა და დაიჩივლა — მუშაობის საშუალება გვესპობა. კაცი წვალობ, გინდა, რომ სტაბილური შემადგენლობა გყავდეს და ამ დროს ფეხბურთელს როცა უნდა, მაშინ გაგექცევა. მოკლედ, მთელი გარჯა წყალში გეყრება. ამასთანავე, არავინ იტყვის, მწვრთნელს ნორმალურად მუშაობის საშუალება არა აქვსო და ყველაფერი ისევ ჩვენ დაგვბრალდება".

ვენგერს „არსენალთან" კონტრაქტი 2002 წლამდე აქვს, ევროკავშირმა კი ფიფას ალტერნატიული სატრანსფერო სისტემის პროექტის მოსამზადებლად ვადა ამა წლის 31 ოქტომბრამდე მისცა.

გავიხსენოთ, რომ ვენგერი აქამდე ამბობდა, ინგლისის ნაკრებში კევინ კიგანის ადგილის დაკავების სურვილი არ მაქვს, „არსენალს" არ ვუღალატებო, ახლა კი: „ვფიქრობ, თუ ევროკავშირმა თავი გაიტანა, საკლუბო ფეხბურთი ხიბლს დაკარგავს და სანაკრებო ფეხბურთი ბევრად საინტერესო გახდება. მეც რომელიმე ნაკრებში ვამჯობინებ მუშაობას".

## ფიფა შემცირდა

**ᲤᲘᲤᲐᲛ** თავისი რიგებიდან ტანზანია მოკვეთა. აღმოსავლეთ აფრიკული ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას სრული ერთი კვირა ჰქონდა ფიფას ულტიმატუმის შესასრულებლად და მკაცრი სასჯელის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ...

საქმე ასეა: ტანზანიაში დააპატიმრეს ფედერაციის პრეზიდენტი მუჰიდინ ნოდლანგა და გენერალური მდივანი ისმაილ ადენ რაგა. მათ თაღლითობაში და ფედერაციის კუთვნილი 52 500 დოლარის მითვისებაში ადანაშაულებენ.

ფედერაციის აღმასკომმა ახალი არჩევნების ვადაც დათქვა.

თითქოს სადავო არაფერია, მაგრამ ფიფამ სხვაგვარად განსაჯა. მან ბრძანა: პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს უფლებამოსილება აღუდგინეთ. შექმენით ექვსკაციანი ჯგუფი, რომელშიც ეს ორიც შევა და ტანზანიური ფეხბურთის პრობლემები მშვიდობიანად გაარჩიეთო. მაგრამ როგორ? პრეზიდენტი და მდივანი პოლიციამ დააპატიმრა და ფედერაციას ვინ რას ეკითხება.

საქმეში ტანზანიის მთავრობა ჩაერია, რომელმაც ფიფასგან ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა იუკადრისა და ზეპ ბლატერს' სათანადო პასუხიც გასცა. შედეგი უკვე ვიცით.

# პორტუგალია ფიგუსია

### კატალონიელებს „მოღალატის" ლანძღვა საზოგადოდაც მოუნდათ

**ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ**, კატალონიელები, ბასკები და გალისიელები ნაღდი ესპანელები არ არიან და გამუდმებით ცდილობენ თავიანთი ავტონომიურობის წარმოჩენას. ამ მხრივ განსაკუთრებით ბასკები აქტიურობენ, გალისიელები შედარებით ჩუმად არიან, ხოლო კატალონიელთათვის გამორჩეულობის უპირველესი ნიშანი ფეხბურთია.

უკვე რამდენიმე წელია, კატალონიის ფეხბურთის ფედერაცია რომელიმე ქვეყნის ნაკრებს იწვევს და ეგრეთ წოდებულ კატალონიის ნაკრებს აჯიბრებს. მათი წინა მეტოქეები ბულგარეთი, ნიგერია და იუგოსლავია იყვნენ. წლეულს ასეთი მატჩის გამართვა 22 დეკემბერს დაიგეგმა, მოწვევა კი პორტუგალიის ნაკრებმა მიიღო.

პორტუგალია და ფიგუ — ალბათ, უკვე მიხვდით, საითაც უმიზნებენ კატალონიელები. ნებისმიერ სხვა გუნდთან თამაშისადმი ინტერესი რეგიონის ფარგლებს არ გასცდებოდა, ფიგუს „კამპ ნოუზე" ჩასვლა კი ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენა იქნება.




„კამპ ნოუ" ფიგუს ასე დახვდა. ცხადია, უკეთესი არც მომავალში ელის

ცხადია, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციაც ჩასწვდა კატალონიელთა სურვილის არსს. იქაურ ჩინოსნებს „ბარსელონა" — „რეალიც" ნანახი ჰქონდათ, ყველაფერი აწონ-დაწონეს და კატალონიაში ასეთი შინაარსის წერილი აფრინეს: „გვესმის, რომ ნებისმიერი კლუბის ქომაგები მეტოქე ფეხბურთელთა წინააღმდეგ არიან განწყობილნი, მით უმეტეს, თუ ფეხბურთელი ადრე მათ გუნდში თამაშობდა. მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის გადაბიჯებაც არაკორექტულია და შეურაცხყოფას აყენებს არა მხოლოდ ფეხბურთელს, არამედ მთელ ერს. კატალონია-პორტუგალიის მატჩი ფიფას ეგიდით არ იმართება, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია, ოფიციალურად გამოვიძახოთ ნაკრების ფეხბურთელები — ეს მთლიანად მათ სურვილზეა დამოკიდებული. ჩვენ ვიცით მოთამაშეთა აზრი. ისინი თვლიან, რომ მაყურებელთა სავარაუდო ქცევის გამო მათი „კამპ ნოუზე" გასვლა სახიფათოა. აქედან გამომდინარე, ფედერაცია შეუძლებლად მიიჩნევს, მათ ბარსელონაში ჩასვლა სთხოვოს".

მოკლედ, კატალონიელები ახალ მეტოქეს ეძებენ.

# კურკო ყიამყრალი

**ᲒᲐᲡᲣᲚ** სეზონში პირველიდან მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულმა ბილეფილდის „არმინიამ" სამი დღის წინ 32 წლის იუგოსლავიელი მეკარე გორან კურკო გუნდიდან გააგდო.

„კურკომ ჩვენი მაყურებელი გაანაწყენა და გუნდის იმიჯი შელახა. თან, ქომაგებს გვიფრთხობს. იგი გუნდში გასაჩერებელი არ არის" — ასე ახსნა მიღებული გადაწყვეტილება „არმინიას" პრეზიდენტმა ჰანს-ჰერმან შვიკმა.

ბუნებრივია, იკითხავთ — რა ჩაიდინა კურკომ ასეთიო. რა და წინა ტურში, „არმინია" — „ვალდჰოფის" მატჩის დროს, გულშემატკივრებთან კონფლიქტი მოუვიდა. 62-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა რაღაცით უკმაყოფილო კურკო ტრიბუნებისკენ მიტრიალდა და ქომაგები გამოლანძღა. იქიდან რომ ხურდა მიიღო, ამას არ დასჯერდა და გულშემატკივრებს გვარიანად აგინა, მერე თავი დაადო და არავის ჰკითხა, ისე გაუდგა გასახდელის გზას. ეს რომ მწვრთნელმა დაინახა, მივიდა და კარში დაბრუნება სთხოვა თუ უბრძანა. კურკომ მწვრთნელის ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა, მინდორზე მიბრუნება იუარა და გასახდელში გაუჩინარდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით „არმინიას" დირექტორატმა ოთხი საათი იმსჯელა და საბოლოოდ ფეხბურთელთან კონტრაქტის შეწყვეტა გადაწყვიტა.

ასე დაშორდა „არმინიას" გორან კურკო, რომელიც გუნდში ამ ზაფხულს მივიდა. შედეგად, „არმინია" უმეკარეოდ დარჩა. განაცხადში, მართალია, ზდენკო მილეტიჩი და დენის აილჰოფიც ჰყავს, მაგრამ მილეტიჩი ტრავმირებულია, აილჰოფი კი გერმანიის 18-წლამდელთა



გორან კურკომ მაყურებლებს აგინა

ნაკრებშია მივლინებული. ამიტომაც „არმინიას" ხელმძღვანელობამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირს მიმართა, იქნებ 18-წლამდელთა მთავარ მწვრთნელთან გვიშუამდგომლოთ და აილჰოფი დაგვიბრუნოთ, თორემ „როიტლინგენთან" კარში მინდვრის მოთამაშის ჩაყენება დაგვჭირდებაო. „არმინიას" თხოვნა დაკმაყოფილდა.

კურკოს კი, ალბათ, კარიერის დასრულება მოუწევს, რადგან უმსგავსო საქციელი ადრეც ჩაუდენია. ასეთი ფეხბურთელის აყვანას ხომ, წესითა და რიგით, ყველა ევროპული კლუბი უნდა მოერიდოს.

**განო ოქროპირიძე**

ფეხბურთის



**ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ** მცველი ჟულიო სეზარი „მილანმა" 2001 წლის ივლისამდე ინათხოვრა. ფეხბურთელი აქამდე მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავდა, სადაც. შარშან „ვალიდოლიდში" ჩაირიცხა და წინა სეზონში 21 შეხვედრა ჩაატარა. წლეულს კი „სამეფო კლუბის" შემადგენლობაში სეზარმა მხოლოდ ერთხელ ითამაშა — ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში ლისაბონის „სპორტინგის" წინააღმდეგ. მილანურ კლუბს „ჰამბურგის" მცველის ინგო ჰერჩის შეძენაც სურს. ახალგაზრდა ფეხბურთელს გერმანულ კლუბთან კონტრაქტი 2003 წელს უსრულდება, თუმცა არ გამორიცხავენ, ბუნდესლიგა გაცილებით ადრე დატოვოს.

**ᲤᲠᲐᲜᲒᲘ მცველი ლილიან მარტინი „დერბი ქაუნთის" არ უყიდია. აქამდე გავრცელებული ინფორმაცია პრემიერლიგელთა თავკაცმა ჯიმ სმიტმა უარყო: „მარტინმა კლუბში მხოლოდ ორი დღე გაატარა, თუმცა მასთან კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია. არ გამოვრიცხავ, შეთანხმებას მომავალში მივაღწიოთ, მაგრამ ფეხბურთელს, ალბათ, მაქსიმუმ სეზონის ბოლომდე დავიტოვებთ". 29 წლის მარტინმა 1997 წელს „მონაკოსთან" ერთად საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, შემდეგ იგი მარსელის „ოლიმპიკში" გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და გუნდის გამოცვლას აპირებს.**

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ** ჩემპიონ „მონაკოს" მექსიკელ მცველს რაფაელ მარკეშს კლუბის ექიმებმა სულ მცირე ორი კვირით დასვენება ურჩიეს, ამიტომ იგი ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ტურის მატჩს „რეინჯერსის" წინააღმდეგ, ალბათ, გამოტოვებს. აღსანიშნავია, რომ მონაკოელებს გლაზგოელებთან კიდევ ორი მოთამაშე არ ეყოლებათ — მცველი ფრენკ ჟურიეტი და ნახევარმცველი მარტინ ჯეტუ, რომლებმაც „გალათასარაისთან" წითელი ბარათები მიიღეს.

**ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ მცველი ფრანკ დე ბური შეწუხებულია „ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვით და აპირებს, ეს საკითხი მწვრთნელ ლორენს სერა ფერერთან გაარკვიოს. „ვერ გამიგია, სათადარიგოთა სკამზე რატომ აღმოვჩნდი. მართალია, სასტარტოში მოხვედრისთვის კონკურენციაა, მაგრამ ახლაც ისეთივე ფორმაში ვარ, როგორც ადრე, როცა მათამაშებდნენ" — განაცხადა ფრანკ დე ბურმა.**

**ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ** „პარი სენ ჟერმენის" ნახევარმცველი ალი ბენარბია უმსგავსო საქციელისთვის კლუბმა დააჯარიმა, თუმცა პარიზელებს კონკრეტული მიზეზი არ განუცხადებიათ. გუნდის პრეზიდენტის თქმით, ეს ჩვეულებრივი სადისციპლინო სასჯელია.

**ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲡ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. პოსტი, რომელიც ჰენრი კასპერჩაკმა გაათავისუფლა, უმბერტუ კოელიუმ ჩაიბარა. ქვეყნის ფეხბურთელის ფედერაცია თავიდან რამდენიმე კანდიდატს ასახელებდა, მათ შორის არიგო საკის, ლუის ფერნანდესსა და კლოდ ლერუას, მაგრამ ბოლოს არჩევანი კოელიუზე შეაჩერა. შეგახსენებთ, რომ 50 წლის სპეციალისტი ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრებს თავკაცობდა, თუმცა ნახევარფინალში ფრანგებთან დამარცხების შემდეგ გადადგა.**

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ** „ასტონ ვილას" ნახევარმცველმა პოლ მერსონმა კლუბთან ხელშეკრულება ერთი წლით გაახანგრძლივა. 32 წლის მოთამაშის შეძენა რამდენიმე პრემიერლიგურ კლუბს სურდა, თუმცა მან „ვილა პარკზე" დარჩენა ამჯობინა. „თუ ვინმე ახალ კონტრაქტს იმსახურებს, მათ შორის ერთ-ერთი მერსონია. ძალიან გამეხარდა, რომ მან ჩვენთან დარჩენა ისურვა" — განაცხადა ბირმინგემელთა თავკაცმა ჯონ გრეგორიმ. შეგახსენებთ, რომ მერსონი ადრე ინგლისის ნაკრების ღირსებას იცავდა, „ასტონ ვილაში" კი 1998 წელს „მიდლსბროდან" 6,75 მილიონ გირვანქად გადავიდა. „მინდოდა, კარიერა ასტონ „ვილაში" დამესრულებინა და ახლა ამის შესაძლებლობა მომეცა" — გაიხარა თავად ფეხბურთელმაც.

**ᲢᲣᲜᲘᲡᲔᲚᲘ ზუბეიარ ბაიას „ფრაიბურგთან" კონტრაქტი უსრულდება და შესაძლოა, კლუბი გამოიცვალოს. ბუნდესლიგელები მას ახალ კონტრაქტს სთავაზობენ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელი ნაკრებში თამაშზე უარს იტყვის. „თუ ბაია ნაკრებში წავა, გუნდში ზამთრის არდადაგების შეკრებას და შემდგომ ხუთ ტურს გააცდენს, რადგან ზუსტად ამ დროს ტუნისის ნაკრებს აფრიკის თასის მატჩები ელის. თანაც კლუბს დაღლილი დაუბრუნდება. ამიტომ მისივე ასარჩევია, ნაკრებში წავიდეს თუ „ფრაიბურგში" დარჩეს — განაცხადა გერმანული გუნდის მენეჯერმა ანდრეას რეტინგმა.**

**ᲠᲣᲡᲛᲐ** ფორვარდმა ალექსანდრ პანოვმა, რომელმაც „სენტ ეტიენის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და „ლოზანაში" გაანათხოვრეს, განაცხადა, რომ შვეიცარიაში თამაში აღარ სურს. „ლოზანაში" დეკემბრამდე უნდა დავრჩენილიყავი, თუმცა არ მგონია, მანამდე გავძლო" — განაცხადა 25 წლის ფეხბურთელმა, რომელიც „სენტ ეტიენში" სეზონის დასაწყისში „ზენიტიდან" ჩაირიცხა და ფრანგულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატის მატჩი „გალათასარაისა" და „ანთალიასფორს" შორის, რომელიც 4 ნოემბერს იყო დაგეგმილი, სტამბოლური კლუბის მოთხოვნით გადაიდო. „გალათასარაის" ჩემპიონთა ლიგაში გრაცის „შტურმის" წინააღმდეგ მეტად პრინციპული მატჩი ელის და ფედერაციას თხოვნით მიმართა. შეხვედრის ჩატარების თარიღი ჯერჯერობით არ დაუდგენიათ.**

**ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲛᲐ** „ინტერმა" ფორვარდი კორადო კოლომბო და ნახევარმცველი სიქსტო პერალტა სეზონის ბოლომდე „ტორინოში" გაანათხოვრა. ორივე ფეხბურთელი ზაფხულში მარჩელო ლიპიმ შეიძინა. იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი კოლომბო მილანში „პისტოიეზედან" გადავიდა და ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო პერალტა მანამდე არგენტინულ „რასინგში" თამაშობდა. აქვე ისიც ვთქვათ, როს სერია A-დან შარშან დაქვეითებულ „ტორინოს" ამჟამად „ინტერის" ყოფილი თავკაცი ლუიჯი სიმონი წვრთნის.

**ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲛᲐ პოლიციამ „ფეინოორდისა" და „აიაქსის" ფანები დააკავა. ისინი კლუბებს უეფას თასზე, შესაბამისად „ბაზელისა" და „ლოზანას" წინააღმდეგ მატჩებში საქომაგოდ ჩაჰყვნენ. ასობით თავგასულმა ფანმა ქუჩებში აურზაურის ატეხვა და წესრიგის დარღვევა სცადა, მაგრამ ბევრ მათგანს სამართალდამცველებმა რკინის ხელკეტები აართვეს. ამის შემდეგ ქომაგთა ჯგუფი უკან გააბრუნეს.**

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲐ** და ინგლისის ნაკრებებს შორის ტურინში დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრის დროს შემოსული თანხა სამხრეთ ალპებში მომხდარი წყალდიდობისას დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს მოხმარდება. სტიქიამ 25 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.


**იყიდება**

**ბილიარდის მაგიდა**

**(1.50×2.80)**

**კარგ მდგომარეობაში**



☎ 95 00 66

ეროვნული ბიბლიოთეკა



## უეფას თასი. II ეტაპი.
### პირველი მატჩები. 23-26 ოქტომბერი

UEFA CUP

ვისლა (პოლონეთი) 0:0 პორტუ (პორტუგალია)

ტიროლი (ავსტრია) 1:0 შტუტგარტი (გერმანია)
1:0 მაირი (54)
გაძევება: ტოდტი (30, შტუტგარტი), ბაური (89, ტიროლი)

ლოკომოტივი (რუსეთი) 1:0 ინტერი (სლოვაკეთი)
1:0 ლოსკოვი (38პ)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, დროზდოვი, ევსეევი, პაშინინი (ჩუგუნენკო 42), ჩუგაინოვი, სარქისიანი, სენნიკოვი, ჯანაშია (ტერიოხინი 80), ლოსკოვი, მამინოვი (ხარლაჩევი 61)
მწვრთნელი: იური სიომინი
7 000 მაყურებელი

ლილესტრიომი (ნორვეგია) 1:3 ალავესი (ესპანეთი)
0:1 იბონ ბეგონია (2), 0:2 ტელიესი (22), 0:3 კონტრა (47), 1:3 მელანდი (84)

ნანტი (საფრანგეთი) 2:1 მტკ (უნგრეთი)
0:1 ილეში (28), 1:1 ზიანი (63), 2:1 ჟილე (73)

ჰერტა (გერმანია) 3:1 ამიცა (პოლონეთი)
1:0 პრეეცი (8), 2:0 ბაინლიხი (46), 3:0 რაისი (65), 3:1 პისკულა (88)

პარმა (იტალია) 2:0 დინამო (ხორვატია)
1:0, 2:0 ამოროზო (61, 78)

აეკ (საბერძნეთი) 5:0 ჰერფიოლგე (დანია)
1:0, 2:0 ნიკოლაიდისი (48, 53), 3:0 ზიკოსი (61), 4:0, 5:0 ნიკოლაიდისი (64, 75)

ოფი (საბერძნეთი) 2:2 სლავია (ჩეხეთი)
0:1 ნეკაში (30), 1:1 კოლიციდაკისი (42), 1:2 რადა (70), 2:2 მაურო სილვა (78)

ლოზანა (შვეიცარია) 1:0 აიაქსი (ჰოლანდია)
1:0 მაცონი (38)
აიაქსი: გრიმი, ვიერკლაუ (შ. არველაძე 64), პასანენი, კოვუ, ბერგდოლმო, იკედია, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი (იაკუბუ 64), ვინტერი, მახლასი, ვამბერტო
მწვრთნელი: კო ადრიანსე
11 500 მაყურებელი

ბაზელი (შვეიცარია) 1:2 ფეიენოორდი (ჰოლანდია)
0:1 კალუ (60), 1:1 ჩუგა (62), 1:2 ბოსველტი (84)

ჰალმსტადი (შვედეთი) 3:2 მიუნხენ 1860 (გერმანია)
1:0 სვენსონი (13), 2:0 სელაკოვიჩი (34), 2:1 მაქსი (35), 2:2 ჰესლერი (37პ), 3:2 რ. ანდერსონი (56)

ბრიუგე (ბელგია) 2:1 სენტ გალენი (შვეიცარია)
0:1 ამოა (28), 1:1 ლემბი (53პ), 2:1 ვერმანტი (76პ)

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:0 სელტა (ესპანეთი)
1:0 დრულიჩი (62)

ბორდო (საფრანგეთი) 1:1 სელტიკი (შოტლანდია)
1:0 დიუგარი (22), 1:1 ლარსონი (24პ)

ინტერი (იტალია) 0:0 ვიტესი (ჰოლანდია)

რაიო ვალეკანო (ესპანეთი) 1:0 ვიბორგი (დანია)
1:0 კვედო (18)
გაძევება: პოშნერი (51, რაიო ვალეკანო)

ლივერპული (ინგლისი) 1:0 ლიბერეცი (ჩეხეთი)
1:0 ჰესკი (87)

ესპანიოლი (ესპანეთი) 4:0 გრაცერი (ავსტრია)
1:0 ტამუდო (15), 2:0 გალკა (20პ), 3:0, 4:0 სერხიო (30, 45)
გაძევება: აკოტო (26, გრაცერი)

ბოავიშტა (პორტუგალია) 0:1 რომა (იტალია)
0:1 მონტელა (74)
გაძევება: ჟოზე როჟერიუ (42, ბოავიშტა)

უდინეზე (იტალია) 1:0 პაოკ (საბერძნეთი)
1:0 მარგიოტა (90)

ვერდერი (გერმანია) 4:1 გენკი (ბელგია)
1:0 ერნსტი (16), 2:0 პერცოგი (28), 2:1 სონკი (35), 3:1 ბაუმანი (56), 4:1 ბოდე (72)
გაძევება: ბილტონი (43, ვერდერი)

ოსიეკი (ხორვატია) 2:1 რაპიდი (ავსტრია)
1:0 ბიელიკა (27), 1:1 რადოვიჩი (37), 2:1 ბიელიკა (90პ)

ირაკლისი (საბერძნეთი) 1:3 კაიზერსლაუტერნი (გერმანია)
0:1 კლოსი (7), 0:2 ხრისტოვი (35), 1:2 კონსტანტინუ (47პ), 1:3 ტავლარიდისი (64ა.გ.)

**„ლოზანა“ — „აიაქსის“** მატჩის დასრულებამ სტადიონზე შეკრებილი 12 ათასამდე შვეიცარიელი ქომაგი ძალიან გაახარა — მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. ბოლოს „ლოზანამ“ ევროტურნირებზე შინ ცხრა წლის წინ ბელგიურ „გენტთან“ წააგო. მას შემდეგ შვეიცარიელებმა ექვსი საშინაო შეხვედრა გამართეს: იტალიურ „ლაციოს“ ფრედ ეთამაშნენ, ესპანური „სელტა“, სომხური „ცემენტი“, ირლანდიური „კორკ სიტი“ და რუსული „ტორპედო“ კი დაამარცხეს. ახლა ლოზანელებმა შოთა არველაძის „აიაქსი“ იმსხვერპლეს.

ერთადერთი გოლი 38-ე წუთზე გავიდა. ლომბარდო — ჰელებიკის კომბინაცია მაცონიმ დააგვირგვინა, რომელმაც პასანენი ჩამოიშორა და გრიმს კარგად დაურტყა. მასპინძლებს გატანა აქამდეც მართებდათ და ამის შემდეგაც, მაგრამ მიზანს ვერაფრით მიაღწიეს. ლომბარდოსა და კუცბას სამ-სამი მომენტი ჰქონდათ, რომლებიც წყალს გაატანეს, ბაუდრიმაც ვერ ივარგა. „აიაქსი“ არველაძის გამოჩენის შემდეგ გააქტიურდა — მახლასმა, შოთამ და ვინტერმა კარგი მომენტებიც შექმნეს, მაგრამ...

ყველაფერი ამსტერდამში გადაწყდება.

ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სლოვაკურ „ინტერს“ უმასპინძლა. მატჩამდე რუსები დიდ გულზე იყვნენ, ორრაუნდიანი დუელის ბედი მოსკოვში უნდა გადავწყვიტოთო, მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე. როგორც გამოჩნდა, „ინტერი“ რკინიგზელებს კლასით ნამდვილად არ ჩამოუვარდება. სახიფათო მომენტებით მწირი თამაში საბოლოოდ მასპინძლებმა ლოსკოვის პენალტით მოიგეს. ჯანაშიამ 80 წუთი ითამაშა და თავი გაფრთხილებით გამოიჩინა. ორჯერაც კარში სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ არაზუსტად.

ინსბრუკის „ტიროლი“ რომელმაც წინა ეტაპიდან იტალიური „ფიორენტინა“ გააგდო, თავის დროზე კი უეფას თასიდან თბილისის „დინამოც“ დაიფრინა, ეშხში შევიდა. ავსტრიელებმა ამჯერად გერმანული „შტუტგარტი“ იწვიეს და 1:0 დაამარცხეს. 54-ე წუთზე კოლერის ჩაწოდებული ბურთი კარნელის შეცდომის შემდეგ მაირმა კარში გადაგზავნა. ამ დროს სტუმრები ათი კაცით იყვნენ მინდორზე, რადგან მსაჯმა ტოდტს ჰორტნაგელის წინააღმდეგ უხეშობა არ აპატია და გასახდელის გზას გაუყენა. რიცხობრივი თანაფარდობა კი აღდგა (ბოლო წუთზე ავსტრიელებს ბაური გაუძევეს), მაგრამ გოლებისა — არა..

სტუმრად წააგო კიდევ ერთმა გერმანულმა კლუბმა, „მიუნხენ 1860“-მა. ვერნერ ლორანტის შეგირდები შვედეთის ჩემპიონატის ლიდერ „ჰალმსტადს“ ეწვივნენ.

თამაშის წინ გერმანელთა გასახდელში კლუბის პრეზიდენტი კარლ-ჰაინც ვილდმოზერი ჩავიდა და ფეხბურთელებს შეჰპირდა, თუ შემდეგ ეტაპზე გახვალთ, პრემიებს — თითოს 30 ათას მარკას დაგირიგებთო. მართალია შვედებს მსგავს პრემიებს არ შეპირებიან, მაგრამ მასპინძლებმა მეტოქეს თავი შეაკლეს და მიუხედავად იმისა, რომ გულშემატკივრების მხარდაჭერა აკლდათ (ტრიბუნაზე მჯდომი 3 ათასი კაციდან თითქმის ნახევარი მიუნხენელი იყო), გერმანელები გვარიანად ანერვიულეს. ანგარიში მალე გაიხსნა — მე-13 წუთზე სვენსონმა ჰოფმანი თავით დაამწუხრა. მერე 34-ე წუთიც დადგა, როცა სელაკოვიჩმა სტუმრებს მეორე გოლი გაუტანა, მაგრამ რად გინდა, სამ წუთში შვედებს ყველაფერი წყალში ჩაეყარათ — ტაბლოზე უკვე 2:2 ენთო. ჯერ მაქსმა შეაგდო, მერე ჰესლერმა ტაისის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. შვედებმა თავისი მაინც გაიტანეს: 56-ე წუთზე რობერტ ანდერსონმა ივარგა.

ბერლინის „ჰერტას“ თავი უკვე შემდგომ ეტაპზე ეგონა, როცა ამიცელმა პისკულამ 88-ე წუთზე პრეეცის, ბაინლიხისა და რაისის გოლებს ერთით უპასუხა — 1:3. ამან პოლონურ გუნდს საერთო გამარჯვების მცირე იმედი ჩაუსახა, რომელიც ალბათ ორ კვირაში საპნის ბუშტივით გაქრება.

ბარსელონის „ესპანიოლთან“ ჩატარებული პირველი ტაიმი ავსტრიულ „გრაცერს“ არასდროს დაავიწყდება. ამ შეხვედრაში რაც საინტერესო მოხდა, ყველაფერი პირველ 45 წუთში იყო — ოთხი გოლი და ერთი წითელი ბარათი. გარდა იმისა, რომ „გრაცერმა“ ესპანელებისგან ოთხი ბურთი გაუშვა, მათ მსაჯმა აკოტოც გაუძევა. შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ამ წყვილში, ფაქტობრივად, ცნობილია.

რომ არა ემილ ჰესკი, „ლივერპული“ ქომაგთა რისხვას ვერ გადაურჩებოდა. აბა, „ლივერპული“ რომ გქვია და მშობლიურ „ენფილდზე“ მარტივად მოთამაშე საეჭვო კლასის „ლიბერიცს“ ვერ უტან, სხვას რას უნდა ელოდე.

ის ერთადერთი გოლი 87-ე წუთზე, ნიკ ბარმბის გარღვევას მოჰყვა. მისი დარტყმული ჩეხმა მცველებმა მოიგერიეს, ჰესკიმ კი დამატებაზე ივარგა. ყოფილი ლესტერელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო სამ შეხვედრაში მან მეხუთედ გაიტანა. აი, რობი ფაულერს კი ვერაფრით შევაქებთ. მან თერთმეტი მეტრიდან ბურთი ძელს გაარტყა, პენალტი კი ირჟი შტაინესის მიერ დიტმარ ჰამანის მოცელვისთვის დაინიშნა.

გამოვიდა, გაიტანა, გავიდა — ეს პარმელი მარსიო ამოროზოა. არადა, თქვენს მეტრს, ისეთ დღეში იყო ალბერტო მალესანი: „პარმამ“ სერია A-ში 1:3 წააგო „პერუჯასთან“ და ქომაგებიც უმალ აუმხედრდნენ. ზაგრების „დინამოსთან“ მატჩის დასაწყისიც იტალიელებს კარგს არაფერს უქადდა.

21-ე წუთზე დაიმტვრა მარკო დი ვაიო და მწვრთნელმა მინდორზე ამოროზო შეუშვა. მერე რაც მოხდა, ოქმშიც წერია: ბრაზილიელმა ორი გოლი გაიტანა. დავუმატოთ, რომ ორივე გოლი მეტად ლამაზი გამოდგა — ჯერ ეფექტურად, შემობრუნებით გასცდა მეურვეს და უძლიერესად დაარტყა, 17 წუთის შემდეგ კი ანტონიო ბენარივოს ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა. ამოროზომ საქმე გააკეთა და მწვრთნელს ანიშნა, შემცვალეო. მალესანისაც არ უყოყმანია და დარჩენილ წუთებში ალენ ბოგოსიანი ათამაშა. საინტერესო კიდევ ისაა, რომ „პარმას“ „ტარდინიზე“ ზედიზედ 28 საერთაშორისო მატჩი არ წაუგია — ეს სერია 1994 წლიდან გრძელდება.

ბორდოელები შინ „სელტიკთან“ მხოლოდ ფრეს გამორჩნენ, თუმცა ორწუთიან მონაკვეთში თამაშს იგებდნენ. ანგარიში კრისტოფ დუგარიმ გახსნა თავური დარტყმით, ბორდოელთა კაპიტნის, ფრანსუა გრენეს კუთხურის მერე. შოტლანდიელებმა ცენტრიდან განაახლეს თამაში და მასპინძელთა საჯარიმოში შეჭრილი ჰენრიკ ლარსონი ბრუნო ბასტომ მოცელა. პენალტის შესრულება თავად შვედმა თავდამსხმელმა ითავა.

„გლაზგოში ისე რომ ვითამაშოთ, როგორც ახლა მეორე ტაიმში, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“ — თქვა მატჩის შემდეგ „ბორდოს“ მწვრთნელმა ელი ბოპმა. რა ქნა ასეთი „ბორდომ“? რა და მთელი ტაიმი სქოთთა საჯარიმოს არ მოშორებია. ორჯერ ბურთი ძელსაც მოხვდა — პაულეტასა და დუგარის დარტყმების მერე.

ტყუილად აცდენს „ინტერი“ ამხელა „სან სიროს“ — 78-ათასიან გიგანტზე მხოლოდ 9093 მაყურებელი მივიდა. აქედან დაახლოებით ორი ათასი არნემელი ქომაგი იყო, რომელთა შეუწყვეტელი სიმღერა მიგახვედრებდათ, რომელი გუნდი როგორ თამაშობდა.

პირველ ტაიმში ჰაქან შუქურს ჰქონდა ერთი კარგი მომენტი, მაგრამ კარში დარტყმას მეკარის მოტყუება ამჯობინა და ბურთი დაკარგა. რაც შეეხება მეორე ტაიმს, „ინტერს“ ერთი რეალური საგოლე მომენტიც არ შეუქმნია!

„ძალიან გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, სანამ ჩვენი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას შევძლებთ“ — ამბობს მარკო ტარდელი, რომელიც ინტერული დებიუტით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. მისი ჰოლანდიელი კოლეგა რონალდ კუმანი კი კმაყოფილია: „საპასუხო მატჩში ოდნავ უკეთაც რომ ვითამაშოთ, ასეთ „ინტერს“ დავამარცხებთ“.

„რომამ“ სტუმრად მოუგო „ბოავიშტას“. ფაბიო კაპელოს გუნდს ბლომად ტრავმირებული ფეხბურთელების არყოფნამ ვერაფერი დააკლო, ხოლო 48 წუთი რიცხობრივ უპირატესობაში ყოფნა წაეხმარა. მსაჯმა ჟოზე როჟერიუ ძაგოს ჩაწილვისთვის გააძევა.

ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და მეკარეები იშვიათად წუხდებოდნენ. ის ერთადერთი გოლიც ბოავიშტელი მეკარის, რიკარდო პერეირას ბრალი სულაც არაა: ზედ საჯარიმოს მისადგომთან მასპინძელმა მცველებმა ბურთი ვინჩენცო მონტელას ჩააბარეს. ამგვარ საჩუქარზე უარს, აბა, ვინ იტყოდა?

**გიორგი დარჯანია**




ესპანიოლი — გრაცერი 4:0. მასპინძელი მაურისიო პოჩეტინიო (№5) და სტუმარი ადოლფ ჰუტერი

REUTERS




ლივერპული — ლიბერეცი 1:0. ხაროზს მერსისაიდი: ემილ ჰესკიმ (№8) ეს ესაა ჩეხებს გამარჯვების გოლი გაუტანა

REUTERS

# ბარსელონელთა გასახარად

**„მილანი"** უეჭველად დაამარცხებს „ლიდსს", ყოველ შემთხვევაში, თავს არ დაზოგავს — თქვა მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ. ამ სიტყვებს მთელი კატალონია სულმოუთქმელად ელოდა.

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის H ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, რომ „ბარსას" შემდეგ ეტაპზე გასავლელად ბოლო ტურში შინ „ბეშიქთაშის" ძლევა არ ჰყოფნის.

მარტო ეს რომ იყოს, იცოცხლეთ, მშვიდად იქნებოდნენ. მაგრამ თუ „ლიდსმა" მილანიდან ქულა წაიღო, „ბარსელონა" ლიგის მიღმა რჩება. არადა, „მილანს" ინგლისელებთან ჭიდილი და ენერგიის ხარჯვა არაფერში არგია, თავი ისედაც ქუდში აქვს. სამშაბათს „ბეშიქთაში" — „მილანის" მატჩის შემდეგ ალბერტო ძაკერონიმ ისიც თქვა, სრულიადაც არ მაღელვებს, როგორ დასრულდება „ლიდსთან" თამაშიო. დღეს კი გალიანის ეს იმედისმომცემი განცხადება...

„მილანი" არავის გაალანძღვინებს თავს, ის დიდი კლუბია და ავტორიტეტს უფრთხილდება. არავის ახსოვს, ვინმეს არასპორტულ და არაკაცურ საქციელში ვემხილეთ" — ესეც გალიანის სიტყვებია.

გავისხენოთ, რომ გასულ სეზონში „მილანი" „ბარსელონას" დღეში იყო. მაშინ ბოლო ტურში „მილანს" აუცილებლად უნდა მოეგო „გალათასარაისთვის", მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. „ჩელსის" ბერლინის „ჰერტა" შინ აუცილებლად უნდა დაემარცხებინა. სჭირდებოდა ჯანლუკა ვიალის მოგება? არა, რადგან ჯგუფიდან გასასვლელად „ჩელსის" ფრეც ჰყოფნიდა. სხვათა შორის, ფრე „ჰერტასაც" აძლევდა ხელს, მაგრამ ლონდონელებმა ნამუსი არ შეირცხვინეს და მოიგეს. სხვა საქმეა, რომ „მილანმა" ვერ შეძლო თურქთა დამარცხება.

რახან H ჯგუფზე ვთქვით, ბარემ სხვებში არსებული მდგომარეობაც გავიხსენოთ, თუმცა მანამდე მთავარიც ვთქვათ: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა იმ გუნდს ენიჭება, ვინც უშუალო მეტოქეს პირად შეხვედრებში აჯობა.



გალიანი: კაცი ვარ და ქუდი მხურავს

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:7 | 13 |
| სპარტაკი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:3 | 9 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | 6 |
| სპორტინგი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:15 | 1 |

*7 ნოემბერი: სპარტაკი — რეალი, სპორტინგი — ლევერკუზენი*

აქ ყველაფერი ცხადია: შემდეგ ეტაპზე ესპანელები და რუსები გავიდნენ, ლევერკუზენის „ბაიერი" თამაშს უეფას თასზე გააგრძელებს, ლისაბონელები კი მყარ ბოლო ადგილზე არიან.

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 13 |
| ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 12:4 | 10 |
| სპარტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6:12 | 3 |
| შახტარი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:15 | 3 |

*7 ნოემბერი: სპარტა — ლაციო, შახტარი — არსენალი*

მერვედფინალურ ჯგუფში გასული ორი გუნდი აქაც გარკვეულია. საკითხავი ისღა დარჩა, აუტსაიდერთაგან ვინ გადავა უეფას თასზე. ცხადია, ბოლო ტურში ვინც უკეთ ითამაშებს, ეს პატივიც მას შეხვდება. ხოლო თუ პრაღელებმაც და დონეცკელებმაც ერთნაირი შედეგით დაამთავრეს 7 ნოემბრის მატჩები (ორივემ წააგო, ორივემ მოიგო, ანაც ორივემ ფრე ითამაშა), მესამე ადგილი და უეფას თასის საგზური უკრაინელებს შეხვდებათ. მიზეზი მათ მიერ პრაღაში გატანილი ორი გოლია — იქ „შახტარმა" 2:3 წააგო, შინ კი 2:1 მოიგო.

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 9 |
| ლიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:6 | 6 |
| ჰერენვენი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |

*7 ნოემბერი: ვალენსია — ჰერენვენი, ლიონი — ოლიმპიაკოსი*

„ვალენსიას" თავი ქუდში უკვე მეოთხე ტურის შემდეგ ჰქონდა. აი, მეორე გამსვლელის საკითხი კი ბოლო ტურში, ლიონში გაირკვევა. ფრანგულ გუნდს აწყობს 1:0 და 2:1 (ცხადია, უფრო დიდი ანგარიშიც), ვინაიდან საბერძნეთში „ოლიმპიაკოსმა" 2:1 მოიგო (1:2 წაგების შემთხვევაში, ბერძნები ბურთების საერთო შეფარდებით გადიან მესამეზე). აი, 3:2 კი „ლიონის" სასარგებლოდ აღარ იქნება (შახტარი — სპარტას ვარიანტი). „ჰერენვენს" ესპანეთში გამარჯვების შემთხვევაშიც კი არაფერი შველის.

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:10 | 9 |
| გალათასარაი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:11 | 7 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| მონაკო | 5 | 2 | 0 | 3 | 11:8 | 6 |

*7 ნოემბერი: გალათასარაი — შტურმი, რეინჯერსი — მონაკო*

ეს უნიკალური ჯგუფია: ოთხივე გუნდს შეუძლია შემდეგ წრეში გასვლა და ამავდროულად სამს („შტურმის" გარდა, ამას სულ მცირე უეფაზე გადასვლა გარანტირებული აქვს) ბოლო ადგილზე ჩარჩენაც ემუქრება. არადა, ამოცანა მარტივია: ბოლო ტურში გამარჯვებაა საჭირო („შტურმს" ფრეც აწყობს) — მოგებული გუნდი, თვით ბოლო ადგილზე მყოფი „მონაკოც" კი, მეორე მატჩის შედეგის მიუხედავად, ლიგაში დარჩენის უფლებას ავტომატურად ინარჩუნებს. მოკლედ, აქ ყველაფერია მოსალოდნელი (ალბათ, ავსტრიელთა სტამბულში მოგების გარდა) და ტელეკომპანიების ინტერესიც ალბათ ამ ჯგუფის გლაზგოურ მატჩზე შეჩერდება.

**E ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 9 |
| იუვენტუსი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:9 | 6 |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| ჰამბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 5 |

*8 ნოემბერი: ჰამბურგი — დეპორტივო, პანათინაიკოსი — იუვენტუსი*

ლაკორუნიელებმა ხუთ მატჩში ხუთჯერ შეაგდეს და თავი შემდეგ ეტაპზე დაიგულეს, დანარჩენ სამს კი, მართალია, ამის იმედი არ დაუკარგავს, არც ევროთასებიდან მთლად გავარდნის საშიშროება აცილებიათ. გასულ სამშაბათს ტურინში „ჰამბურგის" სენსაციურმა გამარჯვებამ მართლაც ყველაფერი არია. იგივე „იუვენტუსს" პირველ ადგილზე გასვლაც შეუძლია (თუ ათენში მოიგო) და ბოლოზეც (თუ ათენში წააგო, „ჰამბურგმა" კი შინ ქულა აიღო). თითქმის ასეთივე დღეში არიან „პანათინაიკოსიც" და „ჰამბურგიც". თან, არ დაგვავიწყდეს, „იუვე" ზიდანისა და დავიდსის გარეშე ითამაშებს.

**F ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| პსჟ | 5 | 3 | 0 | 2 | 13:8 | 9 |
| რუსენბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 12:14 | 6 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:13 | 4 |

*8 ნოემბერი: რუსენბორგი — ბაიერნი, ჰელსინგბორგი — პარი სენ ჟერმენი*

ვინ გადავა უეფას თასზე — შვედური თუ ნორვეგიული გუნდი? ალბათ, მაინც ნორვეგიული. სხვა ამ ჯგუფში საინტერესო არაფერია.

**G ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:12 | 9 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 7:7 | 4 |

*8 ნოემბერი: პსვ — ანდერლეხტი, მანჩესტერ იუნაიტედი — დინამო*

ერთადერთი გუნდი, ვისაც ბოლო მატჩში ფრე აწყობს, ბოლო ხანს აბობოქრებული „ანდერლეხტია". თუ მისი შეხვედრა მეზობელ ჰოლანდიაში მართლაც ფრედ დამთავრდა, ხოლო „იუნაიტედმა" მოიგო, მესამე ზედმეტი 10-ქულიანი ერიკ გერეტსის „ეინდჰოვენი" გახდება (ბრიუსელში 0:1 აქვს წაგებული). მაგრამ თუ ფერგიუსონის გუნდმა ვერ მოიგო? ო, მაშინ, „ფილიპსის" სტადიონზე რაც გინდა მოხდეს, შემდეგ წრეში ორი ბენილუქსური გუნდი გავა. ასე რომ, „მანჩესტერს" მხოლოდ მოგება სჭირდება. ისევე, როგორც კიევის „დინამოს", რომელიც „ოლდ ტრაფორდზე" გამარჯვების შემთხვევაში თავად უეფას თასზე გადაინაცვლებს, მსოფლიოს უმდიდრეს კლუბს კი მთლად ევროთასების მიღმა დატოვებს.

**H ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ლიდსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| ბარსელონა | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| ბეშიქთაში | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |

*8 ნოემბერი: ბარსელონა — ბეშიქთაში, მილანი — ლიდსი*

თავში კი ვთქვით, მაგრამ მოკლედ გავიმეოროთ: თუ „ლიდსმა" მილანში ქულა მოიპოვა, „კამპ ნოუს" შედეგს აზრი ეკარგება. მაგრამ ხომ შეიძლება, „მილანმა" ივაჟკაცოს და მოიგოს, „ბარსელონამ" კი... ამ გუნდისგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი. მითუმეტეს, რომ „ბეშიქთაშს" (შინ „ბარსას" 3:0 რომ მოუგო) უეფას თასზე თამაშის შანსი ჯერ არ დაუკარგავს.

**გიგა ძოგახიძე**



ალფონსო, ოვერმარსი, კოკუ და რაიციგერი „მილანის" იმედად არიან

# ჩიტის კვერცხების კოლექციონერი



**ბუკინგემის სასახლეში სპეცი ლურად გაგატარებენ, სიტუაციას რომ შეეგუო. რამდენიმე ოთახს გაივლი. უცებ დარბაზის კარები ილება. იქით, ბოლოში, დედოფალი დგას, რათა ჯილდო მოგანიჭოს. უამრავი ხალხი შემოგცქერის, ჟღერს მუსიკა. საოცარი გრძნობაა.**

**დგახარ გვირაბში. წამებიც და „უემბლის" მინდორზე უნდა გახვიდე. გარეთ ქომაგი გუგუნებს. შენს უკან კი რობ ჯოუნსი ღრიალებს. დანარჩენები გაოცებისგან კედელს ეკვრიან...**

**არა, ამ კაცს მართლაც ბევრი გამოუცდია, მაგრამ შორს არაა ის დრო, როცა დევიდ სიმენი ფეხბურთს თავს დაანებებს, ხელთათმანს და ბუცებს კედელზე ჩამოჰკიდებს და ბევრი, ძალიან ბევრი რამ მოაგონდება.**

**— კარიერის დასრულების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

— ხუთი თვის ქალიშვილი მყავს და ვაპირებ, მის აღზრდას მეტი დრო დავუთმო. ოჯახთან ერთად ყოფნა ყველაზე მეტად მსიამოვნებს. მართალია, ძველი დრო მომენატრება, მაგრამ იმის წარმოდგენაც კარგია, რომ ყოველდღე ვარჯიშზე აღარ უნდა ვიჩქარო.

**— ხალხი უკვე ალაპარაკდა, რომ ფეხბურთიდან თქვენი წასვლა დროულია. ამას როგორ ეგუებით?**

— „არსენალთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს მისრულდება და მანამდე, ალბათ, არაფერს გადავწყვეტ. თან, თამაში ჯერ კიდევ შემიძლია და დიდი ფეხბურთიც მიზიდავს. ერთ დღეს კი ავდგები და ვიტყვი, „ყველაფერი დასრულდა", მაგრამ ვიმედოვნებ, ეს მომენტი ჯერ შორსაა.

**— ბოლო ხანს პრესა არც ისე გწყალობთ. ამდენი კრიტიკა, ალბათ, კარიერის მანძილზე არ გსმენიათ. ღონიანდებით?**

— ამის გამო კი არ უნდა გაბრაზდე, დასკვნები უნდა გამოიტანო და ზოგი რამ ისწავლო. განა მე არ ვიცი, რომ საბოლოოდ კარიერა უნდა დავასრულო? ვფიქრობ, პრესის უარყოფითი განწყობა ახალგაზრდა მოთამაშეზე უფრო ცუდ ზეგავლენას ახდენს, მე კი უკვე შევეგუე. ალბათ, ყველა ვეტერანი ფეხბურთელი ასეა.

**— და ყოველივე ამის შემდეგ მეტი მოტივაცია გაქვთ, რომ რაიმე დაამტკიცოთ?**

— ჯიბრით არაფერი გამოდის. გამოცდილმა მოთამაშეებმა ეს იციან. უბრალოდ მსურს, „არსენალთან" და ინგლისის ნაკრებთან ერთად წარმატებებს მივაღწიო. კლუბთან ერთად დასახული თავდაპირველი მიზანი მიღწეულია — „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ნაადრევად მოხვდა.

**— წინა ორ სეზონთან შედარებით „არსენალი" ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით უკეთ გამოიყურება. ამას რითი ახსნით?**

— ერთი სიტყვით თქმა ძნელია. ახალ სეზონში, ალბათ, უკეთესად მოვემზადეთ, ფეხბურთელებმაც მეტი გამოცდილება შეიძინეს. ბევრი თვლიდა, რომ მარკ ოვერმარსის და ემანუელ პეტის წასვლით ძალიან დავსუსტდებოდით, მაგრამ ახლები მოვიდნენ და კარგადაც თამაშობენ. ნებისმიერი კლუბი „ლაციოსთან" ორ შეხვედრაში ოთხი ქულის აღებით კმაყოფილი დარჩებოდა. „არსენალმა" ეს შესძლო.

**— პრემიერლიგის მოგების მთავარ კანდიდატად ვის მიიჩნევთ?**

— პრეტენდენტი, ალბათ ორია — ჩვენ და „მანჩესტერ იუნაიტედი". თუმცა არც „ლივერპულს" გამოვრიცხავდი.

**— ნაკრებზეც გკითხავთ. როგორი იყო თქვენი რეაქცია, როცა გერმანელებთან წაგებული მატჩის შემდეგ კევინ კიგანი გასახდელში შემოვიდა და გითხრათ, რომ გუნდიდან მიდის?**

— ძალიან გავოცდი და ვიგრძენი, რომ სხვებიც იგივე სიტუაციაში ჩავარდნენ. თავიდან ისიც კი გავიფიქრე, რომ იხუმრა, მაგრამ კიგანი ძალიან მგრძნობიარე კაცია: თუ მიხვდა, რომ წასვლის დროა, აუცილებლად წავა. ადრე „ნიუკასლშიც" ასე მოიქცა. თავადაც ვუთხარი, რომ არასწორად იქცეოდა, მაგრამ აზრი აღარ შეუცვლია. თქვა და მორჩა.

**— მინდორზე გასვლის წინ რაიმე განსაკუთრებული ჩვევა თუ გაქვთ.**

— მე არა, თუმცა... იმ დროს გავიხსენებ, როცა ინგლისის ნაკრებში „ლივერპულის" მცველი რობ ჯოუნსი თამაშობდა. ყოველი თამაშის წინ იგი მეტისმეტად ნერვიულობდა, გასასვლელ გვირაბში ჩემს უკან მდგომი მუდმივად ყვიროდა, თანაგუნდელებიც გაკვირვებით შესცქეროდნენ და ხმას ველარ ილებდნენ.

**— „არსენალში" ყველაზე მხიარული ფეხბურთელი ვინ არის?**

— სილვენ ვილტორდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისი „ინგლისურით" რალაცის ახსნას ცდილობს. ისე კარგი ბიჭია და რალაცით იან რაიტს მაგონებს.

**— ავტობიოგრაფიაში წერთ, რომ ჩიტების კვერცხების კოლექცია გაქვთ ახლა რაიმე სხვას თუ აგროვებთ?**

— თევზაობის სურათებს. თევზაობა ძალიან მიყვარს. ხანდახან სამუშაო მეტად მღლის და დასვენება მჭირდება. ამ დროს იდეალურ გამოსავლად სწორედ თევზაობა მიმაჩნია.

**— რა რეაქცია გქონდათ, როცა იმპერიის წინაშე დამსახურებისთვის დაგაჯილდოვეს?**

— ის დღე არასდროს დამავიწყდება. ტონი ადამსი წინასწარ მაფრთხილებდა, თუ რა განსაკუთრებული გრძნობაა, როცა ბუკინგემის სასახლეში ჯილდოს მიიღებ. მართლაც, ბრწყინვალე სიტუაცია იყო.

**— თამაში „ლიდსში" 1981 დაიწყეთ. მას მერე ლამის ოცი წელიწადი გავიდა. ფეხბურთში ბევრ ცვლილებას ამჩნევთ?**

— სიახლე მართლაც ბევრია, მრავალი რამ დაიხვეწა. თუნდაც სტადიონი და მინდორი ავიღოთ. განა შეიძლება, შეადარო ადრინდელი და ახლანდელი მინდვრის საფარი? და ეს მხოლოდ ერთი კომპონენტია.

**თარგმნა ნიკა შუგლაძემ**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჰალდანის სიკვდილი ექიმის ბრალია

**5 ოქტომბერს** ბუქარესტის „დინამოსა“ და რუმინეთის მეორე დივიზიონის ერთ-ერთი გუნდის ამხანაგური მატჩის დროს 24 წლის დინამოელი კატალინ ჰალდანი მინდორზე უგონოდ დაეცა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ამის თაობაზე უკვე ვწერდით და აღვნიშნეთ, რომ ფეხბურთელის სიკვდილის მიზეზი შეიძლებოდა დოპინგის გადამეტებული დოზა ყოფილიყო, რაც რუმინული სპორტისთვის უცხო არაა.

ოთხშაბათს ჰალდანის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა გამოქვეყნდა. ექიმი ვლადიმირ ბელიში ამბობს: „ორგანიზმში აკრძალული პრეპარატების კვალი ვერ აღმოვაჩინეთ და სიკვდილის ამ მიზეზს კატეგორიულად გამოვრიცხავთ. ჰალდანს სისხლძარღვები შევიწროებული ჰქონდა და ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა“.

და მთავარი კითხვა — ვინ არის დამნაშავე? ვლადიმირ ბელიში „დინამოს“ ექიმ მირჩა ლუჩასიუსკენ იშვერს თითს: „ჰალდანისთვის საერთოდ არ შეიძლებოდა თამაში და კლუბის ექიმს ეს უნდა სცოდნოდა. თავის დროზე ფეხბურთელისთვის სამედიცინო გამოკვლევა რომ ჩაეტარებინათ, დღეს ის ცოცხალი იქნებოდა“.

საინტერესო უნდა იყოს, რა პასუხს გასცემს ლუჩასიუ ამ ბრალდებას, თუმცა ამის გასაგებად კარგა ხანს ლოდინი მოგვიწევს — წინა დღით, სამშაბათს, „დინამოს“ ექიმი ავარიაში მოჰყვა და ახლა უმძიმეს მდგომარეობაშია.

# ასეთი ცოლის პატრონსა...



„ჯილინგემის“ მეპატრონის ცოლი

**არ ვისურვებდით** პოლ სკალის ადგილას ყოფნას. მერე რა, რომ ძალიან მდიდარია, პირველდივიზიონელი „ჯილინგემის“ მეპატრონეა და ცოლად ცნობილი ქალი, 25 წლის მომღერალი ლიზა მარია ჰყავს.

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეზიზღებიან ნარკოტიკების გამსაღებლები — ამბობს პოლ სკალი — ისინი არარაობები არიან და სხვებსაც აუბედურებენ. იციან, რომ ჩემი ცოლი სუსტი ნებისყოფისაა და მუდამ უკან დასდევენ“.

ლიზა მარია სკალი ნარკომანია, კოკაინისტი. მისი მისწრაფება მაშინ გაცხადდა, როცა გასულ სეზონში „ჯილინგემი“ ასოციაციის თასის მესამე ეტაპზე „შეფილდ უენსდეის“ განადგურებას ერთ-ერთ კლუბში აღნიშნავდა. სწორედ იქ ჩაავლეს ლიზა მარიას თეთრი ფხვნილით.

გასულ პარასკევს „მაინსთოუნ ქროუდის“ სასამართლოში, კენტის საგრაფოში, პროცესი შედგა, რომელზეც კოკაინისტ ქალბატონს იძულებით მკურნალობა მიუსაჯეს. პოლ სკალიმ შვებით ამოისუნთქა: „ღმერთო, იქაც ხომ ვერ შეაღწევენ ნარკოდილერები“.

ნარკოდილერებმა საავადმყოფოში ვერ შეაღწიეს, მაგრამ უბედური ქმრისთვის ეს ვერაფერი შვებაა — შაბათ ღამით ლიზა მარია გაუჩინარდა.

კვალს კვირას გამთენისას მიაგნეს პატარა ქალაქ მარგეითში. ლიზა მარია, ცხადია, კოკაინით იყო გაბრუებული.

ახლა? „ალბათ, ციხე საუკეთესო ადგილია მისთვის — თქვა პოლ სკალიმ — ამის გაფიქრებაც კი ძალიან მიმძიმს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ეს ლიზის გადასარჩენადაა საჭირო“.

სასამართლო ლიზა მარია სკალის საქმეს მომავალ თვეში ისევ მიუბრუნდება.

ზოგი იტყვის, რა სჯობს ბევრ ფულს, საკუთარ კლუბს და მდიდარ ცოლსო...



„უნტერჰახინგთან“ მატჩში ავტოგოლის გამტანი მიხაელ ბალაკი (შუაში) მარცხში თავის თავს ადანაშაულებს...



...არადა, ყველაფერი ოია აზია ბასარირის ბრალი ყოფილა

# ბაიერნი ოია აზიას გაუჩემპიონებია

## ისევ დაუმზე: პოლიციამ ბინა და კაბინეტი გაუჩხრიკა; თურქი საყვარელიც ალაპარაკდა

**რატომ** დათანხმდა კრისტოფ დაუმი ანალიზის გაკეთებაზე, თუ იგი მართლაც კოკაინს ეტრფოდა? — დღემდე თავს იმტვრევენ გერმანელები და ვერაფერი შეუტყვიათ. არადა, ძალიან აინტერესებთ. მათთვის დღემდე გამოცანად რჩება ეს ამბავი.

„გაოცებული ვარ, როგორ გაიკეთა დაუმმა ანალიზი. ეს ამბავი რომ შევიტყვე, ჩემს მეუღლეს მაშინვე ვუთხარი, ნუთუ მისი გონება მთლიანად კოკაინით გაიჟღინთა, ამას რა აკეთებს-მეთქი — თქვა კიდეც ამის თაობაზე ყოფილმა ფეხბურთელმა ჯიმი ჰარტვიგმა.

გუშინ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი „ბილდმა“ გასცა. ამ გაზეთის მტკიცებით, დაუმმა ტესტირება იმიტომ ჩაიტარა, რომ დარწმუნებული იყო — პასუხი უარყოფითი იქნებოდა. ამის საფუძველი კი მას პირველმა ანალიზმა მისცა. „ბილდს“ სანდო წყარომ აცნობა, რომ კიოლნის კლინიკაში ჩატარებულ გამოკვლევამდე რამდენიმე დღით ადრე დაუმი ჰოლანდიაში ჩასულა და ერთ-ერთ ლაბორატორიაში ანალოგიური ტესტირება გაუვლია. გაინტერესებთ პასუხი? იგი უარყოფითი იყო.

დაუმი სწორედ ამან შეაცდინა. იფიქრა, რომ კიოლნშიც იმავე შედეგს მიიღებდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. ამ ამბავთან დაკავშირებით დაუმის მთავარმა მფარველმა და მეგობარმა რაინერ კალმუნდმა თქვა, პირველად მესმის, რომ კრისტოფი ჰოლანდიაში იყოო.

საკითხავია, რატომ არ დაემთხვა გერმანიასა და ჰოლანდიაში ჩატარებული ანალიზის შედეგები ერთმანეთს. კიოლნის კლინიკის პროფესორი ჰერბერტ კეფერშტაინი ამბობს: „მე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთან გაკეთებული ანალიზის შედეგებით ვხელმძღვანელობ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კლიენტი კოკაინს იღებდა. რაც შეეხება განსხვავებულ პასუხებს, ამაზე ვერაფერს გეტყვით. მე არ ვიცნობ საზღვარგარეთ მოქმედი კომერციული ლაბორატორიების მუშაობას, ამიტომაც ვერაფერს მოგახსენებთ“.

ეჭვებს უფრო და უფრო აძლიერებენ თვითმხილველები. ჯერ იყო და ზემოთ ნახსენებმა ჰარტვიგმა წამოყო თავი, მერე მავანი რეჟისორი ბერნდ ტრენჰარდტი გამოჩნდა. ეს ორნი ამტკიცებენ, დაუმთან ერთად გვიკაიფიაო. მათ კიდევ ერთი ადამიანი შეუერთდა — დაუმის მეგობარი გოგონას, ანჟელიკა კიმის დაქალი, ვინმე მარგა ბ. ამბობს: „ანჟელიკა და კრისტოფი ხშირად აწყობდნენ წვეულებებს. ეს ანჟელიკას სახლში, სანტა პონკაში ხდებოდა, სადაც კოკაინი უხვად იყო ხოლმე. სულ ცოტა ათჯერ მაინც შევსწრებივარ იმას, როგორ მიუღიათ ნარკოტიკი კიმს და დაუმს“.

ყოველივე ამის შემდეგ დაუმი ამერიკაში მაინც აპირებს ხელახალი ანალიზის ჩატარებას. „ეს დაუმის უფლებაა და ამაში ხელს ვერავინ შეუშლის, თუმც ჩვენ ჩვენი მონაცემები გვაქვს“ — აცხადებს კეფერშტაინი.

კიდევ ერთი ახალი ამბავი: გუშინ ქალაქ კობლენცის პოლიციამ კრისტოფ დაუმის სახლი და „ლევერკუზენში“ მისი ყოფილი სამუშაო ოთახი გაჩხრიკა და რაღაც ნივთებიც ამოიღო.

კობლენცის პოლიციის უფროსის თქმით, ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს ხუთკაციან ჯგუფზე, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკებთან. ამ ხუთეულიდან ორი უკვე დაჭერილია, დანარჩენებზე კი მამხილებელი მასალები გროვდება.

...დაუმსა და კოკაინზე გვეყოფა და ახლა დაუმსა და სექსზე ვთქვათ.

ალბათ, გეხსომებათ ბუნდესლიგის შარშანდელი ჩემპიონატის დრამატული ფინალი. მაშინ ბოლო ტურის წინ პირველ ადგილზე მყოფი „ლევერკუზენი“ მეტოქე „ბაიერნს“ სამი ქულით უსწრებდა. ყველაფერი „უნტერჰახინგთან“ საგარეო მატჩს უნდა გადაეწყვიტა. ლევერკუზენელებს ქულაც ჰყოფნიდათ. ჩემპიონის ბედს ყველა გადაწყვეტილად თვლიდა. გერმანიის საფეხბურთო კავშირმაც ბუნდესლიგის მთავარი ჯილდო, ჩემპიონის სინი, უნტერჰახინგში ჩაიტანა. სწორედ ამ დროს „უნტერჰახინგმა“ 2:0 მოიგო. შედეგად, ჩემპიონი „ბაიერნი“ გახდა, რომელმაც „ლევერკუზენს“ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით აჯობა. ეს ლევერკუზენელთათვის ნამდვილი ტრაგედია იყო.

„ლევერკუზენმა“ იმიტომ წააგო, რომ მწვრთნელს გუნდისთვის არ ეცალა — აი, ასე ხსნიან დღეს იმ მარცხის მიზეზს გერმანიაში. განვმარტოთ:

კრისტოფ დაუმი 1994-96 წლებში თურქეთში მუშაობდა, სტამბოლის „ბეშიქთაშის“ მთავარი მწვრთნელი იყო. იქ ყოფნისას მას ერთი სტრიპტიზიორი ქალი, ოია აზია ბასარირი გაუცვნია და დაახლოებია კიდეც.

„მუდმივად ვხვდებოდით ერთმანეთს, ინტიმური ურთიერთობებიც გვქონდა. ერთხელ მისგან დავორსულდი კიდეც. ერთი მისი მეგობარი მოვიდა, 60-ათასმარკიანი ჩეკი მომცა და ნაყოფი მოიშორეო, მითხრა. იძულებული გავხდი, ასეც მოვქცეულიყავი — ამბობს ბასარირი დღეს და იქვე ამტკიცებს — კრისტოფი კარგი კაცია. შემიყვარდა კიდეც, მაგრამ მისი ბედნიერი ოჯახის დანგრევა არ მინდოდა.“

დაუმისა და ბასარირის ურთიერთობა მერეც გაგრძელდა, თუმცა ერთმანეთს უფროდაუფრო იშვიათად ხვდებოდნენ.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა 2000 წლის 19 მაისს შედგა (მეორე დღეს „უნტერჰახინგი“ — „ლევერკუზენი“ იყო). ქალაქი უნტერჰახინგი მიუნხენიდან რამდენიმე წუთის სავალზეა. „ლევერკუზენმაც“ წინა დღეს მიუნხენში ჩასვლა და იქ დაბინავება არჩია, ასე უმჯობესი იქნებაო. ლევერკუზენელები სასტუმრო „შერატონში“ გაჩერდნენ.

„მეც იქ ვიყავი“ — ამბობს ბასარირი, თუმცა იმას აღარ აკონკრეტებს, მისი „შერატონში“ ყოფნა დამთხვევა იყო თუ გამიზნული ნაბიჯი (ისე, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა?).

ჰოდა, დაუმი, რომელსაც მთელი საღამო მომავალ მატჩზე უნდა ეფიქრა, თქვენც კარგად ხვდებით, რა საქმით იყო დაკავებული.

მეორე დღეს „უნტერჰახინგი“ — „ლევერკუზენის“ მატჩს ოია აზია ბასარირიც დაესწრო...

**განო ოქრობირიძე**

# ბექემი საჯაროდ არასდროს ხმარობს...

**დღეს** საღამოს მთელი ინგლისი ტელევიზორებს მიუჯდება და BBC 1-ზე ნახავს იმას, რაც არასდროს უნახავს. ეს არის მაიკლ პარკინსონის ტოკ-შოუ, რომელიც ხუთშაბათს ჩაიწერეს. მისი სტუმარი დევიდ ბექემი იქნება.

დევიდ ბექემი ჟურნალისტებს გაურბის და ინტერვიუებზეც ძალიან იშვიათად თანხმდება, ტელევიზიაში კი ის პირველად შეიტყუეს — ამითაც არის გამოწვეული გადაცემისადმი უდიდესი ინტერესი. ჩვენ, სამწუხაროდ, BBC 1 არ გვაქვს, თუმცა არსებობს სხვა გზაც — გაზეთ „სანის“ ყოვლისშემძლე რეპორტიორმა ჩანაწერს მიაკვლია და მკითხველს შოუს დეტალები გაანდო. კითხვები და პასუხები ისეთია, რომ...

„ვიქტორიას საშინელი ჩვეულება აქვს — ამბობს ბექემი — ლაპარაკს რომ იწყებს, ლაპარაკი კი ძალიან უყვარს, ვეღარ ჩერდება. ამის გამო ზოგჯერ ისეთი რამ წამოსცდენია, რაზეც საუბარი უხერხულია. მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვიქტორიაც მიყვარს.“

ფოშ-სფაიზის ჭორიკნობისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებაზე ახლავე მოგახსენებთ. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა: „დევიდს ძალიან უყვარს ჩემი ლიფის ტარება“. ხომ კარგია?

მაიკლ პარკინსონი შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებდა, ფეხბურთელისთვის ამის თაობაზე არ ეკითხა. ბექემი: „შემიძლია გითხრათ, რომ ვიქტორიას ლიფს არასდროს ვხმარობ... საჯაროდ. და საერთოდ, მე უფრო დიდი მკერდი მაქვს.“

მაიკლ პარკინსონი: „ამბობენ, რომ ვიქტორია ფეხმძიმედაა“. „ეს არ არის სწორი, ყოველ შემთხვევაში, მე ამის თაობაზე არაფერი ვიცი.“ აი, მოსიყვარულე ქმარი. ჰო, დაგვავიწყდა შეგვეხსენებინა, რომ ვიქტორია, იგივე ვიქტორია ადამსი, იგივე ფოშ-სფაიზი, ვისზეც აქ ვსაუბრობთ, დევიდ ბექემის მეუღლეა, დევიდ ბექემი კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს.

ბექემმა ესეც თქვა: „ვიქტორია ერთი ნახვით შემიყვარდა. ოღონდ ზოგს რომ



ჰგონია, ვიქტორია დევიდს თავის ჭკუაზე ატარებსო, ეგრე არაა. ბედნიერები ვართ და მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით.“ შოუს წამყვანმა ამ სიტყვების გაგონებაზე გაოცებული სახე მიიღო და ჰკითხა: „და თქვენ ეს გიხარიათ?“



გიო ახვლედიანის

სვეტი

# რომაული არდადეგები შავებისთვის

**ჰეი,** თქვენ შავებო, ნუ გაატარებთ თქვენს შვებულებას რომში, ჯადოსნურ და მარადიულ ქალაქში! ვინაიდან ამ ქალაქის მშვენიერებათა უსასრულო ნუსხას ერთ დღეში გადაშლის ვიღაც თავგადაპარსული ჯეელი შეძახილით: შავო ნაბიჭვარო, გაეთრიე ჩემი ქალაქიდან. და თუ მაინცდამაინც რომის სიმშვენიერე გადაძლევს და იქეთ გაგიწევთ გული, მოერიდეთ ოლიმპიურ სტადიონზე მისვლას იმ საღამოს, როცა „ლაციო“ თამაშობს.

საფეხბურთო რომი ნაციონალისტური ქალაქია. მთელი ისტორიის მანძილზე „ლაციოს“ ერთადერთი შავკანიანი, ჰოლანდიელი არონ ვინტერი ჰყოლია. ქალაქის მეორე გუნდი „რომა“ უფრო სახალხო კლუბია და შემადგენლობაში კაფუ, ასუნსაუ, ალდაირი და ემერსონი ჰყავს. რომაული დერბის დროს „ლაციოს“ ტიფოზთა მთავარ სამიზნედ სწორედ ეს მოთამაშეები იქცევიან ხოლმე.

კლუბ „ლაციოს“, როგორც ფინანსურ დაწესებულებას, მჭიდრო კავშირი აქვს ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ ბლოკთან, რომელსაც „ეროვნული ალიანსი“ ჰქვია და რომელმაც ბოლო არჩევნებში მიღებული ხმების 35 პროცენტი რომის მოსახლეობისგან მიიღო.

არავინ იცის, რამდენადაა ჩაბმული ამ კავშირში ის 4 ათასამდე ტიფოზი, რომელიც ამინდს ქმნის „ლაციოს“ თამაშებზე და ფეხბურთელებთან ახლობლობით იკვეხნის. ყოველ შემთხვევაში, ეს ის ახალგაზრდები არიან, ფაშისტურ ფან-კლუბს რომ წარმოადგენენ და რასისტულ რამეებს დაუფარავად ყვირიან. წინა კვირას, „არსენალთან“ თამაშისას ტრიბუნებზე კარგად ჩანდა ლოზუნგები: თქვენი სამშობლო საღორეა, თქვენი სახლი უბორნია! იმავ საღამოს ოლიმპიურ სტადიონზე გაისმოდა სიმღერა: დიდება არკანს — ვეფხვს, ერთ-ერთ ჩვენგანს, ჩვენს მამას!

და სწორედ ეს არის ყველაზე საინტერესო. იტალიური ფან-კლუბის ღმერთად გამოცხადებულია სერბი მაფიოზო და მკვლელი, ხორვატებთან ომის გმირად შერაცხული არკანი, რომელიც წლეულს თებერვალში მოკლეს ბელგრადში. საიდან სადაო? ჩანს, შორს გავარდნილა ამ ცრუ რობინ ჰუდის სახელი. თუმცა სერბიიდან იტალიამდე არც ისე შორია — ულტრას ერთ-ერთი ფავორიტი სწორედ სინიშა მიხაილოვიჩია, კაცი, რომელიც თავის ინტერვიუებში ყოველთვის პოპულარიზაციას უწევდა არკანს, უწოდებდა მას ძმას, ვაჟკაცს და კაი ბიჭს. არკანი კი თავის მხრივ ის კაცი იყო, ვინაც „ცრვენა ზვეზდას“ ათასობით ყმაწვილი ფანი ქუჩის რომანტიკის და იაფი ნაციონალიზმის მოშველიებით ხორვატებთან ომში გარეკა და იქ სამარე აპოვნინა. მიხაილოვიჩი კი იმ დროს ანტი-ნატოურ ლოზუნგებს იწერდა შიდა მაისურზე და გატანილ საჯარიმოებს აწდამხობილი მილოშევიჩის რეჟიმს უძღვნიდა.

ასე რომ, ფან-კლუბთა მისწრაფებანი სულაც არ არის დეგენერატული („ლაციოს“ პატრონი სერჯო კრანიოტი იხვეწება, ასიოდე დეგენერატის გამო ჩვენს გუნდს ჩირქს ნუ მოსცხებთო). ლაციოელ ფაშისტებს თავიანთი მორალი აქვთ.

მთელი ამ ამბის გამგონე ხორვატმა ალენ ბოკშიჩმა, რომელიც კარგა ხანს იყო „ლაციოში“, თქვა: „ეს რომ ჩემს იქ ყოფნაში მომხდარიყო, მე რომ ჩემი ფანებისგან არკანის დიდება მომესმინა, მაისურს გავიხდიდი, მინდორზე დავაგდებდი და წავიდოდი. რა ვუთხარი ისეთ გულშემატკივარს, რომლისთვისაც თავისი კლუბის ფერზე მეტად მოთამაშის კანის ფერს აქვს მნიშვნელობა“.

ევროპის საფეხბურთო მოღვაწენი კი, ლეო ბეენჰაკერის თაოსნობით, მოითხოვენ, რომ რასისტულ შეძახილთა და გამოხდომათა გამო მსაჯს თამაშის შეწყვეტის უფლება მიეცეს.

# სად უკაკუნებს ჭადრაკი?

## სტამბოლში ქართველებს კაჟივით ყოფნა მართებთ

**დღეს** სტამბოლში იწყება 34-ე მსოფლიოს გუნდური პირველობა ჭადრაკში, იგივე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა, იგივე „ერთა ტურნირი“.

წინასწარი მონაცემებით მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ახალ სავაჭრო და საგამოფენო ცენტრში ფრედერიკ ჰემილტონ-რასელის კაცთა და ვერა მენჩიკის ქალთა თასებისთვის ბრძოლაში ჩაებმება 125 ქვეყნის 600-ზე მეტი მოჭადრაკე.

თურქეთი, კერძოდ სტამბოლი, აგრძელებს მძლავრი ძლერადობის საერთაშორისო ტურნირების ჩატარების ტრადიციას. გავიხსენოთ, რამდენ მსოფლიო და ევროპის პირველობებს უმასპინძლა თურქეთმა ბოლო ათწლეულში, რამდენი უმაღლესი დონის სპორტული არენა შეემატა ქვეყანას, რად ღირს მარტო ოლიმპიური ცენტრი, რომლის მსგავსი სულ რამდენიმე თუა ამქვეყნად.

თურქეთის სპორტიც წინ მიიწევს და ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობს. ჭიდაობის სახეობებს რომ თავი დავანებოთ, სოლიდური მიღწევებია ძალოსნობაში, კრივში, მშვილდოსნობაში. სათამაშო სახეობებს აღარ იტყვით? ფეხბურთშიც და კალათბურთშიც, სანაკრებო და საკლუბო გუნდების დონეზეც საქმე მშვენივრად აიწყვეს.

სპორტის მიმართ ასეთი პრიორიტეტული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მრავალ მიზანს ემსახურება — მოსახლეობის გაჯანსაღებას, სპორტში წარმატებით ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას და, რაც მთავარია, მზადდება ნიადაგი, რათა სტამბოლმა ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს.

თავის მხრივ ჭადრაკიც უკაკუნებს ოლიმპიურ თამაშებს. ფიდეს პრეზიდენტის ინტენსიური ვოიაჟები ლოზანაში, ამ თემით კარპოვისა და კასპაროვის ადრინდელი დაინტერესება, ოლიმპიური მუზეუმის დათმობა არაოლიმპიური სახეობის შეჯიბრებისთვის და კიდევ მრავალი რამ აშკარად მეტყველებს ორივე მხარის დაინტერესებაზე. შემდგომ ილუმჟინოვის, კარპოვისა და კასპაროვის დაპირისპირებამ დროში გაწელა ამ საკითხის გადაწყვეტა — აკი თქვა კიდეც ხუან ანტონიო სამარანჩმა — მოჭადრაკეებმა ჯერ თავიანთ სამწყსოში მოაგვარონო საქმეები. ისე კი, სოკ-ის კულუარებში უკვე ღიად ლაპარაკობენ — არც ისე შორეულ მომავალში ჭადრაკი სპორტის ოლიმპიურ სახეობად მოგვევლინებაო.

ჭადრაკი ოლიმპიური თამაშებისთვის მთლად ახალი ხილი სულაც არაა. ჯერ კიდევ 1924 წელს, პარიზში, ზაფხულის VIII თამაშებზე ჭადრაკშიც გაიმართა შეჯიბრება, მაგრამ სოკ-ის მაშინდელი ხელმძღვანელობის ახირების გამო მხოლოდ მოყვარულებში, თუმცა იმხანად ძნელად დასადები იყო ზღვარი ე. წ. პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის. მაშინ უარი ეთქვათ არა მარტო ჭადრაკის კორიფეებს — ალიოხინს, ნიმცოვიჩს, ტარტაკოვერს — ცნობილ პუბლიცისტებსა და ჟურნალისტებს, არამედ ისეთ დიდ მეცნიერს, როგორიც იყო პროფესორი ვიდმარი, ექიმ ტარაშს და სხვათ. პარიზში თავი მოიყარა 18 ქვეყნის 54 მოჭადრაკემ, ძირითადად ნაკლებად ცნობილებმა. ტურნირის დირექტორ-განმკარგულებელი ალიოხინი გახლდათ. I-II ადგილები მაშინ ლატვიელებმა გ. მატისონმა და ფ. აპშენიეკმა დაიკავეს. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა მომავალი მსოფლიო ჩემპიონი და ფიდეს პრეზიდენტი მაქს ეივე — ზუსტად 11 წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლა მან თვით ალიოხინს მოუგო.

კიდევ ცოტაც ოლიმპიურ თამაშებში ჭადრაკის მომავალზე. სიდნეის ოლიმპიურ სოფელში, „დროშების მოედანზე“ ჭადრაკის პრეზენტაცია 24 სექტემბერს გაიმართა. ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე — გაგანია შეჯიბრებების დრო იყო და „სოფლელებიც“ ნაკლებად იყვნენ. სამაგიეროდ, „ოფიციოზი“ და საპატიო სტუმრობა (მათ შორის ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი) საკმაოდ რიცხვმრავალი ჩანდა. შიროვისა და ანანდის ბლიცი „შეთანხმებული“ ყაიმით დამთავრდა, ხოლო ფიდეს დღევანდელი პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი და მისი წინამორბედი ფლორენსიო კამპომანესი ღონისძიებას ერთად სტუმრობდნენ.

საჭადრაკო ოლიმპიადის თემა განვაგრძოთ და ახლა ცოტა რამ ისტორიიდან. დღემდე ჩატარებული 33 „ერთა ტურნირიდან“ 27-ს ევროპა მასპინძლობდა, 3-3-ს კი — ამერიკა და აზია. სულ ამ შეჯიბრებებში გათამაშებულია 40 ათასამდე პარტია. საყოველთაოდ ცნობილია ქალთა ჭადრაკის მიმართ ძლიერი სქესის წარმომადგენელთა დამოკიდებულება როგორც მოჭადრაკეების, ისე ფიდეს ადრინდელი ხელმძღვანელობის მხრიდან. ამდენად გასაკვირიც არ არის, რომ თუ მამაკაცებს შორის საჭადრაკო ოლიმპიადა სათავეს 1927 წლიდან იღებს, ქალებს ეს პატივი სამი ათეული წლის შემდეგ, მხოლოდ 1957 წელს ერგოთ. ხოლო ერთობლივი ოლიმპიადა პირველად მხოლოდ 1984 წელს, სალონიკში შედგა.

მაგრამ, მოდით, კვლავ სტამბოლის ბატალიებს დავუბრუნდეთ ახლა უკვე ჩვენი გადასახედიდან. ანუ მასში ქართველი მოჭადრაკეების მონაწილეობისა და გამოსვლის სავარაუდო შედეგებზე ვისაუბროთ.

მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდები დამოუკიდებლად უკვე მეხუთედ, 1992 წლიდან გამოდიან. ამ პერიოდში, ანუ ოთხ ოლიმპიურ თამაშებში, ქალებმა სამჯერ იმარჯვეს, ბოლოს კი, ორი წლის წინ ელისტაში ჩემპიონობა დათმეს.

ურიგო როდი იყო ვაჟთა გუნდის შედეგები — ისინი 100-ზე მეტი ქვეყნის მოჭადრაკეებთან პაექრობაში მე-7-მე-10 ადგილებს იკავებდნენ.

რას უნდა ველოდეთ სტამბოლში?

ჩემი აზრით, ჩვენმა ვაჟებმა ადრინდელი შედეგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააუარესონ, უფრო მეტიც — თუ გუნდში შენარჩუნდება ერთსულოვნება და ურთიერთგაგება, ამასთანავე სპორტული იღბალიც გვერდს არ გვაქცევს, სამეულში მოხვედრაც სავსებით რეალურია. დღეისთვის გუნდი სანახევროდ განახლებულია — ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე და ზურაბ სტურუა კვლავაც რჩებიან უმთავრეს ძალად. რვა ქართველი მოჭადრაკის მიერ 4 ოლიმპიადაში მოპოვებული 131 ქულიდან 88 სწორედ ამ სამეულზე მოდის. სტამბოლში მათ მხარდამხარ იასპარეზებენ ახალი თაობის წარმომადგენლები — გიორგი ყაჭეიშვილი, თამაზ გელაშვილი და ბადურ ჯობავა.

რაც შეეხება ქალებს, სტამბოლში ფაქტობრივად იგივე შემადგენლობა ითამაშებს, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ (1992 წლიდან) რომ ასპარეზობს — მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და ნინო ხურციძე.

მაიასთვის ეს მე-12 ოლიმპიადა იქნება და ამ მაჩვენებლით იგი ნონა გაფრინდაშვილს გაუთანაბრდება; ნანა იოსელიანისთვის კი — მე-7. ქართველ მოჭადრაკე ქალებს მხოლოდ პირველი ადგილი ეკადრებათ, ამას ითხოვენ მათგან გამარჯვებებს მიჩვეული ჩვენი გულშემატკივრები. ბოლოდროინდელ შედარებით წარუმატებლობას შემთხვევითობას მიაწერენ და დარწმუნებულნი არიან, რომ სტამბოლში ისინი კვლავ საჭადრაკო მწვერვალს დაიპყრობენ. ყველა სხვა შედეგზე მეტი რომ არ ვთქვათ, იტყვიან — თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვერ წარმოაჩინესო.

საქართველოს მოჭადრაკეებმა მზადების დასკვნითი ეტაპი ბათუმში გაიარეს. ახალაშენებულ მშვენიერ საჭადრაკო ცენტრში მათთვის ყველა პირობა იყო შექმნილი ნაყოფიერი შემოქმედებითი მზადებისთვის.

**ემზარ ზენაიშვილი**

# დიდი ჭადრაკი კონტინენტთა გასაყარზე

**სტამბოლში** 34-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ორგანიზატორებმა უკვე ყველაფერი დაალაგეს: გახსნის ცერემონიალი დღეს, იქაური დროით 10 საათიდან 12-ის ნახევრამდე შედგა და ნაშუადღევს, 15 საათიდან, პირველი ტურის პარტიებია დაგეგმილი, ასე გაგრძელდება 12 ნოემბრამდე. დასვენებისა და ექსკურსიებისთვის 3 და 11 ნოემბერია გამოყოფილი, ხოლო ოლიმპიადა საზეიმოდ 12-ში, პარტიათა დასრულებისთანავე დაიხურება. შედგენილია მსაჯთა სრული სია, სადაც 10 თურქია, 3 რუსი და ორ-ორი ირანელი, სლოვენი და ქართველი. სხვა ქვეყნებიდან კი თითო-თითო წარმომადგენელია, სულ — 38. შეჯიბრებათა პარალელურად ფიდეს გენერალური ასამბლეა იმუშავებს მეტად დატვირთული პროგრამით, რომლის სრულად ჩამოწერა შორს წაგვიყვანს. სჯობს, მეტი ადგილი მოჭადრაკეებს დავუთმოთ.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჭადრაკი უფრო მამაკაცთა სპორტია. გვატემალა გახლავთ ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც სტამბოლში მარტო ქალთა გუნდი მოავლინა, ხოლო პირიქით ბევრის დასახელება შეიძლება: 41 ქვეყანა მხოლოდ ძლიერი სქესით წარსდგა თურქთა მთავარ ქალაქში. მოკლედ, 128 ვაჟთა და 87 ქალთა ნაკრები, კაპიტნებიანად 882 ვაჟკაცი და 432 მანდილოსანი ორი კვირის მანძილზე ფრიად დაძაბულობას შექმნიან ჭადრაკის სამყაროში. უპირველესად ფავორიტების ვინაობა გვაინტერესებს, თუმცა ზოგი ნაკრების საბოლოო სია ჯერაც ვერ მოვიპოვეთ, ამიტომ სავარაუდო შემადგენლობების ჩამოთვლას დავჯერდებით. საუბარია ვაჟებზე.

რუსეთის ნაკრები, უკვე ტრადიციულად, უძლიერესთა გარეშე თამაშობს, მაგრამ მისი საბოლოოდ დადგენილი შემადგენლობა რომ იხილოთ, საეჭვო არაფერი იქნება: ჩრდილოელელებს ყველაზე უფრო ხელეწიფებათ ოქროს მედლების დათრევა. არ არის სამი „კ“ — კასპაროვი, კრამნიკი, კარპოვი. პირველი ორის ამბავი ამავე გვერდზე წერია და კარპოვი რომ ფიდეს სასამართლოთი ებრძვის, ესეც არახალია. ევგენი ბარეევი ლონდონშია, კრამნიკს სეკუნდანტობს, ალექსეი დრეევმაც თამაშზე უარი თქვა და ამ სიტუაციაში ვინ უნდა ითამაშოს პირველ დაფაზე, თუ არა ალექსანდრ ხალიფმანმა, რომელიც მომყოლებს რეიტინგებით ერთობ ჩამორჩება, მაგრამ ფიდეს მსოფლიო ჩემპიონია. ხალიფმანის ბოლო ოლიმპიადა რვა წლის წინ იყო, თუმცა ეგ არაფერი: ახლა გადასარევ ფორმაშია და რამდენიმე დღის წინ ჰოოგევენის (ჰოლანდიაში) ტრადიციულ ტურნირზე იან ტიმანსა და იუდით პოლგარს უბრალოდ კი არ მოუგო — გადაუარა. მეორე დაფაზე უხმაუროდ ალექსანდრ მოროზევიჩი განამწესეს, ელისტის ოლიმპიადის გმირთაგანი და მესამეზე პიოტრ სვიდლერი ითამაშებს



იუდით პოლგარმა ჭადრაკში სქესი გააუქმა: ოლიმპიადაზეც კაცებთან თამაშს აპირებს

— სულ ნაცნობი გვარებია. სერგეი რუბლიოვსკის (მე-4 დაფა) სტიქია სწორედ გუნდური ტურნირებია, კონსტანტინ საკაევს დებიუტების ცოდნაში კომპიუტერს უტოლებენ და ალექსანდრ გრიშჩუკიც 17 წლის ბიჭია, მაგრამ სხვა ნაკრებთა პირველ ნომრებს ბარე ორს თავისუფლად გაამწარებს. მოკლედ, რუსები თუ ვერ იპირველებენ, ამას შეგვიძლია სენსაცია ვუწოდოთ.

მოქმედ ვიცე-ჩემპიონებს, ამერიკელებს თითქმის იგივე ხალხი ჰყავთ. ეს მხოლოდ მათთან კომპლექტდება ნაკრები ყოველგვარი ბუზღუნ-ჯაჯღანის გარეშე — შესარჩევი კრიტერიუმი ფიდესა და ეროვნული რეიტინგლისტებია და ინებეთ პარადოქსიც: ნაკრებში ამის გამო ქვეყნის ჩემპიონი, ჯოელ ბენჯამინი ვერ მოხვდა. ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე, როგორ იტყვიან. იასერ სეირავანი, ბორის გულკო და სხვები უეჭველად პირველი ადგილისთვის იქნებიან მომართულები, თუმცა უკვე ერთობ მობერდნენ. ამ თვალსაზრისით უარეს დღეში გერმანელები არიან. მერამდენე ოლიმპიადაა, მათში ახალი სახე არ გამოჩენილა, ამასობაში კი დოქტორ რობერტ ჰიუბნერს 60-მა მიუკაკუნა, ექსსაბჭოელი არტურ იუსუპოვი 50-ისა გახდა და ასე შემდეგ. ჰიუბნერმა გერმანიის ბოლო პირველობაზე ახალგაზრდობა ერთხელაც დაჩაგრა და ეს იმ დროს, როცა საჭადრაკო ბუნდესლიგა მსოფლიოში უძლიერესთაგანია და თამაშის პოპულარიზებაზე მრგვალი თანხები იხარჯება. გერმანელთა გამარჯვებაზე ნიძლავის დადებას არ გირჩევთ და პრინციპში, არც ჩინეთისა. ამ ყოველმხრივ იდუმალებით მოცულ ქვეყანას ქალთა მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს და რაგინდარა სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია. 30 წლის წინ ჩინეთში ჭადრაკს ლეგალურად კაციშვილი არ თამაშობდა (კომუნისტებმა აკრძალეს) და ეს იმ დროს, როცა ჩინეთის საჭადრაკო ტარდიციები ლამის ჩვენი წელთაღრიცხვის იქით მიდის, ცალკე ჩინური ჭადრაკიც კი არსებობს. მერე „დათბა“, ჩინელები ამოძრავდნენ და აი, ქალები სადამდე მივიდნენ. პროგრესია ვაჟებშიც, მაგრამ მათ ევროპის დონემდე ჯერ ბევრი უკლიათ. ნაკრებს, გერმანიის არ იყოს, ბებერი მგელი მოუძღვის, სიუ ჟუნის უცვლელი მწვრთნელი, ე ციანჩუანი, ამას წინათ მსოფლიო თასის (ჩინეთში გათამაშდა, სხვათა შორის) მეოთხედფინალში რომ ვიხილეთ. სხვა დაფებს ახალგაზრდობა მიუჯდება.

ევროპის სხვა ქვეყნებიდან გამოსარჩევია ინგლისი, ჰოლანდია, უნგრეთი და უკრაინა. ალბიონელთა თავში ვხედავთ მაიკლ ადამსს, რომელსაც მეორენაირად „კაცი-ობობაც“ ჰქვია თამაშის აბლაბუდური სტილის გამო. იქვე არიან ნაიჯელ შორტი, ჯონათან სპილმენი, ტონი მაილსი და სხვები. ისინი პირველ ადგილზე გამსვლელები არ უნდა იყვნენ, რადგან ოლიმპიადაზე ხშირად ჩქარ ყაიმებსა და მერე ლუდის მხიარულ წრუპვას ამჯობინებენ. ჰოლანდიელებს არ ეყოლებათ იან ტიმანი და მის არყოფნაში პირველ დაფას ჯეროენ პიკეტი ჩაიბარებს. „ჰოლანდია ყველაზე ძლიერია იმ ნაკრებთაგან, რომელსაც არასოდეს არაფერი მოუგია“ — ამბობს რუსი კომენტატორი, ევგენი ატაროვი და ასეცაა: ჰოლანდია „მარადიული პრიზიორი“ გახლავთ და ძნელად, რომ ახლა ტრადიცია დაარღვიოს. უნგრეთს, ფეხბურთისა არ იყოს, ოდესღაც „დიდი გუნდი“ ჰყავდა, რომელმაც ერთადერთმა და ერთადერთხელ, 1978 წელს საბჭოთა საჭადრაკო მანქანას გადაუსწრო. მადიართა პოტენციური შემადგენლობა ახლაც დიდებულია: პიტერ ლეკო, იუდით პოლგარი, ზოლტან ალმაში და სხვები, მაგრამ უნგრელებს თავიანთ ფედერაციასთან კინკლაობა ყველაზე მეტად უყვართ და ჰონორარების მოთხოვნაც (პოლგარმა ელისტის ოლიმპიადაზე თამაშისთვის დაუფიქრებლად 50 ათასი დოლარი მოითხოვა). თუ უძლიერესებმა ითამაშეს, უნგრელებს მიზნად პირველი ადგილი ექნებათ. უკრაინელთა მთავარი ძალა კი ვასილი ივანჩუკია.

ისრაელის ნაკრებში ყველა ემიგრანტია, თუმცა საკითხავია, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულს „ემიგრანტი“ რამდენად უნდა ეწოდოს. პირველ დაფაზე მრისხანე ბორის გელფანდი ითამაშებს და სხვებიც მაგრები არიან, ამიტომ ებრაელთა ფავორიტებში ყოფნა ეჭვს არ იწვევს.

დასახელებულთა შემდეგ საჭადრაკო ექსპერტები სომხეთის, საქართველოსა და ბელარუსის ნაკრებებს ახსენებენ, მაგრამ წინა ოლიმპიადაზე ჩვენები მეხუთეზე გავიდნენ, ამიტომ მათი შანსების უკეთ შეფასებაც შეიძლებოდა.

**დავით გულუა**

**მატჩი მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონის ტიტულისთვის**

საპრიზო 2 მილიონი $



LONDON 2000

XI პარტია

| კასპაროვი | vs | კრამნიკი |
| --- | --- | --- |
| 4,5 | | 6,5 |



# კასპაროვის კისერზე ყულფი იკვრება

**გარი კასპაროვმა** მეთერთმეტე პარტიაში ერთხელაც ვერ გამოიყენა თეთრებით თამაშის კოზირი და დარჩენილ 5 პარტიაში ტიტულის შესანარჩუნებლად 3,5 ქულა უნდა აიღოს, რაც, ვლადიმერ კრამნიკის თამაშის შემხედვარე, ურთულესი ამოცანა ჩანს.

ესპანური დაცვა გათამაშდა, მაგრამ ამჯერად კრამნიკმა ბერლინის კედელი აღარ იფარა და გამოიყენა გაგრძელება, რომელიც ლეგენდარულ პოლ მორფის ჯერ კიდევ 1859 წელს ლილიან ლევენტალის წინააღმდეგ ლონდონშივე გამოუცდია და... წაუგია! მაგრამ იმის შემდეგ 131 წელი გავიდა, კრამნიკი კი უაზროდ ჯერჯერობით არაფერს აკეთებს. მატჩში დამკვიდრებული ტრადიციით, ლაზიერები საჩქაროდ დაილუპნენ და კასპაროვმა უკეთესი ენდშპილი მიიღო: ეტლითა და ორი პაიკით ორ შავ კუს დაუპირისპირდა (სხვა ოთხ-



ოთხ პაიკს არა ვთვლით). ჩემპიონმა ბევრი იბრძოლა უპირატესობის რეალიზებისთვის, მაგრამ კრამნიკს სიზუსტემ ერთხელაც არ უღალატა და 41-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. როგორც დიაგრამაზე ჩანს, შავები უშურველად გასცემენ ერთ-ერთ კუს მეტოქის ბოლო პაიკში და მერე თეთრი ეტლი კუსა და პაიკის მჭიდრო კავშირის დამრღვევი არაა. მე-12 პარტიაში თეთრები კრამნიკს ეყოლება, მაგრამ ჩემპიონმა ვა-ბანკზე ალბათ აქედანვე უნდა იფიქროს.

**დავით გულუა**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-10 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.30 | 003 | უნტერჰახინგი-ჰამბურგი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 18.30 | 004 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 18.30 | 006 | ვერდერი-ბაიერნი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 23.15 | 007 | შალკე-ლევერკუზენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 008 | მიუნხენ 1860-ჰერტა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.30 | 009 | კიოლნი-შტუტგარტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-10 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 18.00 | 014 | მაინცი-ულმი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-ჰანოვერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 016 | კიკერსი-დუისბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 017 | ვალდჰოფი-მიონხენგლადბახი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 018 | ალენი-ფიურტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 019 | ზანქტ პაული-ზაარბრიუკენი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. მე-11 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 020 | არსენალი-სიტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 021 | არსენალი-სიტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 022 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 023 | იფსვიჩი-მიდლსბრო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 024 | ლესტერი-დერბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 025 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 026 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 027 | სანდერლენდი-ქოვენთრი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 028 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 029 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 030 | ლივერპული-ევერტონი | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 031 | ბრედფორდი-ლიდსი | 4,0 | 2,9 | 1,9 |

**ინგლისი. I დივიზიონი. მე-16 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 033 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 034 | ბარნლი-ნორვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 035 | ჯილინგემი-ქრიუ | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 036 | ჰადერსფილდი-ბლექბერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 19.00 | 037 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 038 | უენსლი-ფულემი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 19.00 | 039 | სტოკპორტი-ნოტინგემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | ტრანმერი-ქუინზ პარკი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 041 | უიმბლდონი-შეფილდი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 042 | ვულვერჰემპტონი-უოტფორდი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 043 | გრიმსბი-ვესტ ბრომვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

**ინგლისი. II დივიზიონი. მე-16 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | ბრენტფორდი-უოლსოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 045 | როვერსი-ოლდემი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 046 | ლუტონი-რექსემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 047 | მილუოლი-კემბრიჯი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 048 | ნორთჰემპტონი-როტერჰემი | 1,9 | 3,0 | 3,6 |
| 19.00 | 049 | ნოტსი-სუინდონი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 050 | პიტერბრო-კოლჩესტერი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 051 | რედინგი-ოქსფორდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 052 | რედინგი-ოქსფორდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 053 | სტოკი-ბორნმუთი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 054 | სუონსი-პორტ ვეილი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 055 | უიგანი-ბერი | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 056 | უიკომბი-ბრისტოლი | 1,8 | 3,1 | 3,8 |

**ინგლისი. III დივიზიონი. მე-16 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 057 | ბარნეტი-ლინკოლნი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 058 | კარლაისლი-სკანთორპი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 059 | ჩელტენემი-ბლეკპული | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 060 | ჩესტერფილდი-კარდიფი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 061 | დარლინგტონი-ბრაიტონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 062 | ექსეტერი-როჩდეილი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 19.00 | 063 | ჰარტლპული-ლეიტონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 064 | მაკლსფილდი-ჰალიფაქსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 065 | მენსფილდი-საუთენდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 066 | პლიმუთი-კიდერმინსტერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 067 | შრიუსბერი-ტორკი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 068 | იორკი-ჰალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-13 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 069 | სტრასბური-მარსელი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 20.15 | 070 | ტრუა-მონაკო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.00 | 071 | ბასტია-სენტ ეტიენი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 072 | ლილი-ტულუზი | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 23.00 | 073 | ლიონი-ოსერი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 074 | მეცი-ლანსი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 075 | პსჟ-ბორდო | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 076 | რენი-გენგამი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 077 | სედანი-ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-17 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 079 | ლორიანი-ნანსი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 21.00 | 080 | მარტიგი-კაენი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 23.00 | 081 | აიაჩო-ნიორი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 082 | ანჟე-ბოვუა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 083 | კანი-ნიცა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 084 | შატორუ-ვასკეალი | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 23.00 | 085 | ლე მანი-ნიმი | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 23.00 | 086 | სოშო-კრეტეი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 087 | სოშო-კრეტეი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 088 | მონპელიე-ლავალი | 1,9 | 2,8 | 4,2 |

**იტალია. სერია B. მე-8 ტური**

**29 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 090 | კიევო-ანკონა | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 18.00 | 091 | კოზენცა-სიენა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 092 | მონცა-ჩიტადელა | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 093 | პესკარა-ჯენოა | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 094 | პიაჩენცა-ტორინო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 095 | პისტოიეზე-კროტონე | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 096 | სამპდორია-კალიარი | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 097 | ტერნანა-სალერნიტანა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 098 | ვენეცია-ტრევიზო | 1,65 | 2,9 | 6,0 |

**იტალია. სერია C1/ა. მე-9 ტური**

**29 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 099 | ალბინოლეფე-პიზა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 100 | ალესანდრია-არეცო | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 101 | ალძანო-სპეცია | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.30 | 102 | კარარეზე-ლეკო | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 18.30 | 103 | კომო-ბრეშელო | 1,5 | 3,1 | 7,5 |
| 18.30 | 104 | ლივორნო-მოდენა | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 18.30 | 105 | ლუკეზე-ლუმეცანე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 18.30 | 106 | რეჯანა-ჩეზენა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.30 | 107 | ვარეზე-სპალ | 2,0 | 2,7 | 4,0 |

**იტალია. სერია C1/ბ. მე-9 ტური**

**29 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 108 | ასკოლი-აკილა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 18.30 | 109 | ბენევენტო-აველინო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.30 | 110 | დი სანგრო-ატლეტიკო | 1,55 | 3,0 | 7,0 |
| 18.30 | 111 | კატანია-ჯულიანოვა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 18.30 | 112 | ფ.ანდრია-ფერმანა | 2,5 | 2,6 | 2,8 |
| 18.30 | 113 | მესინა-ტორესი | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 18.30 | 114 | ნოჩერინა-პეზარო | 1,8 | 2,6 | 5,3 |
| 18.30 | 115 | სავოია-პალერმო | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.30 | 116 | ვიტერბეზე-ლოდიჯანი | 1,8 | 2,6 | 5,3 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. მე-7 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 117 | ნუმანსია-დეპორტივო | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 23.15 | 118 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 24.00 | 119 | მალიორკა-ბარსელონა | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 24.00 | 120 | სარაგოსა-მალაგა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 01.00 | 121 | ლას პალმასი-რასინგი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 122 | რაიო ვალეკანო-ალავესი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 123 | ესპანიოლი-ოვიედო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 124 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 21.00 | 125 | სოსიედადი-რეალი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 23.00 | 126 | ოსასუნა-ვალენსია | 4,0 | 2,9 | 1,9 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. მე-9 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 127 | ბადახოსი-უნივერსიდადი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 21.00 | 128 | ფეროლი-ტენერიფე | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 21.00 | 129 | კომპოსტელა-ეიბარი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 130 | უელვა-სალამანკა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 131 | ლევანტე-სევილია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 14.30 | 132 | ხეტაფე-ლეიდა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 15.00 | 133 | ატლეტიკო-კორდობა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 134 | ბეტისი-ესტრემადურა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.00 | 135 | ხაენი-მურსია | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 136 | სპორტინგი-ლეგანესი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 137 | ელჩე-ალბასეტე | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**პორტუგალია. I ლიგა. მე-9 ტური**

**29 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 139 | ბელენენსეში-ფერეირა | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 140 | ბენფიკა-კამპომაიორენსე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 141 | ბენფიკა-კამპომაიორენსე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 142 | ამადორა-ფარენსე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 143 | ლეირია-გიმარაეში | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 144 | ავეში-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 145 | ბეირა მარი-სპორტინგი | 5,6 | 3,2 | 1,6 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 146 | ბოავიშტა-მარიტიმუ | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 01.00 | 147 | პორტუ-ალვერკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 148 | პორტუ-ალვერკა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**პორტუგალია. II ლიგა. მე-9 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 149 | მარკუ-აკადემიკა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 150 | სეტუბალი-ლამაში | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 151 | ესპინიუ-ვარზიმი | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 19.30 | 152 | ნავალი-იმორტალი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 153 | სანტა კლარა-ნასიონალი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 20.00 | 154 | რიუ ავე-ფელგეირაში | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 155 | შავეში-ოვარენსე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 156 | მაია-ლეცა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 157 | პენაფიელი-ფრეამუნდე | 1,5 | 3,3 | 7,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-10 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 160 | ჰერენვენი-გრააფსხაპი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 16.00 | 161 | პსვ-აიაქსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.30 | 162 | ნაიმეგენი-ტილბურგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 17.30 | 163 | როდა-ვალვაიკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 17.30 | 164 | სპარტა-გრონინგენი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.30 | 165 | უტრეხტი-ფეიენოორდი | 4,2 | 3,1 | 1,75 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-10 ტური**

**28 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 166 | ემენი-იგლსი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 167 | ჰაარლემი-ექსელსიორი | 5,0 | 3,4 | 1,6 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 168 | დორდრეხტი-დენ ბოსხი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 22.00 | 169 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.00 | 170 | ჰერაკლესი-მაასტრიხტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 22.00 | 171 | ეინდჰოვენი-ტელსტარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 172 | ოსი-ვეენდამი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.00 | 173 | ცვოლე-ვენლო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 174 | ცვოლე-ვენლო 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 22.00 | 175 | კამბური-ვოლენდამი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. მე-11 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 177 | ბევერენი-ბეერსხოტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 178 | შარლერუა-ლუვიე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 179 | შარლერუა-ლუვიე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 180 | ანდერლეხტი-ლოკერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 181 | ანდერლეხტი-ლოკერენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 182 | გენკი-გენტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 183 | სენტ ტრუიდენი-მეხელენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 184 | ანტვერპენი-სტანდარდი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 18.00 | 185 | ჰარელბეკე-აალსტი | 1,75 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 186 | ვესტერლო-ბრიუგე | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. მე-11 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 187 | მონსი-ჰეკელგემი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 188 | ლიეჟი-დესელი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 189 | სერკლი-დენდერლეუ | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 190 | სერკლი-დენდერლეუ 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 191 | ინგელმუნსტერი-ოსტენდე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 192 | დაინცე-მოლენბეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 193 | ლომელი-ტურნჰაუტი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 194 | ჰეუსდენი-მაასლანდი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 195 | რუზელარე-ტინენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 196 | სტრომბეკი-გეელი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| | | **საბერძნეთი. მე-4 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 197 | არისი-პაოკ | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 198 | იონიკოსი-აეკ | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 19.00 | 199 | ოფი-პანათინაიკოსი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 19.00 | 200 | ირაკლისი-იანინა | 1,35 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 201 | ათინაიკოსი-კალამატა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 202 | პანიონიოსი-ქსანთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 203 | პანილიაკოსი-ოლიმპიაკოსი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 204 | ეთნიკოსი-პანაჰაიკი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **ჩეხეთი. მე-12 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 206 | ბანიკი-სპარტა | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 207 | ბლშანი-ბუდეიოვიცე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 17.30 | 208 | სინოტი-ბრნო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.30 | 209 | პლზენი-პრჟიბრამი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 19.30 | 210 | დრნოვიცე-ჟიჟკოვი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 211 | სლავია-იაბლონეცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 212 | სლავია-იაბლონეცი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 213 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **პოლონეთი. მე-12 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 16.00 | 214 | პოლონია-ვიძევი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 215 | პოლონია-ვიძევი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 17.00 | 216 | სტომილი-გროცლინი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 17.00 | 217 | შლიონსკი-ზაგლებე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 218 | ოდრა-გურნიკი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 219 | რუხი-ლეგია | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 20.00 | 220 | კატოვიცე-რაძიონკოვი | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 221 | პლოცკი-ვისლა | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 20.30 | 222 | ამიცა-პოგონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **თურქეთი. მე-10 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 15.00 | 225 | ტრაბზონი-ანთალია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 226 | ტრაბზონი-ანთალია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 15.30 | 227 | ანკარაგიუჯიუ-ადანა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 16.00 | 228 | ბურსა-იეთფა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 229 | ერზურუმი-ბეშიქთაში | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 15.30 | 230 | გაზიანთეფი-რიზე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 231 | გაზიანთეფი-რიზე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 15.30 | 232 | სამსუნი-გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 233 | ქოჯაელი-ისთანბული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 234 | გალათასარაი-იოზგათი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 235 | გალათასარაი-იოზგათი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **შოტლანდია. მე-13 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 236 | დანდი-იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 4,4 | 3,0 | 1,7 |
| 19.00 | 237 | დანფერმლაინი-დანდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 238 | ჰართსი-სენტ ჯონსტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 19.00 | 239 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 240 | რეინჯერსი-კილმარნოკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 241 | სენტ მირენი-აბერდინი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 22.05 | 242 | მოზერუელი-სელტიკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | | **ავსტრია. მე-16 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 243 | ზალცბურგი-აუსტრია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.30 | 244 | შტურმი-ბრეგენცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 245 | შტურმი-ბრეგენცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 246 | რაპიდი-ამმირა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 247 | რაპიდი-ადმირა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 248 | ტიროლი-რიდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 249 | ტიროლი-რიდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.30 | 250 | ლინცერი-გრაცერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **შვეიცარია. Ა ჯგუფი. მე-16 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 251 | ლუცერნი-გრასჰოპერი | [illegible] | 3,0 | 2,0 |
| 22.30 | 252 | სიონი-ლუგანო | [illegible] | 2,9 | 2,3 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 253 | ქსამაქსი-სერვეტი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 17.30 | 254 | ციურიხი-არაუ | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.15 | 255 | ბაზელი-ივერდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 256 | ბაზელი-ივერდონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 257 | ლოზანა-სენტ გალენი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-18 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 258 | ბადენი-ვიტერთური | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 20.30 | 259 | კარუჟი-იანგ ბოისი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 20.30 | 260 | თუნი-ვანგენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.30 | 261 | ვილი-ლოკარნო | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.30 | 262 | დელემონი-კრინსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 263 | დელემონი-კრინსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 264 | ბელინცონა-სოლოთურნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 265 | ბელინცონა-სოლოთურნი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **დანია. მე-14 ტური** | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 266 | ოლბორგი-სილკებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 267 | ჰადერსლევი-აკადემისკი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 18.00 | 268 | ოდენსე-ვიბორგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 269 | კოპენჰაგენი-ჰერფიოლგე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.05 | 270 | ორჰუსი-ბრიონდბიუ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 271 | ლიუნგბიუ-მიდტიულანდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **რუსეთი. 29-ე ტური** | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 272 | ზენიტი-სპარტაკი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| | | **შვედეთი. მე-25 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 16.30 | 273 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 16.30 | 274 | ტრელებორგი-ფრიოლუნდა | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 16.30 | 275 | იორებრო-სუნდსვალი | 1,75 | 3,3 | 3,3 |
| 16.30 | 276 | იორგრიტე-გიოტებორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 16.30 | 277 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.30 | 278 | გაის-ნორჩიოპინგი | 2,0 | 3,0 | 3,0 |
| 16.30 | 279 | ჰეკენი-აიკ | 2,6 | 3,2 | 1,9 |
| | | **ნორვეგია. პლეი-ოფი** | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 280 | ვოლერენგა-სიოგნდალი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 281 | ცსკა-ანჟი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | | **ნორვეგია. თასის ფინალი** | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 282 | ვიკინგი-ოდ გრენლანდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 912 | ბოსტონი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 913 | მონრეალი-აილენდერსი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 914 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 915 | ფლორიდა-ოტავა | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 916 | დეტროიტი-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 917 | ჩიკაგო-ბუფალო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 918 | სენტ ლუისი-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 919 | კოლორადო-ედმონტონი | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| 24.00 | 920 | ფინიქსი-ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 921 | სან ხოსე-ატლანტა | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 922 | კალგარი-ანაჰაიმი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 923 | რეინჯერსი-ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 924 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| 24.00 | 925 | კაროლინა-სენტ ლუისი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 926 | მინესოტა-ჩიკაგო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 927 | კოლორადო-ფინიქსი | 1,75 | 4,0 | 2,5 |
| 24.00 | 928 | ედმონტონი-ანაჰაიმი | 1,75 | 4,0 | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**ბათუმში**

**კვლავ ამუშავდა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:**

**მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75**

**ქუთაისში მალე კვლავ ამუშავდება კროკოს ბიურო ძველ მისამართზე:**

**პუშკინის №16 (ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში)**

საქართველოს ჩემპიონატი 3 ტური

# ანონსი

28 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 12.00
**ვითა — აზოტი**

28 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 13.45
**თსუ — სსუ**

28 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15.30
**დინამო — შევარდენი**

საქართველოს ჩემპიონატი 4 ტური

29 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 12.00
**სსუ — ვითა**

29 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 13.45
**მაკაბი — დინამო**

29 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15.30
**თსუ — შევარდენი**

29 ოქტომბერი. ბათუმი. 17.00
**ბასკო — სტუ**

# დოლჩე ვიტა აღარ არის, ძველი ვითა სადღა არის

## აზოტი ძველ ბრძოლის ველზე გაისეირნებს

**თბილისში** ბათუმიდან ჩამობრძანებული მეათე ეროვნული ამ უქმეებზე კიდევ ერთხელ ეწვევა ზღვისპირეთს. იქ, ბათუმში, მეოთხე ტურის უმთავრესი მატჩია. კვირას ერთმანეთის პირისპირ წინა ჩემპიონატის გამარჯვებული „ბასკო“ და ბრინჯაოს პრიზიორი სტუ წარსდგებიან. დიდი შეხლა-შემოხლაა მოსალოდნელი.

დღემდე ორივე გუნდი წაუგებელია, უკუღმართული კალენდრის გამო ექვსი შეხვედრა გამართა „ბასკომ“ და ექვსივე თავის სასარგებლოდ დაასრულა. სტუ-მ კი ორი გუნდი გააწბილა, გაჭირვებით მოუგო „შევარდენს“ და შემდეგ — თავისივე შვილობილს, „ვითა“-სტუ 2-ს.

ამ შეხვედრის ფავორიტი „ბასკოა“. უფრო იმიტომ, რომ საკუთარ კედლებში თამაშობს, თორემ სადღეისოდ ზღვისპირული გუნდი დაუმარცხებელი სულაც არ არის. და თუ მოახერხა სტუ-მ „ბასკოს“ ძლევა, ერთადერთი გუნდი შეიქნება, ვინც შინაურ კედლებში დაამწუხრა ჩემპიონი.

მეტოქეებს დიდი ამბიცია აქვთ. „ბასკო“ მხოლოდ ჩემპიონობის გაორებაზე ფიქრობს, სტუ კი იმაზე, მოყირჭებული ბრინჯაო ოქროდ, უარეს შემთხვევაში, ვერცხლად აქციოს. სტუდენტურ გუნდს „ჯეოსელის“ სახით ახლა უკვე საიმედო მფარველიც ჰყავს და პატრონი რომ არ განარისხოს, წლეულს უეჭველად წინ უნდა წადგას ფეხი.

„ბასკოსთან“ მოგება სატურნირო თვალსაზრისითო ჯერ ვერ ვიტყვით და სხვა მხრივ ძალიან სჭირდება სტუ-ს. საკუთარ შესაძლებლობებს მეტად ირწმუნებს, რაც არცთუ დამაჯერებელი სტარტის შემდეგ მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტური გუნდისთვის. თავის მხრივ „ბასკოც“ მაქსიმალურად მობილიზებული შეეგებება მეტოქეს, რადგან მისგან საფრთხეს ელის. სტუ-ს ბათუმლებთან ჯაჯგური რომ ძალუძთ, ეს წინა სეზონშიც დამტკიცდა.

ახალ ჩემპიონატს გვარიანად სახეცვლილი შეხვდა „ბასკო“ და იმ თამაშისგან ჯერ კარგა შორსაა, მწვრთნელები რომ მოიწონებენ. ისე, ძალთა ბოლომდე გამომჟღავნება წლეულს არც დასჭირვებია ჩემპიონს და ამის აუცილებლობა სტუ-სთან მატჩში თუ დადგა, აი, მაშინ ვიხილავთ „ბასკოს“ რეალურ შესაძლებლობებს.

სტუდენტთა მთავარმა მწვრთნელმა, ნუგზარ ჭეიშვილმა, შეიძლება ითქვას, შეინარჩუნა გუნდის ძირითადი ბირთვი. მართალია, კლუბს თორთლაძე და ორმოცაძე გამოაკლდა, მაგრამ ხოშტარია-დავითულიანის სახით დიდი ძალა შეიმატა. სხვათა შორის, სეზონებს შორის პერიოდში „ბასკოსა“ და სტუ-ს ერთგვარი როქი მოუვიდათ. ორმოცაძე, რომელიც შარშან სტუ-ს ღირსებას იცავდა, ახლა „ბასკოსთვის“ ილვწის, დავითულიანი კი პირიქით, ტექნიკოსთა გუნდში სწორედ ბათუმიდან გადმობარგდა.

რას დაუპირისპირებს ნუგზარ ჭეიშვილი ზურაბ ტომარაძის გუნდს? ეს ძალიან საინტერესოა. ჭეიშვილის მიერ შერჩეული ტაქტიკა გადამწყვეტი მნიშვნელობისა იქნება მატჩში, სტუდენტთა თავკაცმა მრისხანე „ბასკოს“ ხრიკები უნდა მოუწყოს, სხვანაირად გაუჭირდება მიზნის მიღწევა.

სავარაუდოა, სტუ-მ დაცვაში ზონური განლაგება აირჩიოს. ბათუმელთა თავდამსხმელის, ვახტანგ ნაცვლიშვილის გაუვნებლება სხვანაირად ძალიან გაუჭირდებათ თბილისელებს. პერსონალური დაცვისას, ვფიქრობთ, ჭეიშვილი ზურაბ ჩუბინიძეს მიამაგრებს ნაცვლიშვილზე, სტუ-ს მაღლებიდან დაცვაში კარგი თამაში ყველაზე მეტად სწორედ „ჩუბას“ ხელეწიფება. ლევან ქარაბაკს, ალბათ, ვასილ ოთიურიძე დაუდგება, ვალერი კილაძეს კი — გოდერძი კორძაძე. მათი დუელიც ბევრ საინტერესოს ჰპირდება მატჩის სანახავად მისულ ქომაგთ.

წარმოუდგენლად ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მეტოქეთა უკანახაზელებზე. „ბასკოს“ ორი სრულფასოვანი გამთამაშებელი ჰყავს, ვინიცობაა, ბათუმელთა ამერიკელ ლეგიონერს, ჯეფ როჯერსს თამაში არ გამოუვიდეს, ტომარაძე მას დავით უსტიაშვილით შეცვლის, რომელიც კარგად გრძნობს მატჩის რიტმს და თავისიანთა შეტევებს რიგიანად უძღვება. გიორგი ნიკოლაძეს კი მწვრთნელთაგან პირველ შეტევაში გაქცევა და მსროლელის ფუნქციების შესრულება დაეკისრება.

სტუ ძირითადად სისწრაფის ხარჯზე შეეცდება ფონს გასვლას, ელვისებურ შეტევათა განვითარება, ალბათ, ალეკო დავითულიანს დაევალება, რაც მას კარგად გამოსდის. გამთამაშებლობას კი ჭეიშვილი ირაკლი ხოშტარიას მიანდობს, ეპიზოდებში ბაჩანა სულაძესაც.

რაც არ უნდა ვთქვათ, ამა თუ იმ გუნდის წარმატების წინაპირობა მწვრთნელთა უშეცდომო ნაფიქრ-ნააზრევია. რომელი მწვრთნელის სამოქმედო სტრატეგია გაამართლებს, ამასაც მალე შევიტყობთ, გამარჯვებული, ბუნებრივია, ის გუნდი გამოვა, რომლის დამრიგებელიც მატჩის მსვლელობისას უტყუარ გადაწყვეტილებებს მიიღებს და საკუთარი შეგირდების შესაძლებლობებს უკეთ განჭვრეტს.

შაბათს ვერის ბაღში ნაკლული მესამე ტური გაიმართება. „ბასკო“ წინდაწინ ეთამაშა „მაკაბის“ და ეს გუნდი საკვირაო მატჩისთვის მოემზადება, როცა „დინამოს“ უნდა დაუპირისპირდეს. იმავე „დინამოს“ მძიმე შაბათ-კვირა ელის, „მაკაბიმდე“ „შევარდენთან“ მოუწევს დიდი ბრძოლა.

„დინამო“-„შევარდენის“ წყვილში გამარჯვებულის გამოცნობა ურთულესი საქმეა. ლევან მოსეშვილის გუნდს მოგება არა აქვს და მთელი ძალით შეასკდება სერგო იშხნელის სამწყსოს, რომელსაც მეათე ეროვნულში თავისი სამყოფი ამბიცია აქვს და იოლად არაფერს დათმობს. „ბასკოსთან“ და „აზოტთან“ მარცხნაწვნევი „დინამო“ ახლა, ცხადია, უხასიათოდაა და ლევან მოსეშვილს შეგირდების ფსიქოლოგიური მომზადებაც მართებს, მწვრთნელმა მოსაგებად უნდა განაწყოს კალათბურთელები, რაც მოსეშვილისთვის პრობლემას არასდროს წარმოადგენდა.

„შევარდენმა“, წარმატება თუ სურს, აუცილებლად უნდა მოახერხოს დინამოელი დავით თორთლაძის გაუვნებლება. ამ დავალებას იშხნელისგან, ალბათ, გიორგი ჩხეიძე მიიღებს, „ჯიჯო“ ჩვენში ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია. კახაბერ შენგელიას კი ლევან ქევხიშვილი აედევნება, საინტერესოა, ვისი გამარჯვების დასრულდება მეტოქეთა ცენტრების დუელი. თორთლაძე-შენგელიას გარდა ყველაზე დიდ საფრთხეს „შევარდენი“, მეორე დღეს კი „მაკაბი“ ირაკლი კეიდიასგან უნდა ელოდოს. ამ ბიჭმა შარშან სლოვენიური სკოლა გაიარა, რაც მის თამაშსაც დაეტყო.

„შევარდენთან“ დაქანცულ „დინამოს“, ვფიქრობთ, კვირას კამერუნელებით გაძლიერებულ „მაკაბისთან“ ერთიორად გაუჭირდება მოგება. მაკაბელთა უმთავრესი თავის ტკივილი სადღეისოდ ნომინალური გამთამაშებლის არყოლაა, თორემ სხვა მხრივ მწვრთნელებს არაფერი აქვთ საწუწუნო. „დინამოსთანაც“, ცხადია, მოსაგებად გავა „მაკაბი“ მოედანზე და მიზანს რომ მიაღწიოს, უპირველესად მანაც იგივე ამოცანა უნდა გადაჭრას, რასაც წინა დღეს „შევარდენი“ შეეცდება. ალბათ, მიხვდით, თორთლაძის, შენგელიასა და კეიდიას გაუვნებლებას ვგულისხმობთ.

კვირას „შევარდენსაც“ დიდი ჯაფა დაადგება, თსუ-სთან მოუწევს საქმის დაჭერა და თუ ძალა ეყო, მოსაგებად იბრძოლებს. ჩვენ ფავორიტად უნივერსიტეტელებს მივიჩნევთ, რაკი ზაზა ზამთარაძის გუნდის თამაშში მეტი პოტენცია შეიმჩნევა.

სხვაც არაფერია საგანგებოდ აღსანიშნი, „აზოტი“ „ვითასთან“ გამოისეირნებს. დრონი მეფობენო, ხომ გაგიგონიათ?..

**გიორგი ბიჭაშვილი**



მეათე ეროვნულის როქი: ყოფილი სტუ-ელი ამროსი ორმოცაძე (მუქ ფორმაში) ახლა ბასკოელია, ყოფილი ბასკოელი ალეკო დავითულიანი (№15) კი ახლა სტუ-ელია

# დრიმ თიმი აღარ იქნება!

## დევიდ შტერნი: ათენში მუშებსაც გავგზავნით



დევიდ შტერნი

**უყურეთ** სიდნეის ოლიმპიადას? მოგეწონათ ამერიკელ კალათბურთელთა თამაში? აქ ალბათ ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა საზიზღრად ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი გახდა და ამას ალბათ ვერავინ უარყოფს, მათ შორის ვერც ამერიკელი ჟურნალისტები. მაგრამ ოლიმპიადის შემდეგ ჩვენი ოკეანისგაღმელი კოლეგებისგან იშვიათად გაიგონებდით თავიანთ რჩეულთა კრიტიკას მაშინ, როცა ისინი ამას ნამდვილად იმსახურებდნენ. „ჩვენმა გუნდმა მძიმე ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება ლიტვასთან... რუსეთთან, საფრანგეთთან“ — წერდნენ ამერიკული პრესის გიგნატები და გარდა ამისა, ეს მწირი სტატიები მხოლოდ კონკრეტული მატჩის მიმდინარეობის მოკლე სტენოგრამას წარმოადგენდა. რატომ? ალბათ იმიტომ რომ „დრიმ თიმის“ თამაშის დონემ სრულიად საკალათბურთო ამერიკის თაყვანისმცემელთა გვარიანად შელახა.

დიახ, ეგრეთ წოდებული „ოცნების გუნდი“ ჩემპიონი გახდა, მაგრამ ამ გამარჯვებას არ ახლდა დიდი ზარ-ზეიმი. ამერიკელებს მოგება კი არ უხარიათ, არამედ ის, რომ არ წააგეს. ახლა ისინი საქვეყნოდ აღარ გაჰყვირიან, ჩვენმა უძლეველმა გუნდმა მორიგი კუთვნილი ოლიმპიური ოქრო დაისაკუთრაო. მათ ფიქრისა და განსჯის დრო დასდგომიათ. სულ ახლახან ნბა-სა და დანარჩენ სამყაროს შორის ვეება უფსკრული იყო, ამჟამად კი ეს უფსკრული პატარა ღარად ქცეულა, რომელზეც დღეს თუ ხვალ ვილაც გადააბიჯებს. ეს კი უკვე კატასტროფაა ჯერჯერობით კვლავაც დაუმარცხებელი ამერიკელი პროფესიონალებისთვის.

“ოცნების გუნდის“ სიდნეიში უღიმღამო თამაშის რამდენიმე მიზეზი შეგვიძლია ჩამოვთვალოთ. ფავორიტები არ იყვნენ თავიანთ თავში დარწმუნებულნი, რასაც ხელი ზოგიერთი მძლავრი მოთამაშის (ონილი, დანკანი, ჰილი, აივერსონი...) არყოფნამაც შეუწყო. ამერიკელები ვერ მოერგნენ ზონურ დაცვას. ევროპელები, განსაკუთრებით კი ლიტველები, დაცვაში გაუვალ კედელს ქმნიდნენ და სათარეშო სივრცეებს მაქსიმუმამდე უზღუდავდნენ ტექნიკურ და სწრაფ უკანახაზელებს — ალენს, კიდს და პეიტონს, რომელთაც ბურთით სასწაულების ჩადენა შეუძლიათ. და მთავარი, რის გამოც ამერიკელებს გაუჭირდათ, ეს ვარსკვლავური შემადგენლობაა. ნბა-ს სუპერვარსკვლავები სიდნეიში გასასეირნებლად ჩავიდნენ და არა ოფლის საღვრელად, რაც მათ თამაშის ხარისხს დაეტყო, თითქოს „ოლ სტარის“ საჩვენებელ შოუში მონაწილეობნენ. ამერიკელები უგულოდ ირჯებოდნენ, მათ აკლდათ მობილიზება, შემართება დაბოლოს, „ოცნების გუნდს“ გუნდისა არაფერი ეცხო.

და რა მოხდება, თუ მომდევნო ოლიმპიადაზე ამერიკელებმა ასეთივე გუნდი მიავლინეს და ვინ იცის, შეუძლებელი არაფერია, დამარცხდნენ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, ნბა-ს მამები ყოველ ღონეს იხმარენ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი გამოსავალს ნაკრების მოთამაშეთა შერჩევის პრინციპის შეცვლაში ხედავს. „შემადგენლობა, რომლის თორმეტივე წევრი სუპერვარსკვლავია, სერიოზულ ტურნირში გამარჯვების არცთუ საუკეთესო წინაპირობაა — ამბობს შტერნი — ამიტომ მომავალში ნაკრები მარტო ვარსკვლავებით არ დაკომპლექტდება. მე არ ვამბობ, რომ ნაკრებში მათი ადგილი არ იქნება, მაგრამ პირობას გაძლევთ, ათენში მოასპარეზე გუნდში რამდენიმე ვარსკვლავი იქნება. ნუ გაგიკვირდებათ, თუ იქ ნბა-ს სტანდარტებით საშუალო კალათბურთელს აღმოაჩენთ. ნებისმიერ გუნდს ლიდერთან ერთად მშრომელი მოთამაშე სჭირდება.“ შტერნს არ უთქვამს, მაგრამ ცხადია, რომ ნაკრების კარი საბოლოოდ დაიხურება იმ კალათბურთელებისთვის, რომელთაც სიდნეიში წასვლა იუკადრისეს. ასეთი კი რამდენიმეა. დევიდ შტერნის სიტყვას ბეჭედზე მეტი ფასი აქვს. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, როგორ გაუსწორდა იგი ფარული კონტრაქტის დადებაში მხილებულ „მინესოტას“ და ჯო სმიტს.

შტერნი ალბათ შეასრულებს თავის სიტყვას და ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე სრულიად განსხვავებულ გუნდს ვიხილავთ. იმედია, იქ ითამაშებენ ბიჭები, რომელთა მთავარი მიზანი 30 ქულის მოგროვება კი არ იქნება, არამედ სულის და გულის გაღება. ეყოლებათ შავი სამუშაოს შემსრულებლებიც.

ბებერი ევროპა კი მთელი მონდომებით მიიწევს ამერიკისაკენ. 1992 წელს ევროპელები პირველ და ნამდვილ „დრიმ თიმთან“ ყოველ თამაშს 50 ქულის სხვაობით აგებდნენ, სიდნეიში კი ამერიკამ უდიდესი გაჭირვებით — 85:83 მოუგო ლიტვას. რა იქნება ათენში?...

თუმც იქამდე მთელი ოთხი წელიწადია.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ევროლიგა

Euroleague

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 25-26 ოქტომბერი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
| --- | --- |
| პერისტერი 85:68 ლუგანო | ტაუ 76:64 შარლერუა |
| ზადარი 87:91 ფორტიტუდო | კინდერი 106:88 ციბონა |
| ჟალგირისი 77:80 ესტუდიანტესი | პეტერბურგი 69:90 აეკ |
| **C ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| ოლიმპიაკოსი 82:73 ბენეტონი | მიულერი 102:76 ლონდონ თაუერზი |
| ოლიმპია 102:79 ოვარენზე | სკაილაინერზი 79:94 ბუდუჩნოსტი |
| პაოლი — რეალი გადაიდო | ბარსელონა 58:67 პაოკ |

# რუსულ არმიას პოლონეთში იგორ კუდელინი შეუძღვა



REUTERS

მაკაბი — პლანია. იონ დალენი (ბურთით) და მაკაბელი ელად საციონი

**ჩახედეთ ცხრილებს?** ყველაფერი სწორია, არც თვალი გატყუებთ და არც ჩვენ დაგვიშვია შეცდომა: ათენის „პანათინაიკოსი“ ბოლო ადგილზეა. შარშანდელი ევროლიგის ჩემპიონი სუპროლიგაში ზედიზედ მეორედ დამარცხდა. ამჯერად ხორვატიაში, „სპლიტთან“.

კრიზისზე საუბარი იქნებ ნაადრევია, მაგრამ ამ უიღბლო სერიას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოვუნახოთ: „პანათინაიკოსს“, პრაქტიკულად, ჩაუვარდა სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდი. გუნდის ლიდერები, დეიან ბოდიროგა და ჟელკო რებრაჩა იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იყვნენ. იმავე ტურნირზე ესპანელთა ღირსებას იცავდა ჯონი როჯერსი. ოლიმპიადამ კი, თავის ვარჯიშ-შეკრებიანად, დაახლოებით ოთხი თვე წაიღო. რაც მთავარია, ამდენი ხნის განმავლობაში გუნდთან ერთად არ იყო მწვრთნელი — ჟელკო ობრადოვიჩი სიდნეიში იუგოსლავიის ნაკრებს თავკაცობდა. ჩამოთვლილმა ხალხმა ნაოლიმპიადევს დაახლოებით ორი კვირა ივარჯიშა დანარჩენ თანაგუნდელებთან და, ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ან ის რა გასაკვირია, რომ სიდნეიმოვლილები ფიზიკურ-მორალურად გადაღლილები იყვნენ.

„სპლიტმა“ თავიდანვე შეუტია სახელოვან მეტოქეს და მეშვიდე წუთზე 14:4 უგებდა. ათენელები თითქოს გამოერკვნენ და მეორე მეოთხედის შუაწელში ანტონის ფოცისმა საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა — 25:25. აღმოჩნდა, რომ ეს „პანათინაიკოსის“ მაქსიმუმი იყო, რადგან ამის შემდეგ მეტოქეს ახლოს ველარ გაეკარა. სპლიტელთა შორის გამოირჩეოდნენ ვუიჩიჩი (ტაიმში 9 ქულა) და ამერიკელი გამთამაშებელი რენჩერი, რომელმაც ექვს ქულას სამი ჩაჭრა დაურთო და თავისიანებს ტაიმი 36:27 მოაგებინა.

შესვენების შემდეგ როჯერსი სამქულიანებით ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ბოდიროგამ და რებრაჩამ მეორე ტაიმში ჯამში ორი ქულა (!) გააკეთეს და „პანათინაიკოსის“ წაგებაც უზრუნველყვეს.

რუსული არმია კი პოლონეთის ქალაქ ვროცლავში შევიდა და იქაურ „ცეპტერს“ მძიმე არტილერია დაუშინა. მთავარი მეზარბაზნე 28 წლის უკანახაზელი იგორ კუდელინი იყო, რომელმაც რვა სამქულიანი ჩააგდო. ვროცლაველებს არც ლიტველმა ცენტრმა გინტარას ეინიკისმა და ამერიკელმა გამთამაშებელმა რასტი ლარუმ დააკლეს ხელი და ორ-ორი სამქულიანი ჩაუგდეს. ლარუმ დაცვაშიც გამოიჩინა თავი და პირწმინდად ამოკეტა მეტოქის ლატვიელი ლიდერი რაიმონდს მიგლინიეკსი. შედარებით სუსტად ითამაშეს ცსკა-ს და რუსული კალათბურთის ამომავალ ვარსკვლავებად შერაცხულებმა, იალგარ კარიმოვმა და ანდრეი კირილენკომ. თუმცა, იმ დღეს კუდელინი იმდენად კარგი იყო, რომ სხვათა დახმარება არც დაჭირვებია. მატჩის და, იქნებ, ტურის გმირმა თქვა: „დღეს ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მსურდა“.

ბერლინის „ალბა“ სტამბოლში ჩავიდა და თან ორი ისეთი მოთამაშე ჩაიყვანა, რომლებიც შარშან მის მეტოქე „ულქერში“ თამაშობდნენ. იუგოსლაველი დეიან კოტუროვიჩი და გაგერმანელებული თურქი თეომან ოზთურქი ცენტრები არიან, ურიგოდ არ უთამაშიათ, მაგრამ ულქერელთა ამერიკელი ბენჯამინ ჰენდლოგტენი გაცილებით ძლიერად გამოიყურებოდა.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ოღონდ ყოველი მეოთხედის ბოლოს „ულქერი“ იყო წინ. ყველაფერი ბოლო ათწუთეულში გადაწყდა, რასაც წინ უძღოდა ორი ამერიკული დუეტის დუელი: ჰენდლოგტენ-ლოლისის „ულქერიდან“ და ალექსის-ფელპსის — „ალბადან“. დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მასპინძლები 81:80 იგებდნენ. სტამბოლელთა კაპიტანმა ჰარუნ ერდენაიმ ამერიკელთა საქმეში ჩარევა გადაწყვიტა და ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. „ულქერმა“ მოიგო და ჯერაც დაუმარცხებელია. ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია, იგი ამჯერადაც არ იყო შეყვანილი „ულქერის“ განაცხადში.

ნოვო მესტოს „კრკა“ სუპროლიგის მატჩს პირველად თამაშობდა შინ. სტამბოლის „ეფესმა“, კერძოდ კი მისმა იუგოსლაველმა ფორვარდ-ცენტრმა პრედრაგ დრობნიაკმა დებიუტი ჩაუშხამა. ეფესელს ყველაფერი გამოსდიოდა: საშუალო მანძილიდან სროლა (რვიდან ექვსი ორქულიანი ჩააგდო), შორიდან სროლა (ორიდან ორი სამქულიანი), ფარზე მუშაობა (9 მოხსნა). მისი შეჩერება ვერავინ შეძლო. „ეფესი“ თავიდანვე 11:0 დაწინაურდა და ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა. „კრკამ“ მოახერხა და ტაიმი ექვსი ქულით წააგო (41:35), მაგრამ შესვენების შემდეგ „ეფესმა“ 19 ქულით გაზარდა ანგარიში (58:37) და გამარჯვებულიც გამოარკვია. აღსანიშნავია, რომ ალეშ პიპანმა პირველი ოფიციალური მატჩი წააგო „კრკას“ მწვრთნელის პოსტზე. მანამდე მან ხუთჯერ გაიმარჯვა სლოვენიის ჩემპიონატში, ერთხელ — სუპროლიგაში.

სეზონში პირველად დამარცხდა ლევერკუზენის „ბაიერი“. მისი ლიდერები, ჯონ ბესტი და ალექსანდრ ლოხმანჩუკი ერთობ დაბნეულნი იყვნენ, სამაგიეროდ „ოსტენდეს“ ამერიკელმა უკანახაზელებმა ჯონ-რობერტ ჰოლდენმა და რალფ ბიგსმა დიდებულად ითამაშეს: პირველმა 20 ქულა და შვიდი პასი გააკეთა, მეორემ — 19 ქულა და 12 მოხსნა. „ოსტენდეს“ მწვრთნელმა ლუსიენ ვან კერსხავერმა თავისიანებს გარჯა შეუქო და დასძინა, გაგვიმართლა, ჰანსი გნადმა სუსტად რომ ითამაშა, თორემ „ბაიერი“ მოგვიგებდაო.

„ბელგრადის“ პარტიზანს“ სუპროლიგაში ორი განსხვავებული ტაიმის თამაში დასჩემდა. წინა ტურში მან ცუდად დაიწყო, მაგრამ შესვენების შემდეგ კარგად გაისარჯა და „ეფესი“ დაამარცხა. ამჯერად ყველაფერი პირიქით იყო — „პარტიზანი“ სალონიკში პირველ ტაიმს 42:41 უგებდა „ირაკლისს“ და გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. მესამე მეოთხედი კი ბელგრადელებმა 11:30 დათმეს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით სალონიკელ უკანახაზელებს, ნიკო ხაძივრეტასს და რუს ვასილი კარასიოვს. მათ გარღვევებს „პარტიზანმა“ ვერაფერი მოუხერხა. „ირაკლისი“ არ იყო ამხელა უპირატესობის ხელიდან გამშვები, თუმცა არც ნირწამხდარ სტუმრებს გამოუდვიათ მაინცდამაინც თავი.

შვედეთის „პლანია“ თელ ავივს ესტუმრა და პირველ მეოთხედში მედგრად შეებრძოლა შარშანდელი ევროლიგის ფინალისტ „მაკაბის“. შვედები მერვე წუთზე 22:18 იგებდნენ. მათ რიგებში საუკეთესო იყო დენის აულანდერი, რომელმაც სამი სამქულიანი ჩააგდო (სულ მატჩში — ხუთი). ფარქვეშ კარგად იდგა ნიკოლასი, მაგრამ „მაკაბიმ“ მისი პრობლემა მალე გადაჭრა: ნათანიელ ჰაფმანი და რადისლავ ჩურჩიჩი სიღრმეში ითხოვდნენ ბურთებს და პლანიელს აჯარიმებდნენ. პირველი მეოთხედი 27:27 დასრულდა.

მე-17 წუთზე „მაკაბი“ 37:31 იგებდა, როცა ნიკოლასმა მეოთხე პერსონალური მიიღო და სკამზე დაჯდა. ებრაელებმა სწრაფად შეუტიეს და ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილი სამწუთიანი მონაკვეთი 12:2 მოიგეს. „მაკაბიმ“ მესამე მეოთხედში 21-ქულიან უპირატესობას მიაღწია და შეხვედრაც ინერციით დასრულდა.

ამ ტურში ფრანგები და იტალიელები ორჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ორჯერვე ფრანგებმა იმარჯვეს, ოღონდ დაძაბულ ბრძოლაში. ორივე მატჩის სცენარი დაახლოებით ერთნაირი იყო: „ვილერბანი“ და „პო ორტეზი“ თავიდანვე დაწინაურდნენ, მაგრამ, შესაბამისად, „სიენამ“ და „სკავოლინიმ“ ჩამორჩენა დაძლიეს და ბოლო წუთამდე ინარჩუნებდნენ მოგების შანსს. შემდეგ კი სხვადასხვა რამ მოხდა. პოელთა ესპანელმა როჯერ ესტელერმა ზედიზედ ექვსი ქულა ჩაუგდო „სკავოლინის“ და წარმატების იმედი გადაუწურა. ვილერბანში კი საქმე დამატებითი დროისკენ მიდიოდა. მასპინძლები 70:65 იგებდნენ, როცა „სიენას“ ბრაიან ევანსმა სამი საჯარიმოს სროლის უფლება მიიღო. ორი ჩააგდო, მესამე კი შეგნებულად ააცილა. სიენელთა სლოვენიელმა ბორის გორენცმა ბურთი მოხსნა და სამქულიანის სასროლ პოზიციაზე მყოფ თანაგუნდელს დაუწყო ძებნა. ამ დროს მან პირით ხაზს დააბიჯა ფეხი და ბურთი დაკარგა...

იტალიურ გუნდებს სუპროლიგაში ჯერ არ მოუგიათ.

**მერაბ რატიშვილი**

## სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 25 - 26 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### A ჯგუფი

**ლიეტუვოს რიტასი 91:66 რაანანა**

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (18), გედრაიტისი (18), გრანტი (2), იარუტისი, რ. იავტოკასი (4), კაზლაუსკასი (2), მასიაუსკასი (15), შესტოკასი (17), შიშკაუსკასი (6), სლეზასი (9)

რაანანა: არდიტი (2), გრინი (4), იცხაკი, კანტორი (5), მაკარტი (18), სელტერსი (11), საიმონი (3), სტანოევიჩი (19), ვალდმანი (7)

**სპლიტი 68:59 პანათინაიკოსი**

სპლიტი: ბადჟიმი (8), გრეგოვი, გრგურევიჩი (9), ლენდი (13), პოლიაკი (3), რენჩერი (14), სუბოტიჩი (3), ტომელიაკი (1), ვუიჩიჩი (12), ჟიჟიჩი (5)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (4), ბალოიანისი, ბოდიროგა (11), ბერკი, ფოცისი (12), ჯენტილე (6), კოხი (4), დ. მიდლტონი (2), რებრაჩა (4), როჯერსი (16)

**ულქერი 90:84 ალბა**

ულქერი: აჩიკი (1), ერდენაი (19), ერდოგანი (10), გოლიოვიჩი (2), გონლუმი (9), გიულერი (5), ჰენდლოგტენი (21), ლოლისი (11), პერსევო, სარიჯა (2), ილდირიმი (10)

ალბა: ალექსისი (16), კოტუროვიჩი (18), ლუტკე (6), ოზთურქი (10), პაპიჩი, პეშიჩი (19), ფელპსი (15), როდლი

**ცეპტერი 69:84 ცსკა**

ცეპტერი: ადომაიტისი (8), ავილიაში, ციელებაკი (2), კოსციუკი (1), მარქსი (10), მაკნაული (11), მიგლინიეკსი (5), ტომჩიკი (7), ვოიციკი (12), ზიელინსკი (13)

ცსკა: ალანოვიჩი (7), დომანი, ეინიკისი (17), ფეტისოვი (4), კარიმოვი (10), კირილენკო (7), კუდელინი (31), ლარუ (6), პეტრენკო (2)

**სიენა 67:70 ვილერბანი**

სიენა: ალბერტი, ბუსკა, კიაჩიგი (15), ევანსი (17), გორენცი (18), გრეი (1), მეისი (7), როუენი, სკარონე (9)

ვილერბანი: ბილბა (6), ბლომი, ფრიგუ (2), ლონგი (6), პაშუტინი (10), პლუვი (17), სკიარა (20), სტივენსი (9), სი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 153:126 | 4 |
| ულქერი | 2 | 2 | 0 | 170:153 | 4 |
| ვილერბანი | 2 | 2 | 0 | 144:137 | 4 |
| ალბა | 2 | 1 | 1 | 179:160 | 3 |
| სპლიტი | 2 | 1 | 1 | 137:139 | 3 |
| ლიეტუვოს რიტასი | 2 | 1 | 1 | 161:164 | 3 |
| რაანანა | 2 | 1 | 1 | 155:162 | 3 |
| სიენა | 2 | 0 | 2 | 138:156 | 2 |
| ცეპტერი | 2 | 0 | 0 | 139:158 | 2 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 2 | 116:137 | 2 |

### B ჯგუფი

**ირაკლისი 91:76 პარტიზანი**

ირაკლისი: ხაძივრეტასი (21), ფარმერი (8), ჰუპმანი (5), კარაგუტისი (9), კარასიოვი (21), ნაკიჩი (16), პაპადოპულოსი (9), სანტანჯელო (2)

პარტიზანი: ბერიჩი (17), ბოგოევიჩი (4), ბულატოვიჩი (16), ჩანაკი (14), ჩუბრილო (9), გლინტიჩი (13), ილიევსკი, მარკოვიჩი (3), პეტროვიჩი, ვარდა

**პო ორტეზი 84:76 სკავოლინი**

პო ორტეზი: კარი (22), დიავი (4), დროზდოვი (2), დიუბო (13), ესტელერი (18), ფოტუ, ლოუსონი (7), მაზინგი (4), ფ. პიეტრუსი (2), მ. პიეტრუსი (12)

სკავოლინი: ბუკერი (24), გიგენა (14), ჯონსონი (17), მაჯოლი (4), ლ. მიდლტონი (12), პეჩილე, ტუშეკი (5), ძანელი

**ბაიერი 82:90 ოსტენდე**

ბაიერი: ბესტი (18), ევანსი (19), გაიბი (2), გისეკი (2), გნადი (2), ჰანსენი (15), ჰაჩისონი (14), კოვაჩევი, ლარკიო, ლოხმანჩუკი (10), ვებერი

ოსტენდე: ბეგინი (5), ბიგსი (19), დე ბელი, დოილი (7), ჰოლდენი (20), კულამი (18), მაიორი (1), პრაშკევიჩუსი (10), ვან დენ შპიგელი (10)

**მაკაბი 95:69 პლანია**

მაკაბი: ბრისკერი (7), ბურშტეინი, ჩურჩიჩი (9), ჰენფელდი (9), ჰაფმანი (15), მაკდონალდი (10), პარკერი (8), რადოვიჩი (2), საციონი (4), შარფი (19), შელეფი (12), შტერნლაიხტი

პლანია: აულანდერი (17), ბერგმანი, დალენი (3), დირდენი (6), ფრედრიკსონი (10), ლუნდალი (1), ნიკოლასი (5), პარნი (9), პეტერსონი 6), რონდალი (12)

**კრკა 64:72 ეფესი**

კრკა: ანზულოვიჩი (5), არაპოვიჩი (2), დევისონი (13), დონჩიჩი (12), დ. დრობნიაკი (8), გრუმი (2), პეტროვი (17), შჩეკიჩი (5)

ეფესი: ბეშოქი (13), ბიბო (5), პ. დრობნიაკი (21), მულაომეროვიჩი (9), ოქური (2), ონანი, პეკერი (8), შჩეპანოვიჩი (10), თუნჩერი (4), ილმაზი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 2 | 2 | 0 | 180:150 | 4 |
| ოსტენდე | 2 | 2 | 0 | 169:147 | 4 |
| ირაკლისი | 2 | 1 | 1 | 164:156 | 3 |
| პო ორტეზი | 2 | 1 | 1 | 153:151 | 3 |
| ბაიერი | 2 | 1 | 1 | 166:166 | 3 |
| კრკა | 2 | 1 | 1 | 144:145 | 3 |
| ეფესი | 2 | 1 | 1 | 137:143 | 3 |
| პარტიზანი | 2 | 1 | 1 | 151:160 | 3 |
| სკავოლინი | 2 | 0 | 2 | 157:169 | 2 |
| პლანია | 2 | 0 | 2 | 145:179 | 2 |



REUTERS

სპლიტი — პანათინაიკოსი. ანდრია ჟიჟიჩმა (მარცხნივ) და ანტე გრგურევიჩმა პანათინაიკოსელი ანტონის ფოცისი შეავიწროვეს

# ბავშვები ჩვენს გულებში



ტიმ ჰენმანი

**ბოლო** წლებში წესად იქცა, რომ სახელოვანი ჩოგბურთელები ამა თუ იმ საქველმოქმედო ორგანიზაციას ეხმარებიან. აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი პატრიკ რაფტერი ზედმეტი ხმაურისა და თვითრეკლამის გარეშე, საკუთარი ჯიბიდან ყოველწლიურად რამდენიმე ასეულ ათას დოლარს უქონელ ბავშვთა საავადმყოფოებს ურიცხავს.

ამერიკაში ცოტა სხვანაირი ტრადიციებია. ანდრე აგასი, მაგალითად, საზეიმო საღამოს აწყობს სადილით, კონცერტითა და აუქციონით, სტუმრებს პოპულარულ მომღერლებსა და მსახიობებს ახვედრებს და შემოწირულობებით, დაახლოებით 3-4 მილიონის ფარგლებში, ლას ვეგასის უპატრონო ბავშვთა ფონდებს ეხმარება. პიტ სამპრასი კი ფულის შეგროვების საუკეთესო საშუალებად გოლფის ტურნირს მიიჩნევს ცნობილი ადამიანების მონაწილეობით.

ინგლისელმა ტიმ ჰენმანმა, იმის ნაცვლად, რაიმე ორიგინალური მოეფიქრებინა, გადაწყვიტა, ამერიკელ კოლეგებს დასესხებოდა და საკუთარი საქველმოქმედო პროექტი აგასისა და სამპრასის გამოცდილებათა შეჯერებით განეხორციელა — სტუმრები გოლფზეც დაპატიჟა და სადილზეც.

ორწლიანი შესვენების შემდეგ ვენაში პირველი ტიტულის მომგებ ჰენმანს იმედგაცრუება არც ამჯერად ელოდა — მისმა წამოწყებამ „ბავშვები ჩვენს გულებში" 183 ათასი ფუნტი სტერლინგის შეგროვება შეძლო.

„სიხარულისგან სიტყვები არ მყოფნის, სიმართლე გითხრათ, მსგავსზე არც ვოცნებობდი, ამან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უამრავ ბავშვს სჭირდება ჩვენი დახმარება და თუ მათთვის რაიმეს გაკეთება შეგვიძლია, რატომაც არ უნდა გავისარჯოთ" — განაცხადა ჩოგბურთელმა.

მთელი ღონისძიება ლონდონიდან დასავლეთით, ბუკინჰემშირში მდებარე გოლფის ისტორიულ „სთოუკ პარკ კლაბში" ჩატარდა. ჰენმანის ნაცნობ-მეგობარი ბიზნესმენების გარდა მასში ინგლისის ოლიმპიური გუნდის არაერთმა წევრმა, მათ შორის ნიჩბოსნობაში ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რაინდობისთვის გამზადებულმა სტივ რედგრეივმა მიიღო მონაწილეობა.

ინგლისის პირველმა ჩოგანმა გოლფის მოედანზეც საკმაო პროფესიონალიზმი გამოავლინა და იქ მყოფთაგან სარეკორდო სიგრძის, 250-იარდიანი დარტყმით გამოირჩა. მანვე გადასცა ცნობილი დიზაინერის, ჯონ როჩას მიერ შექმნილი პრიზები გამარჯვებულებს, მერე კი სტუმრები სადილზე, მახლობელი სკოლის მოსწავლეების კონცერტსა და აუქციონზე მიიწვია.

შეგროვებულ თანხას, რომელმაც დოლარებში დაახლოებით 270 ათასი შეადგინა, მოგვიანებით თავად ჰენმანმა საკმაოდ ბევრი შემატა. ინგლისელ ჩოგბურთელს პირობა დაუდია, რომ სეზონის განმავლობაში მოწოდებული ყოველი ეისისთვის საქველმოქმედო ორგანიზაციებს 100 ფუნტით დაეხმარება. თავისდა მოულოდნელად, ბრიტმა აღმოაჩინა, რომ ტურნირიდან ტურნირამდე ყულაბაში ერთბაშად 48200 ფუნტი დაგროვებულიყო.

საბოლოოდ ზემოხსენებული ფული ორ ორგანიზაციას ერგო — სიმსივნიან ბავშვებზე ზრუნვის ფონდსა და SPARKS-ს (იშიფრება, როგორც სპორტის დახმარება ბავშვების საკვლევ მედიცინას).

წარმატებით ფრთაშესხმული ჰენმანი კი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს. მას სურს, მსგავსი საქველმოქმედო ტურნირები და საღამოები ყოველწლიურად მოაწყოს და მიღებული ფულით სხვა ფონდებსაც დაეხმაროს. ქების მეტი ჩვენც რაღა დაგვრჩენია.

# მოსკოვს ტრაბახის არ სჯერა

მოსკოვი. რუსეთი. „კრემლის თასი". ქალები დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 1,1 მილიონი $

მარტინა ჰინგისი „კრემლის თასზე" დაუფარავი ამბიციებით ჩავიდა — მოსკოვის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, მეტოქეთა სწრაფად განადგურება და რუსეთის დედაქალაქიდან მთავარი ჯილდოსა და ჩემპიონისთვის განკუთვნილი 166 ათასი დოლარის წამოღება. მსოფლიოს პირველი ჩოგანი ისეთი თავდაჯერებული გახლდათ, რომ მაყურებლებს დაჰპირდა, კვირის ბოლოს დაჯილდოების ცერემონიალზე რამდენიმე სიტყვას წარმოვთქვამო, თითქოს ფინალში გასვლა წინასწარ განაღდებული ჰქონდა.

ტურნირზე ჩატარებული პირველი მატჩი სლოვაკ კვეტა ჰრდლიჩკოვას წინააღმდეგ ჰინგისის სიმართლეში თუ დაარწმუნებდა ყველას: 20 წლის შვეიცარიელმა მეტოქე 40 წუთში, 6:0, 6:1 გაანადგურა.

„გასულ კვირაში ჰრდლიჩკოვამ ლინცში წარმატებით იასპარეზა და მხოლოდ ნახევარფინალში წააგო ლინდსი დევენპორტთან, 1:6, 1:6. მე უბრალოდ შევეცადე, ლინდსის მიღწევა გამეუმჯობესებინა" — შავად გაიხუმრა მარტინამ მატჩის შემდეგ.

მეოთხედფინალში ჰინგისს გაცილებით სერიოზული მეტოქე ელოდა მასპინძელი ელენა დემენტიევას (7) სახით. თუმცა რა — პირველი სეტი მან თვალის დახამხამებაში, თანაც მშრალად მოიგო. სანამ მორიგი იოლი გასეირნების მომლოდინე მარტინა გონებაში, ალბათ, რუსულ სიტყვებს იზუთხავდა, კორტზე სიტუაცია დრამატულად შეიცვალა.

პირველი ხელის 14 წუთში დათმობა კუტუზოვისეული მანევრი გამოდგა, დემენტიევა მოულოდნელად გამოცოცხლდა, ძალა მოიკრიბა და მეტოქეს თავგამოდებით ეკვეთა. 18 წლის რუსმა ჩვეული შეკივლებებითა და საფირმო ფორჰენდებით ჰინგისს უამრავი თავსატეხი გაუჩინა, მეორე სეტში ტაიბრეიკზე იმარჯვა და ტრიბუნებზე მოკალათებულ თანამემამულეებს იმედი ჩაუსახა, სენსაცია მოხდებაო.

სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანსა და თბილისის ტურნირის ძველ სტუმარს მართლაც შესანიშნავი შანსი მიეცა მსოფლიოს პირველი ჩოგნის გასამწარებლად — გადამწყვეტ ხელში, 4:4-სა და ჰინგისის მოწოდებაზე ის 40:0 დაწინაურდა. თუმცა... „სპორტული სითამამე არ მეყო, ეტყობა, როგორღაც თავადაც ვერ დავიჯერე, რომ მოგება შემეძლო. ყველაფერი ჩემს ხელში იყო, მაგრამ შესაძლებლობა ვერ გამოვიყენე, მერე კი საკუთარ თავზე გავბრაზდი და თამაშის ხალისიც გამიქრა" — გაიხსენა მოგვიანებით რუსმა.

დემენტიევამ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, ჰინგისს უმძიმესი სიტუაციიდან თავის დაძვრენა დაანება და საბოლოოდ 0:6, 7:6 (7:5), 5:7 წააგო.

„ეტყობა, ზედმეტად იოლად გამომდიოდა ყველაფერი და ცოტათი ყურადღება გამეფანტა. დღეს გადავრჩი, მაგრამ წაგებას სულ ცოტა მიკლდა, ამიტომ ძალიან უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით" — აღნიშნა მარტინამ.



REUTERS მოსკოვიდან

მარტინა ჰინგისი

**მეოთხედფინალი: ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 7:5; ანა კურნიკოვა (4, რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 7:6 (7:4), 6:4; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი) 6:3, 6:2; ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:2, 6:4; ბარბარა შეტი (8, ავსტრია) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:4, 6:3.**

ბაზელი. შვეიცარიის დარბაზის ღია პირველობა ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $

**მეოთხედფინალი: ტომას ენკვისტი (2, შვედეთი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:4, 6:2; ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:3, 7:5; ნიკოლა ტომანი (საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) 7:6 (8:6), 7:6 (7:5); ტიმ ჰენმანი (4, ინგლისი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3, 6:4; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:6 (7:4), 6:4; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 2:6, 7:6 (7:5), 7:5.**

**ავთანდილ სვანიძე**



# სამსახურია ასეთი — დათვური



მაიკ კინენმა მომთვინიერებლობა დაიწყო

**26 ოქტომბერი**

**ბოსტონი — ვაშინგტონი 4:1**

**2:0 0:1 2:0**

**1:0 აქსელსონი 1'52 (2); 2:0 ელისონი 3'14 (4); 2:1 საკო 38'45 (1); 3:1 ელისონი 49'37 (5); 4:1 ელორანტა 50'27 (2)**

**ჩიკაგო — კოლორადო 0:2**

**0:1 0:1 0:0**

**0:1 ჰეიდუკი 4'56 (4); 0:2 ტანგეი 21'54 (3)**

**ფილადელფია — რეინჯერსი 3:0**

**1:0 0:0 2:0**

**1:0 ბ. სიკორა 7'07 (1); 2:0 ტოკეტი 45'21 (2); 3:0 სენგკოუ 59'40 (3)**

**სენტ ლუისი — კალგარი 4:3**

**1:0 3:1 0:2**

**1:0 პრონგერი 10'47 (2); 2:0 იანგი 25'49 (9); 3:0 იანგი 27'22 (10); 3:1 ბაუსლი 28'26 (2); 4:1 მაკინისი 29'21 (1); 4:2 სტილმანი 48'03 (4); 4:3 სტილმანი 57'41 (5)**

მაიკ კინანის ხელმძღვანელობით ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში დაეტყო ბოსტონს ახალი თავკაცის ხელი. „დათვები" ერთობ მობილურნი და ბრძოლისუნარიანნი იყვნენ და აკი ვაშინგტონს გასაქანი არ მისცეს.

თავისი პირველი თამაში ლიგის უძვირესი მცველის როლში დიდებულად ჩაატარა სენტლუისელმა კრის პრონგერმა. წინა სეზონის MVP თითქმის ყველგან იყო და ყველაფერს ასწრებდა — ანგარიში გახსნა, პარტნიორებს გოლის გატანაში დაეხმარა, დაცვაშიც ჩინებულად გამოიყურებოდა და საფირმო ძალისმიერი ილეთებით კალგარელი მეტოქეებიც არაერთხელ გააოგნა.

საბოლოო ჯამში პრონგერმა ყინულზე 30 წუთი დაყო.

ხუთშაბათს პირველი შვეიცარიული „შათაუტი" დაფიქსირდა. კოლორადოს ახალბედა მეკარემ, დევიდ აებიშერმა, რომელსაც მეორედ მიეცა პატრიკ რუას შეცვლის შანსი, იყოჩაღა და თვრამეტივე დარტყმა მოიგერია. დანარჩენი კი პეტერ ფორსბერგმა და კომპანიამ უზრუნველყო.



# კრის პრონგერი — უძვირფასესი და უძვირესი

**წინა სეზონის** უძვირფასესი მოთამაშე, სენტლუისელი კრის პრონგერი ლიგის ყველაზე ძვირადღირებული მცველიც გახდა და რისი ღირსიც იყო, ყველაფერი მიიღო. ოთხშაბათს პრონგერი ახალ სამწლიან კონტრაქტზე დათანხმდა. ამ ხნის განმავლობაში 29,5 მილიონ დოლარს მიიღებს, ანუ წელიწადში საშუალოდ 9,8 მილიონს. ამის შემდეგ პრონგერი ლიგის მულტიმილიონერთა სიაში მესამე ადგილზე ალზევდა და მხოლოდ კოლორადოელ პეტერ ფორსბერგსა და ანაჰაიმელ პოლ კარიას ჩამორჩება. სამაგიეროდ, ისევე როგორც შარშანდელი MVP-ს არჩევისას, იარომირ იაგრს გაუსწრო. „ცხადია, ფული ყველაფერს არ წყვეტს, მაგრამ სასიამოვნოა, როცა შენი შრომა ფასდება" — ამაყად განაცხადა სენტლუისელმა კაპიტანმა საგანგებო პრესკონფერენციაზე. პრონგერის ამგვარი დაფასება ერთობ ნიშანდობლივი ფაქტია, რადგან ადრე ლიგაში ყველაზე მეტად ფორვარდებსა და მეკარეებს აფასებდნენ, ხოლო მცველები ნაკლები შედეგიანობის გამო (რაც ბუნებრივია) მუდამ ჩრდილში იყვნენ. პრონგერმა თავისი შარშანდელი ასპარეზობით დაამტკიცა, რომ ამ ამპლუის მოთამაშეთაც შეუძლიათ, თამაშზე დიდი ზეგავლენა მოახდინონ. თუნდაც მარტო მისი +52 ნაყოფიერების კოეფიციენტი რად ღირს. და, რაც მთავარია, პრონგერი ხომ მხოლოდ 26 წლისაა.

ამიერიდან ლიგის უძვირფასეს მცველთა სია ასე გამოიყურება:

პრონგერი (სენტ ლუისი) — 9,8 მილიონი, ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი) — 7,68, რეი ბურკი (კოლორადო) — 5,5, რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი) — 5,267, სანდის ოზოლინში (კაროლინა) — 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაშვებები, ჩაშვებები...

## არმსტრონგი? იღებდა! რიისი, ულრიხი, პანტანი და თვით დიდი ინდურაინიც? ესენიც!

# მაშ, ვინ არ იღებდა დოპინგს?!




არამი ყოფილა ცოდვილ ულრიხზე გამარჯვებულის სარგო ლამაზმანთა ხვევნა-ალერსი

**„ფესტინას“ საქმე**

**„ფესტინას“** საქმის გარჩევის მეოთხე დღეს ლილის სასამართლოში ჯერ ორმა ექსპერტმა მისცა ჩვენება. ეს მოწმეები მედიკოსი დოქტორი დევო და პარიზული ლაბორატორიის ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი, დოქტორი პეპენი იყვნენ. ეს სწორედ ის ლაბორატორიაა, რომელმაც 1998 წელს ლიონში დაკავებული ფესტინელების თმები, შარდი და სისხლი შეამოწმა. ექსპერტებმა „ფესტინას“ მიერ გამოყენებული პრეპარატების შესახებ ილაპარაკეს და ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ ვილი ვოეს დოპინგის გარდა სამართალდამცავებმა კიდევ უამრავი მედიკამენტი უპოვეს. მათი თქმით, ამ წამლებით „ფესტინას“ ექიმი რიიკაერტი მრბოლთა ორგანიზმში დოპინგის მიღების შედეგად გამოწვეულ ეგრეთ წოდებულ თანმხლებ ეფექტებს ებრძოდა. თურმე სწორედ კორტიკოიდების დიდი რაოდენობით გამოყენებით აიხსნება ის, რომ პელოტონის დიდი ნაწილი თითქმის გამუდმებით უჩივის გაციებასა და ათასგვარ ვირუსულ გრიპს, რადგან ეს დოპინგი ადამიანის იმუნურ სისტემას ასუსტებს.

„ეს იყო მშვენივრად მოწყობილი სამედიცინო სისტემა, რომელიც მრბოლთა ჯანმრთელობის გარანტიას მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში იძლეოდა, მერე კი, რა დაემართებოდათ მათ, არავის ანაღვლებდა. ამას ადვილად მიხვდები, თუ სპორტსმენთა სიცოცხლის ხანგრძლივობას დააკვირდები“ — განაცხადა დოქტორმა პეპენმა. მოსამართლე დანიელ დელეგოვმა რიშარ ვირანკს ჰკითხა, სჯერა თუ არა ეს. ექსფესტინელმა უპასუხა, რომ რამდენიმე წელიწადში გამოჩნდება, სიმართლეს ამბობდა თუ არა პეპენი.

ნაშუადღევს ყოფილი პროფესიონალი მრბოლები — ტომა დავი და ერვან მანტეორი ბელგიელ მასაჟისტ ჯეფ დონტს დაუპირისპირდნენ. დონტს, რომელსაც „უკანასკნელი მოჰიკანი“ შეარქვეს იმიტომ, რომ არა და არ აღიარებს ველოსპორტში დოპინგის არსებობას, წლების მანძილზე უამრავ დიდ მრბოლთან უმუშავია.

საღამოს ბატონ დელეგოვს უკვე თამამად შეეძლო ფაქტებზე დაყრდნობით დაესკვნა, რომ დოპინგი ველოსამყაროს საერთო სენია და არა მხოლოდ ფრანგულ-ანდორული გუნდისა. ორი დღით ადრე ბოლო ორი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულის, ამერიკელი ლენს არმსტრონგის დოპინგთან კავშირი ხომ დამტკიცდა, ხუთშაბათსაც ისეთი ხალხის სახელები ამოტივტივდა... აღმოჩნდა, რომ „ტურს“ როგორც მინიმუმ 1991 წლიდან სუფთა გამარჯვებული არ ჰყოლია — ესპანელ მიგელ ინდურაინს (1991-1995), დანიელ ბიარნ რიისს (1996) და გერმანელ იან ულრიხსაც (1997) კარგად ცნობიათ დოპინგის გემო. „ტურის“ 1998 წელს მომგებ იტალიელ მარკო პანტანის კი ეპო-ს მიღება ჯერ კიდევ შარშან დაუდგინეს.

დავის ჩვენებები მართლაც რომ სკანდალური იყო. მან თქვა, რომ 1992 წლიდან სარგებლობდა „ძველი მეთოდით“, ანუ მხოლოდ კორტიკოიდებს იღებდა. იგი მაშინ ირიცხებოდა ფრანგულ გუნდ „კასტორამაში“, რომლის ექიმი არმან მეგრე ახლა საფრანგეთის ველონაკრებს „მკურნალობს და დოპინგს ებრძვის“. დავის განცხადებით, კასტორამელი მრბოლები საკმაოდ ხშირად სვამდნენ მეგრეს მიერ მომზადებულ კოქტეილებს, რომლებშიც ჰეროინი, კოკაინი და ამფეტამინები შედიოდა.

სამი წლის შემდეგ დავის ეპო-ც გაუცვნია, დოპინგი, რომლის მიღებაც მშვენივრად ყოფილა ორგანიზებული მის ახალ გუნდში — „ბანესტოში“ (ესპანეთი), სადაც დონ მიგელი გამოდიოდა. ფრანგ მრბოლს ინდურაინი პირდაპირ არ დაუდანაშაულებია, მაგრამ მოსამართლის ამასთან დაკავშირებულ კითხვაზე ყოყმანით უპასუხა: „არ ვიცი, ყველა ოთახში ხომ არ შევდიოდი. თუმცა, ვფიქრობ, რომ ინდურაინიც იღებდა ეპო-ს.“

შემდეგ მან „ფრანსეზში“ დოპინგის არსებობასაც ახადა ფარდა. მისი თქმით, სპორტული დირექტორი მარკ მადიო ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიდა. „მე შედეგი მჭირდება. თქვენ რაც გინდათ, ის ქენით, ოღონდ თუ ჩავარდით, მე ვერ დაგეხმარებითო, გვეუბნებოდა მადიო. დოპინგი კი მთლიანად დონტის სფერო იყო“ — განაცხადა დავიმ.

საკმაოდ ბევრი დაფქვა მანტეორმაც, რომელმაც დონტს „ბატონი მედოპინგე“ უწოდა. „მადიომ დონტი იმიტომ კი არ აიყვანა, რომ იგი მშვენიერი მასაჟისტი იყო, უბრალოდ, ბელგიელი დოპინგის საქმეში ერთ-ერთი საუკეთესოა. ერთხელ დონტმა რაღაც პრეპარატი შემომთავაზა. ვიცოდი, რომ იგი ჩვენთან მოსვლამდე „ტელეკომში“ მუშაობდა და ვკითხე, ამას ულრიხი თუ იღებდა-მეთქი. რა თქმა უნდაო, მიპასუხა მან“ — მოახსენა სასამართლოს მანტეორმა. დელეგოვის ახალმა კითხვამაც არ დააყოვნა: „თქვენი აზრით, რიისი თუ იღებდა დოპინგს?“

— დარწმუნებული ვარ, რიისიც ყველა დანარჩენივით იქცეოდა. ჩემი კარიერის მანძილზე სულ ორი სუფთა მრბოლი თუ შემხვედრია — განაცხადა მანტეორმა, რომელიც ბოლოს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირსაც მისდგა.

„იქ სიცრუე და ორპირობა მეფობს. სისხლში წითელი ბურთულების შემცველობის ზედა ზღვრად 50 პროცენტის დადგენა დიდი უსამართლობაა. ამით იმ მრბოლებს, რომელთაც ეს მაჩვენებელი ბუნებრივად საკმაოდ დაბალი აქვთ, ეპო-ს მიღების შესაძლებლობა ეძლევათ, სხვებს კი არა, რადგან მაშინვე დასჯიან.“

ამ შემოტევისგან ვსკ-ის ადვოკატმა უმალ დაიცვა თავი, ეპო-ს მიღება საერთოდაა აკრძალული და ჯერჯერობით მისი კვალის ორგანიზმში აღმოჩენაა ძნელი, თორემ ვსკ არავს ანიჭებს შეღავათებსო. თავად ვსკ-ს პრეზიდენტს, ჰეინ ვერბრიუგენს სასამართლო ორშაბათს ელის.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ფრანგები მგოისტები არიან

## ეპილეფსიის მადლი

**მანჩესტერში** მიმდინარე ველოტრეკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთშაბათს მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა. ისევე როგორც წინა დღეს, ინდივიდუალური ოქრო საფრანგეთს ერგო, გუნდური კი — გერმანიას.

ქალებს შორის ქულებზე ბორლაში მარიონ კლინიემ იმარჯვა და შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა. „ქულებზე რბოლას შარშან გავუშინაურდი. მართალია, ის ჩემი სპეციალობა არ არის, მაგრამ დღეს ძალიან კარგად ვირბოლე“ — თქვა ამერიკაში დაბადებულმა 36 წლის ფრანგმა. ასწრიან (25 კმ) დისტანციაზე კლინიე შეუდარებელი იყო. იგი ჯერ კი ჩამორჩებოდა მეტოქეებს, მაგრამ მერვე საშუალედო სპრინტის შემდეგ მძლავრი შეტევა განახორციელა და მოწინააღმდეგეები ერთი წრით ჩამოტოვა, რაც გამარჯვების ტოლფასი იყო. ეს კლინიეს მეხუთე ოქროს მედალია მსოფლიოს ჩემპიონატებზე. არადა, იგი ველოსიპედს შემთხვევით დაუკავშირდა — ეპილეფსიის გამო აშშ-ში მანქანის ტარების ნება არ დართეს და ველოთი მოძრაობდა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

გვიან ღამით კი გამოდევნებით გუნდური რბოლების ნახევარფინალები და ფინალი გაიმართა. ჩემპიონები გახდნენ გერმანელები, რომლებმაც გადამწყვეტ ბრძოლაში ტურნირის მასპინძლებს, დიდბრიტანელებს სძლიეს. გერმანიის ნაკრებში დანიელ ბეკი, გვიდო ფულსტი, იენს ლემანი და სებასტიან სედლერი შედიოდნენ. მათ მეტოქეს დასაწყისიდანვე აჯობეს და ყოველი კილომეტრის მერე კიდევ უფრო ზრდიდნენ უპირატესობას. შედეგად გერმანიამ წამითა და 788 მეასედით უკეთესი დრო აჩვენა, ვიდრე დიდმა ბრიტანეთმა. ბრინჯაოს მედალს საფრანგეთის ნაკრები დაეუფლა, რომელმაც მესამე ადგილისთვის მატჩში რუსეთი დაამარცხა.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი ტრეკზე**

ქულებზე რბოლა. ქალები

1. მარიონ კლინიე (საფრანგეთი)
2. იუდით არნდტი (გერმანია)
3. ოლგა სლიუსარევა (რუსეთი)

გამოდევნებით გუნდური რბოლა. ვაჟები.

1. გერმანია — 4წთ 01,32258
2. დიდი ბრიტანეთი — 4წთ 03,11058
3. საფრანგეთი — 4წთ 06,28858




ბრიტანელებმა გერმანელებთან ტრეკზეც წააგეს



# ქართველები დროის გამოცვლას ითხოვენ

**დღეს,** 12 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც, სამწუხაროდ, მეტად არახელსაყრელ დროს იმართება. ნაოლიმპიადევს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებამდე კარგა ხნით ადრე აქ ჩამოსვლით თავს არავინ შეიწუხებს. ოლიმპიადით გადაღლილი სპორტსმენები ახლა ამ და, გნებავთ, სხვა ტურნირში ჭიდაობას დასვენებას ამჯობინებენ. დიდი შეჯიბრებებიც ისე შორსაა, არც მათთვის მოსამზადებლად გამოადგებათ. ამიტომ სპორტის სასახლის ტატამზე სახელოვან ფალავნებს ვერ ვიხილავთ.

ამ გარემოებამ ტურნირის ვადების შეცვლის საკითხი დააყენა. საქართველოს ძიუდოს ფედერაცია აპირებს, საგაისოდ სთხოვოს ევროპელ მმართველებს, შეჯიბრი იანვრის კალენდარში ჩასვან. იმედოვნებენ, რომ ასეც იქნება.

მაგრამ ეს მომავლის საქმეა, მანამდე კიწლევანდელი, 28-ე ტურნირის ჯერია. რუსეთი, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი — ამ ქვეყნების გუნდები გვესტუმრნენ თბილისში და, როგორც გითხარით, შესუსტებული შემადგენლობით. აქვე არიან ძიუდოს ევროპის ფედერაციის რუსი წარმომადგენლები — ვიცეპრეზიდენტი სერგეი სოლოვეიჩიკი, მსაჯთა კოლეგიის წევრი ვასილ სმოლნი და სხვები.

უძლიერესი შემადგენლობით არც მასპინძლები ხვდებიან სტუმრებს. სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორი გიორგი ვაზაგაშვილი (66 კგ.) მწვრთნელებმა დაასვენეს. გიორგი რევაზიშვილი(73) ერთ-ერთი გერმანული კლუბის წევრია და მის შემადგენლობაში ევროთასზე ჭიდაობს, გია გუგავა(90) კი ავადმყოფობის გამო ვერ იასპარეზებს.

**ირაკლი თავაძე**


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23





REUTERS ციურიხიდან

# ფიფას მილოცვა

ერთურთს ლაწვებით მიბჯენილი ორი კაცის გვარსახელი რა შესახსენებელია, მაგრამ მაინც: პელე და ზეპ ბლატერი არიან. მოგეხსენებათ, პელე 60-ისა გახდა და დანარჩენი გასაგებია — მიღება ფიფას შტაბბინაში, ხოტბა-დიდება საჩუქრები...



REUTERS მილანიდან

# ერთი მანდ ვიყოთ!

ახლა დროა იმფერი, ვერ გრიალებს „ინტერი“... შერცხვა ვიღაც „ვიტესთანაც“, უეფას თასზე შინ თამაშობდა, ქომაგისაგან შეგულიანება არ დაკლებია, მაგრამ ბურთი ვერ შეაგდო. „ინტერის“ დაცვა რა ჩვენი საქმეა, მაგრამ როცა ორი ყველაზე ბაჯაღლოსფეხა ტრიბუნაზე გიზის, ხომ შეიძლება ცოტათი თავის მართლება? რონალდოს და ვიერის მაყურებლის როლი არ უხდებათ...





REUTERS დუბლინიდან

# სერი კაფეში

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ვითომ ორი უბრალო სიტყვაა, მაგრამ მილიონები ღირს. სადაც ამ სიტყვებს მიამაგრებ, იქ კლიენტი არ დაგელევა, რაც შეუგნიათ დუბლინში მავანთ და ამ დიდი კლუბის სახელობის „წითელი კაფეც“ გაუხსნიათ და სუპერმარკეტიც. გახსნის ამბავს სერ ალექს ფერგიუსონის, როი კინის, მარკ ბოსნიჩისა და გერი ნევილის დასწრება ამაღლებდა. კაფეს წარმატებულ ფუნქციონირებას ვუწინასწარმეტყველებთ.

# არმია სტადიონზე

თითქოს მათი ადგილი სხვაგან უნდა იყოს, ლიბანის სამხრეთთან ქვეყანა იქცევა, მაგრამ ამათ შეუვსიათ ტრიბუნები და აზიის თასზე საუდის არაბეთისა და სამხრეთ კორეის ნახევარფინალს სრულიად არხეინადაც უყურებენ და არაბთა ერთიანობის ამბავში, სავარაუდოდ, პირველებს ქომაგობენ. ნათქვამი კრიტიკა არ გეხლავთ. ღმერთმა ქნას, მსოფლიოს არმიებს ფეხბურთის ყურების მეტი საქმე არ ჰქონდეთ!



REUTERS ბეირუთიდან





REUTERS ნიუ იორკიდან





REUTERS ტამპადან

# ჩვენია, ჩვენი!!!

საქვეყნოდ ცნობილი ხალხი ტრიბუნებზე და უბრალონიც ათი ათასობით, ნერვების წყვეტა და გიგანტური საბეისბოლო ბატალიები — ეს ყველაფერი „მსოფლიო სერიის“ ფინალს ახლდა. ნიუ იორკის გუნდები, „იანკიზი“ და „მეთზი“ ბოლომდე დაიხარჯნენ, მაგრამ უკანასკნელებმა სრულად ვერ გაქაჩეს და ნანატრი თასი „იანკებს“ დარჩათ. ამ ფაქტს მათი პიტჩერი, ორლანდო ერნანდესი აფიქსირებს, ხოლო დამატებით იმის თქმა გვინდა, რომ თასი გუნდის ისტორიაში 26-ეა.

და რა ხდებოდა ამ დროს ტამპაში? „იანკთაგან“ ერთადერთი საბრალო, დერილ სტროუბერი რაღაც ნარკოტიკთან გაკარებისა და მერე ძალადობის ჩადენის გამო სამართალში მიუციათ და აგერ, „სონის“ ეკრანიდან როგორი მოწყენილი უსმენს მისი უღირსებულესობის სიტყვებს. ამერიკის სასამართლო მკაცრია...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge